ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ზურაბი ჟიჟიაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტის ექსპორტის პერსპექტივები ევროკავშირის ბაზარზე

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, **მიხეილ თოქმაზიშვილი**

თბილისი

2019

ანოტაცია

სოფლის მეურნეობა საქართველოში მნიშვნელოვანი დარგია, რომლის განვითარებაც ქვეყნის კეთილდღეობისთვის აუცილებელია. დღეს უმთავრეს გამოწვევად სოფლის მეურნეობის სფეროში რჩება საექსპორტო ბაზრების გაფართოება. მთავარ ბაზრას კი ევროპა წარმოადგენს, რომელიც სტაბილური და მაღალ მსყიდველობით უნარიანია. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა ახლო წარსულში განვითარებულმა მოვლენებმა და ამ პრობლემების მოგვარება დღესაც სერიოზულ საკითხს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმება, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ფართო შესაძლებლობებს აძლევს ქართულ მხარეს იფიქროს ექსპორტის ზრდაზე. არსებობს რეგულაციები რომლებიც გავლენას ახდენენ პროდუქტის წარმოებაზე, ასევე სტანდარტები რომლის დაცვის გარეშეც პროდუქტი არ იქნება ევროკავშირის ბაზრისათვის მიმზიდველი. არსებობს საქართველოში ფერმერული განვითარების პრობლემა. სწორედ ფერმერთა კლასი ქმნის ამინდს აგრო სფეროში, ასევე მნიშვნელოვანი არის კოლმეურნეობების ზრდა რაც მეწარმეებს დაეხმარებათ პროდუქტის წარმოებაზე დანახარჯები შეამცირონ. საქართველოში არსებობს რამდენიმე პროდუქტი რომელიც საკმაოდ მაღალი საექსპორტო პოტენციალით გამოირჩევა, ეს ძირითადად ისეთი პროდუქტებია, რომლებიც მაღალი ხარისხით და ლოკალურობით გამოირჩევიან. საერთო ჯამში ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოსათვის არის ევროკავშირის სტანდარტებს აუწყოს ფეხი, რის შემდეგაც საექსპორტო ბაზარი საკმაოდ მდგრადი გახდება და წარუმატებელი დარგიდან, სოფლის მეურნეობის სფერო გადაიქცევა ყველაზე მნიშვნელოვან საექსპორტო დარგად.

Annotation

Agriculture is an important field in Georgia, which development is necessary for the welfare of the country. The main challenge today is to improve export markets in agriculture sphere. The main market is Europe, which is a stable and robust buyer. In the past agriculture had some problems, Which still has a big impact on its development. important is Agreement with the European Union, Deep and Comprehensive Trade document, Which gives a wide range of opportunities for the Georgian side to think about export growth. which Impacts on product production, The Georgian side should meet standards to become exporters. in Georgia is problem to development Farmers. The farmers' class is creating weather in the agro sector. in Georgia is product with high export potential. overall, georgia needs to satisfy EU standards. After that, agriculture will become the leading export sector.

სარჩევი

1. შესავალი_____ _____6
2. ზოგადი მიმოხილვა
2.1 ევროპის ბაზარი_____ _____10
2.2 საქართველოს სოფლისმეურნეობის ბაზარი_____12
2.3 საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის კვლევა_____15
2.4 სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია_____17

3. პროექტები სოფლის მეურენობის განვითარებისთვის
3.1 DCFTA_____19
3.2 ევროკავშირის პროექტი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის „ENPARD" _____24,
3.3 პროექტები პოფლის მეურენობის განვითარებისთვის_____25

3.4 ექსტენცია_____28
3.5 სოფლის მეურნეობის განვითარების 2015- 2020 წლებზე გაწერილი სტრატეგია_____34
4. შესაძლებლობები აგრალურ სფეროში_____37
4.1 პოტენციალის განხილვა_____37
4.2 სასოფლო-სამეურნეო პროდუქცოოს ექსპორტის ზრდის პოტენციალი__40
4.3 ექსპორტის განვითარება_____42
4.4 სავაჭრო ბალანსი_____47
4.5 ფაქტორები რომლებიც ზღუდავენ ექსპორტს____ _____50
4.6 საკანონმდებლო ცვლილებები_____ _____ 53
4.7 კოოპერატივების განვითარება_____53
4.8 ფერმერული მეურნეობის განვითარება_____57
5. ევროკავშირის ბაზარზე არსებული სტანდარტები
5.1 სურსათით ვაჭრობის სტანდარტები ევროკავშირთან_____65
5.2 აგრარული სუფსიდირება_____67
5.3 ევროკავიშირთან ვაჭრობაში არსებული სატარიფო და არასატარიფო ბარიერები_____68
5.4 სურსათის უვნებლობის ქართული სისტემი ძირითადი ნაკლოვანებები__70
5.5 ორგანული პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე_____72
6. საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტები
6.1 თხილის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე_____76
6.2 მინერალური წყლების ბაზარი_____81

6.3 ღვინის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე_____86

7. დასკვნა_____92

8. გამოყენებული მასალა_____95

9. დანართი_____98

შესავალი

საქართველო დღევანდელ დღეს დგას, მკაფიო გამოწვევების წინაშე, რომლის წარმატებით შესრულება აუცილებელია, სახელმწიფოს როგორც ეკონომიკური სუბიექტის შემდგომი ფუნქციონირებისათვის. საქართველოსთვის მკაფიო გამოწვევა დღეს არის სოფლის მეურნეობის პროდუქტის ექსპორტის გაზდა ევროკავშირის ბაზარზე. აუცილებელია რომ ქართული პროდუქტი არა თუ კვებავდეს შიდა ბაზარს, არამედ ფართოდ ახდენდეს ექსპორტს უცხოურ ბაზარზე, ხოლო ყველაზე დიდი აქცენტი ქართული მხრიდან უნდა გაკეთდეს ევროპაზე, რადგან ევროპა არის გარანტი გრძელ ვადიანი და საიმედო პარტნიორობის. ასევე ევროპულ ბაზარზე შესვლით გაიზრდება ქართული პროდუქტის ხარისხი, მოთხოვნებიდან გამომდინარე.

მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების. ექსპორტის პერსპექტივების შესწავლას და განხილვას ევროკავშირის ბაზარზე, ასევე შევეცდები ვაჩვენო თუ როგორი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს და ევროპის მხრიდან ამ პროცესების გასაღმავებლად. განვიხილავ ღრმა და ყოვლის მომცველი ვაჭრობის ხელშეკრულების შედეგად მიღებულ სარგებელს და შესაძლებლობებს რომელიც საქართველოს სოფლისმეურნეობაში ჩართულმა მოსახლეობამ მიიღო. ჩვენთვის მნიშვენლოვანი იქნება სტატისტიკური მონასცემები რომლებიც აქიურად დამეხმარება პროცესების სიზუსტით გაგებაში. ასევე გამოვყოფ სოფლის მეურნეობის რამდენიმე პროდუქტს რომელიც აქტიურად გადის ევროპის ბაზარზე. ყურადღებას გავამახვილებ კერძოდ თხილის და ღვინის ექსპორტზე. ასევე ჩავუღრმავდები იმ მიზეზებს და გარემოებებს რაც ექსპორტის ზრდას ხელს უშლის, სწორედ ეს მიზეზებია იმ მდგომარეობის საფუძველი რაც დღევანდელ რეალობას ქმნის. რადგან ჩვენ ვსაუბრობთ სოფლის მეურნეობის ექსპორტის განხილვაზე

აუცილებელი არის რომ შევეხოთ ფერმერულ საზოგადოებას. ეს ის კლასია საზოგადოების რაზეც განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობა დგას. აუციებელია განვიხილოთ რა მდგომარეობაა საქართველოში ფერმერული საქმიანობის კუთხით, რა პრობლემები და პერსპექტივები აქვთ მათ. ექსპორტის გაზრდისათვის აუცილებელია რომ საქართველოში მოხდეს სოფლის მეურნეობის დარგის დივერსიფიკაცია. მოცემულ ნაშრომში შევეხები იმ შესაძლებლობებს რასაც დივერსიფიკაციის შემდეგ საქართველო მიიღებს. სტანდარტები რასაც ევროპა დიდ ყურადღებას აქცევს და მისი შეუსრულებლობის შემდეგ შეუძლებელია რომ მოხდეს მათ ტერიტორიაზე ინპორტი, საკმაოდ დეტალურად შევეცდები რომ ავსახო ნაშრომში ის მოთხოვნები რასაც ევროპა ადგენს, ხარისხის, ეტიკეტიკეტირების და ფიტო-სანიტარულ საკითხებში. ექსპორტს როცა ვეხებით აუცილებელია არის იმ ბარიერების ცოდნა, რომელსაც მეორე ქვეყანა უქმნის ექსპორტიორ ქვეყნებს. ევროკავშირში საკმაოდ გამოკვეთილი ბარიერებია სატარიფო და განსაკუთრებით არასატარიფო ბარიერები არის მხედველობაში მისაღები სწორედ ის ქმნის ყველაზე დიდ წინააღმდეგობას ექსპორტის განვითარებაში. ნაშრომში ყველა არასატარიფო თუ სატარიფო ბარიერი იქნება განხილული. შევეხები სურსათის უვნებლობის ქართული სისტემის ძირითად ნაკლოვანებებს რაც გავლენას ექსპორტზე ახდენს. მნიშვნელოვან საკითხად გამოვყავი აგრალური სუფსიდირება და ის პოლიტიკა რასაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს. განვიხილავ ორგანულ პროდუქტს როგორც შესაძლებლობას რომ აწარმოონ ქართველმა ფერმერებმა ევროპულ ბაზარზე საექსპორტოთ.

მნიშვნელოვანი საკითხი არის ექსტენციის პროგრამის განხორციელება საქართველოში მოცემულ ნაშრომში განმარტებული არის თვითონ ექტენციის მნიშვნელობა და მისი როლი სოფლის მეურნეობის განვიტარების პროცესში ასევე ზუსტად არის განხილული ექსტენციის პროგრამა რომელიც ევროკავშირის დახმარებით ხორციელდება.

ეკონომიკამ რომ ჯანსაღად იმუშავოს აუცილებელი არის, ექსპორტის წილი საერთაშორისო ვაჭრობაში ჭარბობდეს ინპორტის წილს, ან საკმაოდ დიდი წილი ეჭიროს ექსპორტს.ქვეყნებისათვის ერთ-ერთი მნიშვენლოვანი დარგი რომელიც საჭიროა რომ განვითარდეს არის სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა ის ძირეული დარგია საცად, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობი დიდი რაოდენობა არის ჩაბმული. სწორედ მისი წყალობით იღებენ ისინი შემოსავალს.

რაც შეეხება საქართველოს. საუკუნეების განმავობაში საქართველოში განვითარებული იყო მიწათ მოქმედება და ძირითად დარგს წარმოადგენდა ეკონომიკის წინსვლაში. ქვეყნის სახელწოდება ლათინურად"Georgia" სწორედ მიწასთან მჭიდრო კავშირის გამო დაერქვა საქართველოს, ასევე მიწასთან განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ასახავს ის რომ საქართველო ღვინის სამშობლოთ არის აღიარებული. ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესები აგრალურ დაგრში დაიწყო მაშინ როდესაც 1990 წლის შემდეგ საქართველო დამიოუკიდებელი გახდა, არასწორი მართველობის, მიწის არასწორი რეფორმის და ქვეყანაში შიდა დაპრისპირებების შედეგად ინდუსტრიამ განიცადა 2/3 ვარდნა, ქვყანაში ძირითადად გაჩერებული იყო ეკონომიკური განვითარება, ხალხის ერთადერთი სარეჩენი საშვალება მხლოლოდ სოფლის მეურნეობა იყო მოსახლეობის. საქართველოს სტრატეგიული განვითარების თეორია ძირითადად ემყარებოდა ევოლუციურ მოდელს საქართველოს ეკონომიკა ნაბიჯ ნაბიჯ უნდა გადასულიყო საბაზრო ეკონომიკაზე მაგრამ ასას მოყვა ფართო ეონომიკური შოკები რის გამოსწარებასაც დიდი ძალისხმევა ჭირდებოდა. დიდ როლს თამაშობდა საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური განსხვავება გეგმიურ ეკონომიკისგან, სწორედ ესეთი სტერეოტიპული აზროვნების დამსახურებაა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შეცდომების დაშვება ეკონომიკური გარდაქმნის პროცესში. საქართელო როგორც მშვიდობიანი ქვეყყანა 1995 წლიდან იწყებს განვითარებას მაგ დროს წარმოება 1990 წელთან შედარებით 78 % -ით იყო შემცირებული, მაგალითისთვის რომ მოვიყვანოთ ეს წარმოების დაცემა 3ჯერ აღემატებოდა ა.შ.შ-ში დიდი დეპრესიების დროს

წარმოების დაცემას და პოსტ საბჭოთა ქვეყნებში ეს სტაგნაცია 7 წელიწადი გრძელდებოდა რაც უმოწყალოდ ფიტავდა ეკონომიკურ სტრუქტურას. უნდა გამოიყოს 1997 წელი როდესაც საქართველოს მ.შ.პ 10.7 %- ით გაიზარდა.

2003 წელს საქართველოს ისტორიაში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა ვარდების რევოლუცია რომლის შემდეგაც საქართველოს განვითარების ვექტორი რადიკალურად შეიცვალა ქვეყანა სადაც კორუფციის დონე უპრეცედენტო იყო და ცხოვრების დონე აფრიკის ქვეყნებს უტოლდებოდა დაიწო სწრაფი რეფორმირება და დიდი ნაბიჯებით ეკონომიკური წინსვლა. სწორედ ამ პერიოდში იწყება იდეოლოგიურად წარსულის გეგმიური ეკონომიკის განადგურება და ახალი საბაზრო წესების დანეგვა.

მის მერე საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგი ტრანსფორმაციის პროცესში არის. 2008 წლის მერე აქტიურად დაიწყო სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მუშაობა. 2010-2012 წლებში პრიორიტეტად გამოიკვეთა მისი განვითარება მაგრამ აქტიური ნაბიჯები არც ამას არ მოყოლია.

2015 წელს მიღებულ იქნა 16 ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებდა ევროკავშირის მოთხოვნების დაკმაყოფილებას ცხოველური წარმოების სურსათის პროდუქტის ჰიგიენის კონტრლის და მინიტორინგის მხრივ.

2016 წელს 13 ნორმატიული აქტი მიიღო საქართველომ რომელიც ახდენს ევროკვშირთან დაახლოებას ისეთ სფეროები როგორიც არის მაგალითად, მომხმარებლისთვის პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ეტიკეტირება, მითითება პროდუქტში პესტიციდების ზღვრულად დასაშვები რაოდენობის შესახებ.

ქვემოთ მოცემულია სურსათის უვნებლობის სფეროში გასატარებელი ღონისძიებებირომელიც მოყვანილი არის საქართველოს 2017-2020 წლის სამოქმედო გეგმიდან.

ზოგადი მიმოხილვა

ევროპის ბაზარი

ევროპის ბაზარი.რაც შეეხება ევროპის ბაზარს იგი ცნობილია ასევე „ერთიანი ბაზრის“ სახელწოდებით. ის საშვალებას აძლევს ხალხს და ბიზნესს ევროკავშირის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილდეს. ცნობილია როგორც „ოთხი თავისუფლება“, რომლებიც ევროკავშირის ხელშეკრულებით არის განმტკიცებული. იგივე ხელშეკრულება უფლებამოსილებას აძლევს ევროკავშირის ინსტიტუტებს მიიღონ კანონები (რეგულაციების, დირექტივების და გადაწყვეტილებების სახით), რომლებიც უპირატესია ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით და სავალდებულოა ეროვნული ხელისუფლებებისთვის. ევროკავშირის მაშტაბით კერძოპირების, ეროვნული ხელისუფლებისა და ევროკავშირის სხვა დაწესებულებების მიერ ევროკავშირის კანონების სათანადოდ მორგებაში უმნიშვნელოვანეს როლს ევროკომისია ასრულებს.

ევროკავშირის ერთიანი ბაზრის მთავარი მიზანია რომ განათავსოს პროდუქტი, რომელიც არ არის საზიანო ჯამრთელობისთვის, არ შეიცავს საფრთხეს გარემოსთვის. დაუშვას ბაზარზე ყოველგვარი ბარიერისა და მაქსიმალურად ნაკლლები ადმინისტრაციული ტვირთით.1

ქართული პროდუქტისათვის მნიშვნელოვანი არის რომ აკმაყოფილებდეს ევროპულ სტანდარტებს ანუ აკმაყოფილებდეს პროდუქტის ტექნიკურ ან ხარისხობრივ მოთხოვნებს, წარმოების პროცესს, სერვისებს ან სატესტო მეთოდებს. შეფასების პროცედურა ტარდება სანამ პროსუქტი განთავსდება ბაზარზე. მთავარი რაც

---

[1] ინფორმაცია მოძიებული არის WWW.DCFTA.GOV.GE-დან
ჯორჯ ზაჩმანი, დ. ს. (2015 წლის 1 1). *გერმანიის ეკონომიკური გუნდი საქართველო.* მოპოვებული www.get-georgia.de: https://www.get-georgia.de/wp-content/uploads/2014/12/PP_01_2015_geo.pdf-დან

ევროკავშირთან ექსპორტის გაძლიერებას მოყვება არის ის რომ, საქართველო არ იქნება მიბმული დ.ს.თ ქვეყნებს რომლებიც პოლიტიკურად არა სტაბილურები არიან, ეს კი აზარალებს ხშირად ჩვენს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს. გავიხსენოთ ახლო წარსული 2005 წელი როდესაც რუსეთმა ღვინოზე ენბარგო დაგვიწესა მაშინ ღვინის ექსპორტის 78% რუსეთზე მოდიოდა. ასევე იყო შეზღუდვა ბორჯომზე რომელიც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მოწინავე საექსპორტო პროდუქტი იყო, გამოსავალი ამ ყველაფრიდან ევროპის ბაზარზე გაწეული აქტიური ქმედებების შედეგად მოიძებნა მოხდა ბაზრის გარკვეულ წილად ათვისება. ევროპის ბაზარი არის საკმაოდ სტაბილური რაც ჩვენი სასოფლის-მეურნეო ბიზნესისათვის შორეული გათვლებისათვის არის კარგი, შესაძლებელია გრძელვადიანი მოგება დაგეგმო და ამას ხელი პოლიტიკურმა ჩარჩოებმა არ შეუშალოს. 2014 წლის 27 ივნისს მოეწერა ხელი, ღრმა და ყოვლის მომცველი ვაჭრობის ხელშეკრულებას, რომელიც შემდგომ 28 ქვეყნის მიერ იქნა რატიფიცირებული. 2014 წლის 1 სექტებრიდან ამოქმედდა, ხოლო საბოლოოდ ძალაში 2016 წლის 1 ივლის შევიდა. სოფლის მეურნეობას საქართველოს ეკონომიკისთვის სოციალური მნიშვნელობა გააჩნია. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდეგ მოცემულ სექტორში საგრძნობლად შემცირდა პროდუქტიულობა და ეფექტიანობა.

2015–20 წლების სტრატეგია მიზნად ისახავს სექტორში რეფორმების გატარებას და მის აღორძინებას. ევროკავშირი მნიშვნელოვანი მოცულობის ტექნიკურ დახმარებას და საინვესტიციო პროექტებს აფინანსებს ამ მიზნით.

სწორედ ღრმა და ყოვლის მომცველი ვაჭრობის შედეგი არის ის რომ, საქართველოში ნაწარმი სოფლის მეურნეობის პროდუქტები გაიცნო ევროპამ. აქტიურად დაიწყო ღვინი ჩირის თხილის ექსპორტი. ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ერთ წელში ღვინის ექსპორტი გაიზარდა 16%-ით, რაც 113.8 მილიონი დოლარის ღირებულების არის. აქედან გამომნდინარე ევროპა საქართველოსთვის აქტიურ პარტნიორად რჩება და სასიცოცხლოდ აუცილებელი არის საქართველოსთვის ევროპასთან მჭიდრო

საექსპორტო კავშირი. აუცილებელი არის ქვეყნის სასოფლო სამეურნეო პროდუქტების პოტენციალის განსაზღვრა და აგრალურ სექტორში ჩაბმული ხალხის იფორმირება თუ როგორ მოახერხონ მათ თავისი ნაშრომის ევროპაში გატანა. თუ რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი და რა ბიუროკრატიული პროცესები უნდა გადალახონ მათ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ბაზარი

საქართველოს სოფლის მეურნეობის ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელია, რომ ვიცოდეთ, როგორ მოხდეა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიწების დანაწილება, რა სახე მიიღო მან და როგორ ვითარდებოდა იგი.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმა 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის #48-ე დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისრეფორმის შესახებ“ გამოცემითა და სასოფლო-სამეურნეო მიწების მასობრივი განსახელმწიფოებრიობის გზით დაიწყო. პრივატიზაციის შედეგად ფიზიკურპირებს კერძოსაკუთრებაში გადაეცათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 0.76 მილიონი ჰა (სოფლებსა და მცირე ქალაქებში მცხოვრებ საოჯახომეურნეობებს ყოველგვარი საფასურის გარეშე დაურიგდათ 1.25 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი, მრავალწლოვანი ნარგაობანი) მიწა, ხოლო 5 ჰა-მდე სავარგულები (სახნავი და საძოვარი) იმოჯახებს, რომლებიც მთიან რაიონებში მეცხოველეობას მისდევდნენ. სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა 0.46 მილიონი ჰა, რომლიდანაც 0.30 მილიონი ჰა იჯარით გაიცა). მიწისგან კერძოება ძირითადად სოციალურ მიზნებს ემსახურებოდა და ესპროცესი მაშინდელი სამოქალაქო ომისა და აფხაზეთის კონფლიქტის მიმდინარეობის კონტექსტიდან გამომდინარე, ქაოტურად და დაუფიქრებლად მიმდინარეობდა. პრივატიზაციის დროს დაშვებულმა სერიოზულმა საკანონმდებლო

და ადმინისტრაციულმა ხარვეზებმა სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის მკვეთრ დაცემას შეუწყო ხელი. აღმოჩნდა, რომ მიწისგან კერძოების შედეგად სოფლის მეურნეობამ, როგორც სექტორმა, ეკონომიკური საქმიანობის როლი დაკარგა და სოფლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის მხოლოდ თავისრჩენის საშუალებად იქცა.

მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის განვითარების სამოქმედო პროგრამა შექმნა, 2015 წელს, რომელიც ითვალისწინებს 2015-2020 წლების სამოქმედო ნაბიჯებს სოფლის მეურნეობის საკითხებში:

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის (შემდგომში - სტრატეგია) საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცების (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის N167 განკარგულება) შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის და სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების ჩართულობით შემუშავებულ იქნა სტრატეგიის სამოქმედო გეგმა (შემდგომში - სამოქმედო გეგმა), რომელიც დამტკიცდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 7 მაისის N2-111 ბრძანებით. 2015-2020 წლებში სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია 91 პროგრამა (ვალდებულება). სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები პასუხობს სტრატეგიის 7 მიმართულებას: აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტურიანობის ამაღლება, ინსტიტუციური განვითარება, მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება, რეგიონული და დარგობრივი განვითარება - დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

სოფლის მეურნეობის სექტორში მოსახლეობის დიდი ნაწილი არის ჩაბმული 2018 წლის მონაცემებთ 3729600 კაციდან 1554800 კაცი ცხოვრობს სოფლად, მაგრამ

მიუხედავად ამის ისინი საკმარის პროიდუქტს ვერ ქმნიან რომ ქვეყნის მთლიანი მოთხოვნა დააკმაყოფილონ. ეს გარკვეული პრობლემებით არის გამოწვეული მაგალითად ფერმერული კლასის არარსებობა და დაბალი ტექნოლოგიური პროგრესი სოფლის მეურნეობაში. საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 2018 წლის მონაცემებით 8,2% უკავია სოფლის მეურნეობის პროდუქტს.

(ინფორმაცია მოძიებული არის geostat.ge-დან)



იმის მიუხედავად, რომ საქართველო 1991 წლიდან დამოუკიდებელი ქვეყანაა დღესაც საკმაოდ დიდ პრობლემებს განიცდის აგრალურ სფეროში, ვერ ხერხდება აგრალური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელება, მართველობითი სტრუქტურიდან გამომდინარე არსებობს გადაწყვეტილებების შესრულების დაბალი დონე. გამოწვევა რომელიც დგას ჩვენს წინაშე საკმაოდ რთულია „გახდეს საქართველო აგრალურ სფეროსი ანგარიშ გასაწევი ძალა“

სამომხმარბლო ბაზრის კვლევა

მე ჩავატარე საქართველოს ბაზარზე, საკვები პროდუქტის მარკეტინგული კვლევა რაც შემდეგი სახით განხორციელდა, შევადგინე კითხვარი რომელიც ძირითადად ორიენტირებული არის ქართველი მომხმარებლის პოზიციის დასადგენად თუ რა დამოკიდსებულება აქვთ მათ საქართველოში წარმოებულ პროდუქტის მიმართ და რას აქცევენ პირველ რიგში ისინი ყურადღებას ყიდვის დროს. გამოკითხულთა 61.9% შეადგენდა 18-25 წლის რესპოდენტებს, 12.7% იყო 25-35 11.1% გამოკითხულთა 30 დან 35 წლამდე ხოლო იყო. 35 დან 40 წლამდე გამოკითხულთა რაოდენობა მთლიან მონაცემებში იყო 14.3%. გამოკითხვაშ მონაწილეთა უმეტესობა მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო 87.1%. გამოკითხულთა უმეტესობის ხელფასი 0 ლარიდან 500 ლარამდე მერყეობდა. ყველაზე მნიშვნელოვან შეკითხვას კთხვარში, თუ რამდენად ხშირად მოიხმარდნენ ისინი საქართველოში წარმოებულ პროდუქტს მივიღთ შემდეგი სურათი: [234]

ინფორმაცია დამუშავებული არის DOCS.GOOGLE.COM-ის საშვალებით



ამ შედეგიდან გამომდინარე შესაძლებელი არის დასკვნის გაკეთება, რომ ქართველ მომხმარებელს ქართული პროდუქტის მიმართ ნდობა აქვთ. ეს შესაძლებელია გამოწვეული იყოს პროდუქტის მაღალი ხარისხით და დაბალი ფასით ინპორტირებულთან შედარებით. ეს შედეგი იძლევა პროგნოზირების შესაძლებლობას რომ ქართული პროდუქტი რომელიც წარმატებული არის საკუთარ ბაზარზე და მყარად აქვს ფეხი მოკიდებული გარკვეულ სექტორში, შეძლებს სამომავლოდ ექსპორტზე ფიქრს და ასე შეეძლება ერთ ერთ ყველაზე მდგრად და მაღალ მსყიდველობით უნარიან ბაზარზეც ცადოს ბედი როგორიც ევროკავშირის ბაზარი არის.

მოხმარებელმა თავისი პოზიცია დააფიქსირა ასევე პროდუქტის ბრენდირებასთან დაკავშირებით და პროდუქტის არავარგისიანობის შესახებ მათი ქცევის შესახებ. იხილეთ დანდართი(1.1 და 1.2)

ამ კითხვარიდან მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე შესაძლებელია რამდენიმე დასკვნის გაკეთება პირველი ქართული პროდუქტი შიდა ბაზარზე არის კონკურენტ უნარიანი. მეორე ქართველი მომხმარებელი არის ინფორმირებული და

მესამე მომხმარებელი აქტიურად ცდილობს პროდუქტის შესახებ მაქსიმალური ინფორმაცია მიიღოს.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია

საქართველოს სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭომ 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა დაამტკიცა, რომელიც სოფლის განვითარებისთვის 69 პროგრამის განხორციელებას ისახავს მიზნად. სხდომა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიმართა და მას მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ კერესელიძე უძღვებოდა.

ნოდარ კერესელიძის განცხადებით, მიღებული სამწლიანი გეგმა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას ითვალისწინებს და მოიცავს კონკრეტულ ამოცანებს, რომელსაც ყველა ის უწყება განახორციელებს ვინც სოფლის განვითარებაშია ჩართული.

,,ეს არის ის დოკუმენტი რომლითაც მოხდება ამ სამი წლის განმავლობაში სტრატეგიით დასახული მიზნების და ამოცანების რეალურ ცხოვრებაში აღსრულება და განხორციელება. სამოქმედო გეგმა სხვადასხვა მიმართულებით 69 პროგრამას მოიცავს. აქცენტი ამ პროგრამებში არის, პირველ რიგში, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, სოციალური პირობების გაუმჯობესება, ასევე აქცენტირებულია გარემოს დაცვითი ღონისძიებები, როგორიც არის მაგალითად ტყის და დაცული ტერიტორიების მდგრადი მართვის და შესაბამისი გეგმების განხორციელება, ასევე სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე საუბარია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შესაძლებლობების და განათლების ზრდა, ასევე ეკონომიკური დივერსიფიკაციის მიმართულებები, ფერმერული მეურნეობების მოდერნიზაცია. ჯამურად სამივე წლის ბიუჯეტი ამ პროგრამების არის დაახლოებით მილიარდ 700 მილიონი ლარი. “ - განაცხადა ნოდარ კერესელიძემ.

დამტკიცებული გეგმის მნიშვნელობაზე ისაუბრა გაეროს განვითარების პროგრამის ეკონომიკური განვითარების გუნდის უფროსმა გიორგი ნანობაშვილმა.

„დამტკიცებულ სამწლიან გეგმაში გაეროს განვითარების პროგრამა აქტიურად არის ჩართული ტექნიკური დახმარების განხორციელების კომპონენტში, რომელიც ხელს უწყობს მთავრობის უწყებებს არასამთავრობო ორგანიზაციებს და ყველა ჩართულ მხარეს, რომ განახორციელონ ეფექტური კოორდინაცია, განავითარონ საკუთარი უნარები და დაიგეგმოს და განხორციელდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც სოფლად მოიტანს ხელშესახებ ეფექტს. სწორედ ამ აქტივობებზე, რომელიც 3 წელიწადში უნდა განხრორციელდეს არის ეს სამოქმედო გეგმა, რომელიც კონკრეტულ ამოცანებზეა ორიენტირებული.“ - განაცხადა გიორგი ნანობაშვილმა.

სამწლიან სამოქმედო გეგმაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სოფლად მეწარმოებისა და ტურიზმის განვითარების კუთხით პროექტებს განახორციელებს. ამის შესახებ შეხვედრაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გენადი არველაძემ ისაუბრა. იუსტიციის მინისტრის მოადგილემ კი აღნიშნა, რომ სამინისტრო სოფლის განვითარების კუთხით რეგიონებში სერვისის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებაზე იმუშავებს. დღევანდელ სხდომას უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოში შემავალი ყველა სამინისტროს წარმომადგენელი მონაწილეობდა.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ დღეს მიღებული სამოქმედო გეგმა მომავალ კვირას მთავრობის სხდომაზე გავა დასამტკიცებლად.[5]

[5] ინფორმაცია მოძიებული არის საქართველოს სოფლის მეურნეობის ოფიციალური საიტიდან “www.moa.gov.ge“

პროექტები პოფლის მეურენობის განვითარებისათვის

DCFTA

2005 წლიდან საქართველო სარგებლობდა GSP+-ით რაც ევროპასთან დაბალი სავაჭრო ბარიერებს გულისხმობდა. 2006 წლიდან საქართველოზე მოქმედებდა ნულოვანი ტარიფები საექსპორტო პროდუქციის 75 %-ზე. DCFTA-ს შემოღების შემდეგ შესაძლებელი გახდა რომ ქართული პროდუქციის 100% შევიდეს ევროკავშირის ბაზარზე ყოველგვარი გადასახადების გარეშე მათ შორის სოფლის მეურნეობის პროდუქტები როგორიც არის: ღვინო, ყველი, ცოცხალი საქონელი, ცხვრისა და თხის ხორცი, მაწონი, შოკოლადი, საქონლის ტყავი და ბეწვი, კენკროვნები, ხილი, ბოსტნეული (მათ შორის დაკონსერვებული და გადამუშავებული) და ხილის წვენები.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N 186 განკარგულებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაევალა ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ნაწილის განხორციელების საერთო კოორდინაცია და მონიტორინგი. დგილობრივ დონეზე კოორდინაცია გულისხმობს კოორდინაციას საქართველოს სახელმწიფო უწყებებს შორის, **ევროინტეგრაციის კომისიის** მეშვეობით. კომისიას ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. კომისია, სხვა საკითხებთან ერთად ზედამხედველობს და კოორდინაციას უწევს ასოცირების შესახებ შეთანხმების, მათ შორის DCFTA-ს ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესს. კომისიის შეხვედრები იმართება ყოველკვარტლურად. უშუალოდ DCFTA-ს განხორციელების მიზნით ამავე კომისიის ფარგლებში შექმნილია **DCFTA-ს განხორციელების საკოორდინაციო**

უწყებათაშორისი ქვეკომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე.

DCFTA-ს განხორციელების პროცესში საზოგადოების მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად 2015 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიქმნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფი. საკონსულტაციო ჯგუფი არის სამინისტროს სათათბირო ორგანო, რომლის მთავარი მიზანია DCFTA-ის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა. ჯგუფის დაკომპლექტებულია საქართველოში მოქმედი ასოციაციებისა და ბიზნესის წარმომადგენლებით, კერძოდ:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია;

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება;

საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია;

ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო;

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა;

აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი -საქართველოს ეროვნული პლატფორმა;

საერთაშორისო სავაჭრო პალატა.

2014 წლის 24 ივლისს DCFTA-ს ეფექტიანად განხორციელებისთვის საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიამ დაამტკიცა 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა

რომელიც საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა. ასევე 2018 წელს შემუშავდა და დამტკიცდა 2018-2020 წლების საქმოედო გეგმაც. ამ დოკუმენტში წარმოდგენილია იმ რეფორმების დეტალური ჩამონათვალი, რომლებიც უნდა განხორციელდეს აღნიშნულ პერიოდში, და პასუხისმგებლობათა განაწილება. პირველი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ვაჭრობის ხელშეწყობის ზომებზე, როგორიც არის საბაჟო პროცედურების გამარტივება, ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის წარმომავლობის რეგულაციების შესახებ კანონების აღსრულებას, რაც ზოგადად გაზრდის საქართველოს წარმოებისა და ექსპორტის შესაძლებლობას (მაგალითად, მცირე და საშუალო საწარმოების შექმნით და ექსპორტის დივერსიფიცირებით). მეორე ნაწილი ეხება ზომების ფართო სპექტრს, რათა მოხდეს საკანონმდებლო დაახლოება და რეგულაციების ჰარმონიზება: ეს არის ტექნიკური სტანდარტები, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა, შრომის რეგულაციები, კანონი კონკურენციის შესახებ, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ნორმები და სხვა.

DCFTA-თან ჰარმონიზაციის პროცესი არის საკმაოდ რთული და ამ პროცესის მნიშვნელობა დღესაც არ ესმის ბიზნესის სექტორის ნაწილს. საჭირო არის უზარმაზიარი ხარჯების გაღება რათ საჭირო რეგულაციების ფარგლებში მოექცნენ. გასათვალისწინებელია, რომ სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ნორმების დაწესება ნებისმიერი საკვები პროდუქტებისთვის, რომლებიც იყიდება ქართულ ბაზარზე (მათ შორის იმპორტირებული პროდუქტებისთვის), გარდაუვლად გამოიწვევს ოფიციალური არხებით გაყიდული პროდუქტების ფასების ზრდას. ქართული მხარის რეგულაციების ბევრად განვითარებული ევროკავშირის ბაზრის რეგულაციებთან გათანაბრებით მწარმოებლები ვეღარ შეძლებენ ჩაანაცვლონ ინპორტირებული საქონელი. გაიზრდება შიდა წარმოების ხარჯებიც, მოსალოდნელი არის რომ გარკვეული სფერო საკმაოდ დაზარალდება ამის შედეგად მაგალითად ხორცის წარმოება რაც მოითხოვს სრულ რეორგანიზაციას და თანამშრომლების გადამზადებას.

ჰარმონიზაციის განრიგისა და პრიორიტეტების დადგენა მარტივი არ არის. გასათვალისწინებელია გარკვეული ნეგატიური გვერდითი ეფექტები. მაგალითად, მცირე და საშუალო საწარმოებმა და მცირე მიწის მფლობელებმა შეიძლება ვერ მოახერხონ DCFTA-ის მოთხოვნების (მაგალითად, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ან ეკოლოგიური რეგულაციების) სრულად DCFTA რისკები და შესაძლებლობები საქართველოსთვის დაკმაყოფილება. მათი გათავისუფლება ერთი რომელიმე ან ყველა რეგულაციისგან შეიძლება კარგი იყოს სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით, თუმცა მცირე და მსხვილი მწარმოებლებისადმი უთანასწორო დამოკიდებულებამ შეიძლება ეს უკანასკნელები დააზარალოს. მსხვილი, კაპიტალ-ინტენსიური ბიზნესები ბევრ ადამიანს არ ასაქმებს, მაგრამ მნიშვნელოვანია ქართული ეკონომიკისთვის, რადგან მათ გააჩნიათ ქართული ექსპორტის გაზრდის ან იმპორტირებული საქონლის ჩანაცვლების პოტენციალი. გასათვალისწინებელია, რომ ჰარმონიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად გაზრდის ახალ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის დანახარჯებს (როგორც მოხდა „ჰიპი-საქართველოს" შემთხვევაში, რომელიც იძულებული გახდა, დაეხურა თანამედროვე გადამამუშავებელი ქარხანა შიდა ქართლში). ამიტომ ნებისმიერი განრიგის დადგენამდე და კონკრეტული ზომების მიღებამდე მთავრობამ უკეთ უნდა შეისწავლოს სექტორისთვის დამახასიათებელი ნეგატიური გვერდითი ეფექტები.

ქართულ მხარეს შეუძლიათ მოკლე დროში გააფართოვონ საკუთარი საექსპორტო კავშირები, ეს პროცესი განსაკუთრებით ეხება სოფლის მეურნეობის სექტორს რომელიც დიდი პოტენციალით გამოირჩევა და შესაძლებელია ისეთი პროდუქტები როგორიც ღვინო და მინერალური წყლებია აქტიურად გავიტანოთ ევროკავშირის ბაზარზე. საქართველოს მთავრობას შეუძლია ხელი შეუწყოს ერთობლივი ინესტიციების შესახებ გადაწყვეტილებების (მათ შორის DCFTA-ის რეგულაციების განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების), წარმოების საშუალებების, უნარ-ჩვევებისა და მეორადი მომსახურებების (Downstream Services) შესახებ დებულებების, პროდუქტების სერტიფიცირებისა და ხარისხის კონტროლის,

ექსპორტის ხელშეწყობის, ტრანსპორტირებისა და ლოჯისტიკის, საერთაშორისო ბრენდინგისა და მარკეტინგის შიდა სექტორულ კოორდინაციას.

საქართველო ევროკავშირის ბაზართან იოლად მისაწვდომი გზა არის. იგი განთავისუფლებულია გადასახადებისგან. სწორედ ეს შეიძლება გახდეს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინების მთავარი მიზეზი. ასევე მიმზიდველი შეიძლება იყოს ევროპელი ინვესტორებისათვის სამუშაო ძალის დაბალი ღირებულებით და ელექტრო ენერგიაზე დაბალი გადასახადით ასევე სიახლოვით აზიურ ბაზართან. არაევროპელი ინვესტორებისთვის საქართველომ შეიძლება შეასრულოს საბაჟო მოსაკრებლებისგან განთავისუფლებული „საექსპორტო პლატფორმის" როლი ევროკავშირზე ორიენტირებული პროდუქტებისა და სერვისებისთვის.

შეიძლება დავასახელოთ ორი ძირითადი ჯგუფი, რომელთაც აქვთ ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალი:

- სოფლის მეურნეობა და სურსათი, განსაკუთრებით ცხოველური პროდუქტები, მომზადებული საკვები. ამ პროდუქტებზე მოქმედებს ყველაზე მაღალი ტარიფები;

- ინდუსტრიული პროდუქტები, განსაკუთრებით ქსოვილები, ფეხსაცმელი, ქიმიური პროდუქტები, ასევე გარკვეული საინჟინრო პროდუქტები: საშუალოდ უფრო დაბალი ტარიფები, მაგრამ გარკვეული რაოდენობის მაღალი მაქსიმალური ტარიფები.[6]

[6] ინფორმაცია მოძიებული არის DCFTA.GOV.GE დან (17. 07. 2019)

ევროკავშირის პროექტი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის „ENPARD”

ევროკავშირი სოფლისმეურნეობის განვითარებას საქართველოში ხელს უწყობს თავისი სოფლისმეურნეობის განვითრების სამეზობლო პოლიტიკით ENPARD-ის დახმარებით.

2013 წლიდან დაიწყო ამ პროგრამის განხორციელება, პროგრამა საქართველოს მთავრობას ეხმარება ასევე ადგილობრივ თემებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, მთავარი მიზანი კი არის რომ სოფლად სიღარიბე შემცირდეს.

პროგრამის დახმარება ითვალისწინებს შემდეგ ძირითად საკითხებს:

- სოფლის მეურნეობის ინსტიტუციების გამუჯობესება და მათი დახმარება დარგის ტრანსფორმირების დროს
- სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება კოოპერატიული საზოგადოების შექმნით და რესურსებზე წვდომის გაიოლებით.
- სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაცია, რომელშიც ქალები და ბავშვები მიიღებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას

რაც შეეხება ბიუჯეტს რომელიც მოცემული პროგრამის დასაფინანსებლად არის შექმნილი განისაზღვრება: 179.5 მილიონი ევროთი. პროექტი დაყოფილია სამ ფაზად

I. ფაზა 52 მილიონი ევრო მოცემული ფაზის ხანგრძლივობა არის 2014-2017 წლები
II. ფაზა 50 მილიონი ევრო ხანგრძლივობა 2016-2019 წლები
III. ფაზა 77.5 მილიონი ევრო რაც თავის ხანგრძლივობით მოიცავს 2018-2022 წლებს

EPARD-ს აქვს თავისი რუკა სადაც აღწერილია მისი სამოქმედო ლოკაციები და პროგრამები. (იხილეთ დანართი 1.3)

უნდა აღინიშნო საქართველოში ევროკავსირის წარმომადგენლობის სურსათის უვნებლობის და სოფლის განვითარების ატაშეს განცხადებაც რომ ENPARD-ის პროგრამა საქართველოში მიმდინარეობდა და მის ფარგლებში 40 მილიონი ევრო დაიხარჯა წლების განმავლობაში როცა ვსაუბრობთ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უმეტესობა თვლის რომ ეს არის აგრალური წარმოების განვითარება მაგრამ ეს ესე არ არის. უპირველესი მნიშვნელობა აქვს სოფლად მცხოვრები ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებას, მათ უნდა ქონდეთ ალტენატიული დასაქმების საშვალებაც.[7]

პროექტები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის

მნიშვნელოვანია გამოვყოთ ის პროექტენბი რომლებიც განხორციელდა სოფლის მეურნეობის დარგში გარდამტეხი პერიოდი იყო 2012 წელი როდესაც საქართველოს ახალმა მთავრობამ სოფლის მეურნების აღორძინება გამოაცხადა პრიორიტეტულად.

სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით 2012 წელს დაარსდა სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო APMA.GE სააგენტო ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტების მართვას ასევე დაქვემდებარებული სასოფლო სამეურნეო კომპანიების მართვა.

არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი რომელიც დაიწყო და განხორციელდა სააგენტოს ფუნქციონირების პერიოდში გამოვყოფ სამ მათგანს :

- დანერგე მომავალი
- აგრო დაზღვევა
- აგრო წარმოების ხელშეწყობის პროგრამა

[7] ინფორმაცია მოძიებული არის ENPARD.GE-დან (17. 07. 2019)

დანერგე მომავალი- მთავარი მიზანი არის სასოფლო სამეურნეო მიწების ეფექტური გამოყენება, ინპორტირებული პროდუქტის ჩანაცვლება, ექსპორტის ზრდა, გადამამუშავებელი საწარმოების ნედლელით უზრუნველყოფა ასევე სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური დონის ამაღლება

მაღალი ხარისხის ფიტოსანიტარულად სუფთა ნერგების შეთავაზება, დაბალ ფასად და ინპორტირებულის ჩანაცვლება.

პროგრამის ამოცანას წარმოადგენს;

- თანამედროვე სტანდარტების მაღალხარისხიანი ახალი სანერგე მეურნეობის შექმნა
- მრავალწლიანი ახალი კულტურების ბაღების და პლანტაციების შექმნა
- მეურნეობის და ბაღების შექმნის მსურველებისთვის დახმარების გაწევა

აგრო დაზღვევა-აგრო დაზღვევის პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბერ ამოქმედდა და მიზნად ისახავს სადაზღვევო ბაზრის განვითარებას აგრო სექტორში. აგრალურ სფეროსი ჩართული მოსახლეობის დაცვას რისკების დაზღვევით და შემოსავლების შენარჩუნებას.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახდენს ლიცენზიის მფლობელ სადაზღვევო კომპანიებითან თანამშრომლობას, სადაზღვევო პრემიის სუფსიდირებას და მათ მონიტორინგს.

პროგრამაში მონაწილეობს 8 სადაზღვევო კომპანია:

1. ალდაგი
2. ჯი პი აი ჰოლდინგი
3. ალფა
4. სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია
5. თიბისი დაზღვევა
6. საქართველოს დაზღვევო ჯგუფი
7. და გლობალ ბენფიტ ჯორჯია
8. არდი

სადაღვევო პოლისი ფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს:

- სეტყვა
- წყალდიდობა
- ქარიშხალი
- საშემოდგომო ყინვა(მხოლოდ ციტრუსებისათვის) 1 სეტემბრიდან 31 ნოემბრის ცათვლით

შესქაძლებელია 5 ჰექტარი მიწის დაზღვევა ასევე მცენარეული კულტურის შემთხვევაში 30 ჰექტარი. თვითოეული ბენეფიციალი მიიღებს 70%- მდე თანადაფინანსებას ხოლო ვაზის შემთხვევაში 50%

აგრო წარმოების ხელშეწყობის პროგრამა- „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის“(AMMAR) ფარგლებში ხორციელდება პროექტი.

პროგრამა ფინანსდება სოფლისმეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის(IFAD) და გარემოს დაცვის ფონდის(GEF) მიერ.

პროგრამის მიზანია:

- პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხის და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა.
- მოქმედი აგროსაწარმოების გაფართოება და მოდერნიზაცია
- საერთო სტანდარტების თანამდეროვე ტექნოლოგიების დანერგვა
- არსებული ბაღების პოტნციალის მაქსიმალური გამოყენება
- ახალი გადამამუშავებელი და შემანახავი საწარმოების სექმნა

მნიშვნელოვანი პროექტი საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში არის „აწარმოე საქართველოში“ რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სოფლისმეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება [8]

[8] ინფორმაცია მოძიებული არის ARDA.GOV.GE-დან (17. 07. 2019)

ექსტენცია

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის ზრდაზე ევროკავშირის ბაზარზე მნიშვნელოვანი არს რომ გავზარდოთ საერთო ცოდნა სოფლის მეურნეობის დარგში. რაც დაეხმარება ადგილობრივ ფერმერებს სწორად მოახდინონ საკუთარი საქმიანობის სწორედ ორანიზება, დაგეგმონ საწარმოო პროცესები ეფექტურად და რაცილონალურად, აწარმოონ ზუსტი ხარჯთ აღრიცხვა, ისწავლონ ახალი ტექნოლოგიების გამოყენება.

სწორედ 2015 წლის 12 აგვისტოს სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-183 ბრანებით შეიქმნა ჯგუფი რომელმაც დაიწყო ექსტენციის პროგრამის შემუშავებაზე მუშაობა. ჯგუფს დახმარება აღმოუჩინა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ENPARD პროგრამის დაფინანსებითა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) განხორციელებით მიმდინარე ,,სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური დახმარების“ პროექტმა. ასევე სხვადასხა საერთაშორისო კომპანია და დონორი ორგანიზაციები ახდენენ დახმარებას რაც გამოხატულია სტრატეგიის განხილვის პროცესში მმონაწილეობით და შენიშვნების და რეკომენდაციების გაკეთებით.

ექსტენციის მიზანი ფერმერებისთვის საჭირო ცოდნის და ინფორმაციის მიწოდება არის. ეს მიზანი ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის 2015-2020“ დოკუმენტშიცაა ასახული ,,აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების“ სტრატეგიულ მიმართულებასა და ,,ფერმერთა ცოდნის ამაღლებისა და ეფექტიანი სასოფლოსამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევის“ ღონისძიებაში.

2013 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ფერმერთათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით მუნიციპალიტეტებში შექმნა 54 „საინფორმაციო-

საკონსულტაციო სამსახური“ ასევე მომზადდა 247 პროფესიონალი კონსულტანტი აგრო საკითხებში. ფერმერთათვის ცოდნის გადაცემის მიმართულებით გადადგმულ კიდევ ერთ ნამიჯს წარმოადგენდა 2014 წელს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბება, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანიც სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სურსათის წარმოების ხელშეწყობა, ახალი ტექნოლოგიების კვლევა - დანერგვა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა ცნობადობის ამაღლება გახლავთ.

ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების მესამე ტრანშის მონიტორინგის მისიის დასკვნაში აღინიშნა, რომ საქართველომ ძირითადად დააკმაყოფილა რა აღებული ვალდებულებები, წარმოადგინა რამოდენიმე რეკომენდაცია ამ სამსახურების მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ კერძოდ:

- სისტემების, პროცედურების, ტრენინგის და უპირველეს ყოვლისა, მართვის გაუმჯობესება
- სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სახელმძღვანელოს მომზადება ექსტენციონისტთა საქმიანობის წარმართვისა და გაუმჯობესებისთვის;
- მთელი ქვეყნის მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის კამპანიის წარმართვა ტელევიზიის, ვიდეო და ნაბეჭდი მასალების მეშვეობით;
- საცდელი და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა ფერმერებისთვის იმის საჩვენებლად, თუ რა მუშაობს;
- ექსტენციის ზეგავლენის მონიტორინგი და შესაბამისი ინფორმაციის გამოყენება სისტემის გასაუმჯობესებლად;
- არსებული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ფუნქციების გამიჯვნა მხოლოდ ექსტენციის საკითხებზე მომუშავე იმ პერსონალის გამოყოფით, რომელიც არ იქნება დაკავებული სხვა დავალებებით;

- ექსტენციის სტრუქტურის გაძლიერება მუნიციპალურ, რეგიონულ და მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მასალების შექმნა და ექსტენციის სამსახურის მართვაში ფერმერთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მიღებული შენიშვნების და რეკომენცაციების შედეგად საბოლოოდ შემუშავდა და წარადგინა სოფლისეურნეობის ექსტენციის სტრატეგიის დოკუმენტი. ეს დოკუმენტი გულისხმობს მისი განხორციელების ორ ეტაპს

1. (2018 წელი) პილოტ-რეგიონების შერჩევა და სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მექანიზმების შემუშავება-აპრობაციისთვის.
2. (2019) ექსტენციის შემუშავებული მექანიზმების რეპლიკაცია ქვეყნის სხვა რეგიონებში და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ცენტრის იურიდიული გაფორმება.

პირველიგში აღსანიშნი ის არის რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მთავარი მიზანი არის საქართველოს სოფლისმეორნეობის პროდუქტების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ახალი ტექნოლოგიების გაცნობის და ცოდნის გადაცემის გზით. აქედან გამომდინარე სოფლის მეურნეობის ექსტენციის განხორციელება დამოკიდებულია ისეთ ძირითად საკითხებზე როგორიც არის:

- მოქნილი და გამჭვირვალე მენეჯმენტი - შესაბამისი სამართლებრივი ფორმით, დამოუკიდებელი ცენტრალური/რეგიონული/მუნიციპალური სტრუქტურებით და ექსტენციის ეროვნული/რეგიონული/მუნიციპალური ფერმერთა საბჭოებით.
- გამართული და ეფექტური ინფრასტრუქტურა - სადემონსტრაციო ნაკვეთებით, სატრანსპორტო საშუალებებით, ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გადაცემის ტექნიკური საშუალებებით, პროფესიული ადამიანური რესურსით, ცოდნის გადაცემის თვალსაჩინო მასალებითა და სხვა

- სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგი - აგრარული ბაზრის კვლევით, წარმოების სრული ჯაჭვის შესახებ ინფორმაციის მოპოვებით, მარტივი და პოპულარული გზით ფერმერთა კონსულტირებით და სხვა.

სოფლის მეურნეობის ექსტენციის დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდება რომელიც ანგარიშ ვალდებული იქნება სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და იმოუშავებს მხოლოდ ექსტენციის საკითხებზე და საჭირო დაფინანსებაც ექნება საქმიანობის განსახორციელებლად. მოიაზრება რომ ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი იურიდიული პირის ფორმით რასაც საკანონმდებლო და მარეგულირებელის ცვლილებები დასჭირდება.

ქვემოთ მოცემულია სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგიის ძირითადი ამოცანები:

1. ინსტიტუციური განვითარება, რჩევების გაცემა და დამხმარე საქმიანობა
2. ექსტენციის მეთოდოლოგიის შემუშავება და რჩევების გაცემა
3. შედეგებზე ორიენტირებული ინდიკატორები და ხარჯების შეფასება

მნიშვნელოვანი საკითხი არის რომ სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მართვის პროცესი იყოს გამჭირვალე. ასეთი გამჭვირვალობა კი მიიღწევა ექსტენციის პროცესში ფერმერთა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა უწყებების წარმომადგენელთა ჩართულობით. ასეთ ჩართულობას უზრუნველყოფენ ,,ფერმერთა საბჭოები“.

უფრო კონკრეტულად რომ ვიცოდეთ 2018 წლის სამოქმედო გეგმა გავეცნოთ განსახორციელებელ აქტივობებს:

1. შეირჩევა ორი პილოტ რეგიონი: ა რაჭა/ლეჩხუმის და ბ გურიის
2. შერჩეულ პილოტ რეგიონებში განხორციელდება ექსტენციის მექანიზმების შემუშავება და აპრობირება, კერძოდ:

- ფერმერთა გამოკვლევა და შესაბამისი სამიზნე ჯგუფების დადგენა, მათი ცოდნის შეფასება და საჭიროებების განსაზღვრა;
- ფერმერთა საჭიროებების შესაბამისი ექსტენციის პაკეტების მომზადება და წვრთნების/ტრენინგების ორგანიზება;
- ექსტენციის სრული პროცესის დაგეგმვის, საინფორმაციო კამპანიის (საინფორმაციო ლიტერატურა, სადემონსტრაციო ღონისძიებები, ექსპერტთა და სამეცნიერო ცენტრის ჩართულობა, მობილური და E-ექსტენცია/SMS, ადგილობრივი მედიაექსტენცია/ტელევიზია, რადიო, სოციალური ქსელი) ორგანიზება და განხორციელების კოორდინაცია;
- სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ანგარიშგების, შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება;
- „ცენტრის“ სამომავლო მართვის ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქციების შემუშავება;
- პროაქტიული საექსტენციო აქტივობების მიზნობრივი წარმართვისათვის მომხმარებელთა მონაცემთა ბაზის შექმნა.

2019 წელს განხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- პილოტ რეგიონებში აპრობირებული ექსტენციის მექანიზმების ანალიზი და მათი ადაპტაცია/რეპლიკაცია ქვეყნის სხვა რეგიონებში;
- „ცენტრის“ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის, ფუნქციების, ბიუჯეტის და სამოქმედო გეგმის დაზუსტება;
- „ცენტრის“ იურიდიულად გაფორმება, კადრებით დაკომპლექტება და ფუნქციონირების დაწყება.

სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მთავარი მიდგომაა ქვეყანაში დღეს არსებული 230 ექსტენციონისტისა და 700 000-მდე მცირემიწიანი ფერმერის მიზნობრივი აუდიტორიის პირობებში ეფექტურად გამოიყენოს, როგორც ინფორმაციის მასობრივი გავრცელების მეთოდები, ასევე ინდივიდუალური კონსულტაციების

შესაძლებლობები. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი ტექნოლოგიების უპირატესობების დამარწმუნებელ თვალსაჩინო მეთოდებს, კერძოდ სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობას და მათში ფერმერთა პერმანენტულ მობილიზებას ე.წ. „საველე დღეების“ მოწყობის გზით.

რაც შეეხება მიმდინარე ექსტენციური პროცესების მართვას, ექსტენციის მომავალ სამსახურს თავისი დირექტორი და მოადგილე ეყოლება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მთლიან სტრატეგიაზე და სამსახურის საქმიანობაზე. დირექტორი და დირექტორის მოადგილე/საველე კოორდინატორი უზრუნველყოფენ ექსტენციის რეგიონული და მუნიციპალური სამსახურების მხარდაჭერას და შეთანხმებული სამუშო გეგმების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგს, ასევე მოიაზრება სხვა დამხმარე თანამდებობები (მდივანი, მძღოლი და სხვა).

რეგიონალური და საერთო თანამშრომლობას რაც შეეხება, სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და ტრენინგის სისტემაში ჩართული სამეცნიეროკვლევითი და სასწავლო ორგანიზაციების მხარდაჭერის გაწევაში ამჟამად ჩართულნი არიან გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA) და შვეიცარიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (SDC) და ეს მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან. [9][10]

---

[9] ინფორმაცია მოძიებული არის ბმულიდან „enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf“ (17. 07. 2019)

[10] სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია-წარმოდგენილი დოკუმენტის მოამზადება დაიწყო ექსტენციის სტრატეგიის პროექტის შესამუშავებლად შექმნილმა ჯგუფმა, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს N2-183 ბრძანებით

სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლებზე გაწერილი სტრატეგია

დიდი როლი უკავია საქართველოში აგრალური სტრატეგიის შემუშავებში საქართველოს პარლამენტის აგრალურ კომიტეტს. მათი მთავარი ფუნქცია არის რომ შეიმუსავონ აგრალური პოლიტიკა მოაგვარონ ძირითადი ადმინისრაციული პრობლემები ასევე მოახდინონ მონიტორინგი და გაუწიონ შიდა საკითხებს ზედამხედველობა. საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია რომ იფორმირებული იყოს კომიტეტის საქმიანობაზე ასევე გამჭირვალეობის მაღალი დონით უნდა გამოირჩეოდეს კომიტეტი და გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობით.

გეგმას რომელიც საქართველოს მთავრობამ დასახა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის უნდა აღვნიშნოთ რომ ის 74.9%-ით არის შესრულებული. მიმდინარეობს რამდენიმე საკითხის გაუმჯობესებაზე მუშაობა ესენია:

- სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება
- მეურნეობათა რეესტრი
- სათესლე და სანერგე მასალების სერთიფიცირება
- მიწათსარგებლობის სისტემა
- ასოცირების შეთნხმებით ევროკავშირის კანონდებლობასთან დაახლოებული რეგულაციები

საქართველო მაქსიმალურად ცდილობს დაუახლოვდეს ევროკავშირს რაც ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების პირობების შესრულებაში გამოიხატება სწორედ 2015-2020 წლების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი როლი უკავია საქართველოს მხრიდან ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრული ხელშეკრულების პირობების შესრულებას რაც საქართველოს არა მარტო ერთ დარგს გაუწევს დიდ

სამსახურს არამედ მთლიან ეკონომიკასაც. აღსანიშნავია მიმდინარე საქმიანობის მონიტორინგიც

რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს წინა წელთან შედარებით 2017 წელს გაუმჯობესდა მაგრამ აღსანიშნია ის ფაქტი რომ მთლიან უცხოურ ინვესტიციებში სოფლის მეურენობის წილი 1% არ ცდება რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია აქედან ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა რომ სოფლის მეურნეობის სექტორი ინვესტორებისათვის არამიმზიდველი არის სწორედ ეს მოცემულობა ბადებს კითხვას რა არის მიზეზი უცხოური ინვესტიციების სიმცირის სოფლის მეურნეობის დარგში. აქ ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე საკითხი მაგალითად საკითხი მიწის პრივატიზაციასთან დაკავშირებით: [i]კანონი საბოლოო სახით 2014 წლის 19 სექტემბერ შემოვიდა და არეგულირებს საქართველოში მიწის გაყიდვას უცხოელებზე, კანონის თანახმად მიწას ვეღარ შეისყიდის უცხოეთში დაფიძნებული კომპანია ან იურიდიული პირი ასევე ის უცხოური კომპანია რომელიც საქართველოში არის დაფუძნებული სამაგიეროდ ის უცხოელი რომელიც მემკვიდრეობით მიიღებს მიწას შეეძლება გახდეს მესაკუთრე მიწის ეს საშვალებას აძლვს ჩვენს თანამემამულეებს რომლებმაც საქართველოშ მოქალაქეობა დაკარგეს და გახდნენ უცხოეთის მოქალაქეები მიიღონს წინაპრებისგან დატოვებული მიწა. შერეული ქორწინების პირობებში როდესსაც ერთი საქართველოს მქალაქეა ხოლო მეორე არ არის საქართველოს მოქალაქე თანასაკუთრებაში არსებული მიწა განქორწინების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეს ენიჭება უფლება უპირატესი შესყიდის წესით შეისყიდოს მეუღლის საუთრებაში არსებული მიწა. უცხოელ მეუღლლემ კი ქორწინების შემდეგ უნდა გაასხვისოს ქორინებაში არსებული მიწა. ფიზიკურ პირებს და უცხოურ კომპანიებს რომლებიც დაფუძნედებიან საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით უფლება აქვთ გახდნენ ქართული მიწის მესაკუთრე შემდეგი პირობების დაცვით: მას უნდა ქონდეს 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება აგრალურ დარგში ხოლო ფიზიკურ პირებს უნდა ქონდეთ საქართველოში ბინადრობის ან საინვესტიციო ბინადრობის უფლება. კანონში არის დათქმა, საქართველოში

დაფუძნებულ იურიდიულ პირს რომლის 50% ფლობს უცხოელი ექნებათ უფლება შეისყიდონ მიწა არანაკლებ 5 ჰექტარი და არაუმეტეს 100 ჰექტარისა. მთავრობა ინარჩუნებს უფლებას რომ კონკრეტულ საინვესტიციო გეგმის არსებობის პირობებში იურიდიულ ან ფიზიკურ პირს ნება დართოს შეიძინონ მიწა.

ერთ-ერთი მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი დარგის განვითარების არის მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემეები ასევე დიდი პრობლემაა მიწის რეესტრის არაადეკვატური მუშაობაც პრობლემას წარმოადგენს კადასტრის არასრულყოფილება რაც მიწის გაყიდვის ბაზარს დიდ საფრტხეს უქმნის.საქართველოს სოლის სმეურნეობის გარემოს და სოფლის სტატისტიკის სტრატეგიული გეგმა 2016 -2020. საქართველოს სსოფლის მეურნეობის გარემოს სტატისტიკის სტრატეგიული გეგმის შემუშავება აუცილებელი არის. პირველრიგში უნდა შემუშავდეს სოფლის მეურნეობის სტატისტიკა რათა უზრუნველყოფილი იქნეს 2015-2020 წლების განვიტარების სტრატეგიის მონიტორინგი და შედეგების შეფასება თავად სტრატეგია ყოვლის მომცველია და მოითხოვს ახალი ტიპის მონაცემების და ახალი ტიპის მაჩვენებლების არსებობას. SPARES მომზადება ახალი სტატისტიკასთან კოორდინირებულად ხდებოდა. ლიტვის სტატისტიკის სამსახურის დახმარებით ხდება განახლება ახალი სტარატეგიული გეგმის მომზადება რომელიც დაგვაახლოვებს ევროპის სტატისტიკურ სასახურების კანონმდებლობასთან.[11][12][13]

შესაძლებლობები აგრალურ სფეროში

[11] ინფორმაცია მომაწოდა მიხეილ თოქმაზაშვილმა.
[12] ინფორმაცია მოძიებული არის GEOSTAT.GE-დან (17. 07. 2019)
[13] ინფორმაცია მოძიებული არიs ENPARD.GE-დან (17. 07. 2019)

პოტენციალის განხილვა

საექსპორტო სტრუქტურა საქართველოში კერძო დარგების სპეციალიზებით გამოირჩევა, ქართული ექსპორტი ორიენტირებული არის ძირითადად ტურიზმზე, აგრო პროდუქტიე ექსპორტზე, ასევე ენერგო რესურსების ექსპორტზე. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამთო მოპოვებაც. მიუხედავად მრავალ მხრივი მცდელობისა საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს 2019 წლის იანვარ-მარტში უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 26.5% იყო. მნიშვნელოვანია ამ საკითხზე მუშაობისას ვთვათ რომ აუცილებელია შეიქმნას ისეთი პროდუქტები რომელსაც დამატებითი ღირებულება გააჩ0ნია რაც მეტ შემოსავალს მოიტანს ასევე მნიშვნელოვანი არის დივერსიფიკაცია მოხდეს საექსპორტო ბაზრის რათა დამოკიდებულება შესუსტეს ბაზებზე. ექსპორტის დივერსიფიკაცია ბაზრის მიმართულებების და პროდუქტების მიხედვით მნიშვნელოვანია ინდივიდუალურ ბაზრებზე და შესაბამისად შოკებზე დამოკიდებულების დონის შესამცირებლად. ყურადღება არის გასამახვილებელი პროდუქტის ხარისხზე, მნიშვნელოვანია არა ერთგვაროვანი პროდუქტის წარმოება როგორიც არის მაგალითად პამიდორი ან კარტოფილი, რომლის წარმოებაც ყველა ქვეყანას შეუძლია და გასაყიდი ფასის შემცირებით შეუძლია ბაზრის წილის წართმევა არამედ ისეთ პროდუქტზე რომელსაც სხვა ვერ გაიმეორებს და იოლად ვერ აწარმოებს. მაგაითად ციტრუსები რომელსაც სპეციალური კლიმატი ჭირდებათ. ექსპორტის სპეციალიზაცია ქვაყანაში სამუდამოდ დაფიქსირებული არ არის, დროთა განმავშობაში შესაძლოა განვითარდეს. განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკისთვის დამახასიათებელია ეტაპობრივად გადასვლა მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქტის წარმოებაზე, შედარებით მარტივი პროდუქტებიდან უფრო სპეციალიზებულ პროდუქტებზე. ქვეყანა რომელიც გეგმავს გარკვეულ სფეროში შიდა წარმოება გახადოს კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე შემთხვევითობა არ არის. გარკვეული საქონლის წარმოებაში კონკურენტ უანრიანობისთვის საჭირო არის

გარკვეული ფაქტორები მაგალითად ფეხსაცმლის ექსპორტი მოითხოვს დაბალ შრომით ღირებულებას. ფინანსური სისტემის ექექსპორტირება მოითხოვს ძლიერ საფინანსო სისტემას და გამართლ იურიდიულ სფეროს, ხოლო ანანასის ექსპორტს კი ესაჭიროება თბილი კლიმატი. უფრო ხშირად, აუცილებელია ორი ან მეტი ფაქტორის კომბინაცია კონკურენტუნარიანი პროდუქტის შესაქმნელად. ეკონომიკური სპეციალიზაციის განვითარება უშუალოდ საბაზრო პროცესების განვითარების შედეგი უნდა იყოს და არა სახელმწიფო დაგეგმარებისა. თუმცაღა კვლავ არსებობს ისეთი როლი, რომელიც სახელმწიფო სექტორმა შეიძლება და უნდა იკისროს როგორც ქვეყნის „ეკონომიკური იდენტობისთვის“ გაჩაღებულ ხანგრძლივ დებატებში ჩართვით, ასევე იმ აუცილებელ გადაწყვეტილებათა მიღებით, რომლებმაც ნებით თუ უნებლიედ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და, შესაბამისად, ეკონომიკური სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულება უნდა გამოკვეთოს.

სახელმწიფო ეკონომიკურ განვიარების პროცეზზე პირდაპირ გავლენას ახდენს თავისი გაადაწყვეტილებებით და პოლიტიკით. მთავრობას შეუძლია მკაფიო სასოფლო სამეურნეო პოლიტიკა აირჩიოს სწორედ მისი სწორი ქმედებები და გადაწყვეტილებები მოახდენენ სექტორის მკაფიო სტიმულირებას. მაგრამ არსებობს საკამათო საკითხი საქართველომ უნდა აირჩიოს დარგისადმი პროტექციული მიდგომა თუ უნდა დარეს ნეიტრალური. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სისუსტე და ბაზრის სიმცირე არ იძლევა იმის საშვალებას რომ ქვეყანამ პროტექციონისტულ მიდგომაზე სრულიად უარი თქვას რადგან ახლად შექმნილი საწარმოები რომლებიც იწყებენ ოერირებას შიდა ბაზარზე ვერ უწევენ კონკურენციას ინპორტულ საქონელს და არათუ საექსპორტო მიზნები არამედ შიდა ბაზარზე წარმოქმნილი პრობლემებს ვერ უმკლავდებიან, საჭირო არის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში მოხდეს შიდა წარმოებების წახალისება, რათა მათ მოახერხონ გარკვეული დონის მიხწევა საიდანაც ხელშეწყობის გარეშე შეძლებენ საქმიანობის გაგრძელებას. თუმცა არსებობს ისეთი აუცილებელი გადაწყვეტილებები, რომელთა განხორციელებისას შეუძლებელია რომელიმე სექტორისადმი სახელმწიფოს სრული მიუკერძოებლობის

შენარჩუნება. უპირატესად, აქ მოიაზრება ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მწირი საჯარო რესურსების გადანაწილებას შეეხება. საჯარო ინფრასტრუქტურისათვის საჭირო ისეთი ინვესტიციები, როგორებიცაა გზატკეცილები, ყველა სექტორს თანაბარ სარგებელს ვერ მოუტანს - ამ გზების წყალობით შესაძლოა პლაჟები, ან სამეწარმეო ტერიტორიები დაუკავშირდნენ აეროპორტს[14]

საქართველოს არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის სისუსტეს ძირითადად განაპირობებს ექსპორტის კონცენტრირება კონკრეტულ პროდუქტებზე. 2014-2016 წლებში სასმელებზე, მათშორის ღვინოზე, ძლიერ ალკოჰოლურ სასმელებსა და მინერალურ წყლებზე მოდიოდა საქართველოს სურსათის ექსპორტის 47%. ხილზე (განსაკუთრებით თხილზე) მოდიოდა ექსპორტის 28%. შედეგად, მიუხედავად საქართველოს მრავალფეროვანი კლიმატური პირობებისა და მსხვილი სოფლის მეურნეობის სექტორისა, ქვეყნის სურსათის პროდუქტების ¾ მოდიოდა პროდუქტების ორ ვიწრო კატეგორიაზე. იხილეთ დანართი (1.4)

2009-2016 წლებში საქართველოს სურსათის ექსპორტის 61% გადიოდა ყოფილი საბჭოთაკავშირის ქვეყნების ბაზრებზე, ძირითადად, რუსეთსა და უკრაინაში

პროდუქტებისა და საექსპორტო ბაზრების შეზღუდულ რაოდენობაზე კონცეტრირების გამო ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი უაღრესად დაუცველია აღნიშნულ ბაზრებზე მომხდარი შოკებისა და შეფერხებებისაგან. ცალკეული საბაზრო რისკების თავიდანაცილებისთვის საჭიროა ექსპორტის დივერსიფიცირება. ამიტომ საქართველოს სასოფლო- სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი უნდა გავაძლიეროთ, როგორც საექსპორტო საქონლის მოცულობის, ისე საექსპორტო საქონლის რაოდენობის გაზრდით

---

14 ჯორჯ ზაჩმანი, დ. ს. (2015 წლის 1 1). *გერმანიის ეკონომიკური გუნდი საქართველო.* მოპოვებული www.get-georgia.de: https://www.get-georgia.de/wp-content/uploads/2014/12/PP_01_2015_geo.pdf-დან

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცოოს ექსპორტის ზრდის პოტენციალი

ექსპორტის გაზრდის რამდენიმე ძირითადი მიმართულება არსებობს:

1 **ხარისხის გაუმჯობესება** ეს ის მნიშვნელოვანი კომპონენტია რაც ევროკავშირის ბაზრის ათვისებაში დიდ როლს თამაშობს. პროდუქტი რომელიც არ აკმაყოფილებს ევრო სტანდარტებს შეუძლებელია რომ გაიყიდოს ევროპაში, მაგალითისთვის ქართული კომპანიამ რომელიც აწარმოებს თაფლს და ის ექსპორტზეც გააქვს დ.ს.თ-ს ქვეყნებში გადაწყვიტა, რომ პროდუქტი გაეტანა ევროპის ბაზარზე როდესაც მისი ნაწარმი თაფლი ევროპაში მოხვდა, ევროპის ბაზარმა აუკრძალა კომპანიას თაფლის ექსპორტი მიზეზად კი დასახელდა თაფლში შემავალი ჯამრთელობისათვის საზიანო ნივთიერების აღმოჩენა, რათქმა უნდა ქართული კომპანია ამ გადაწყვეტილებით დარჩა უკმაყოფილო. დაიწყო ძიება თუ საიდან შეიძლება მომხვდარიყო თაფლშ ჯამრთელობისათვის საზიანო ნივთიერება ძიების შედეგად დადგინდა რომ ერთი წლით ადრე ტყე რომელსაც ფუტკრები საკვებად იყენებდნენ გარემოს დაცვის სამსახურმა შეწამლა დაავადებაზე, რომელიც ტყეს გახმობით ემუქრებოდა, წამალში რომელიც გამოყენებული იქნა ტყის შესაწამლად შედიოდა ნივთიერება რომელიც ზიანს აყენებს ადამიანის ჯამრთელობას, ეს ნივთიერება კი ტყეში რამდენიმე წელი რჩება, სწორედ აქედან გახდა თაფლი ჯამრთელობისათვის მავნე.

2 განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის ახალი ნიშების ათვისება რომელიც ფართო მოთხონით ხასიათდება ესენია ჩირი, ციტრუსი, თხილი. 2016 წლის მონაცემებით მოხდა 25445 ტონა მანდარინის ექსპორტი აქედან გადამუშავებული მანდარინი იყო 8505 ტონა. სახელმწიფოს მიერ გაწეული

სუფსიდირება მანდარინის წარმოებაზე 877147 ლარი იყო. 0.5% შეადგენს მარტო ევროპაში ექსპორტირებული მანდარინის რაოდენობა რაც საგანგაშოდ დაბალია. დანარჩენი კი მოდის დ.ს.თ-ს ქვეყნებზე. უნდა მოხდეს დ.ს.თ-ს ბაზრის შეცვლა ევროპის ბაზრით რადგან პოლიტიკურად არასტაბილური ბაზარი აქვთ მათ, ხოლო ევროოპა გრძელვადიანი სავაჭრო ხელშეკრულებებისათვის კარგი პარტნიორი ქვეყანა არის. რაც შეეხება თხილს მისი ექსპორტი გაზრდილია 40%-ით მაგამ თანხაში არ არის გამოხატული ზრდა რადგან თხილის ფასი საკმაოდ შემცირდა ხარისხის ვარდნიდან გამომდინარე.

3 ახალი საქონლის, განსაკუთრებით სერთიფიცირებული ორგანული და მაღალი დამატებული ღირებულების ნიშური პროდუქტების წარმოება, მაგალითად როგორიც არის ახალი და გაყინული კენკროვანი(მოცვი, მაყვალი, ჟოლო) მაღალი ღირებულების ახალი და გადამუშავებული ხილი(ფეიხოა, გრეიფრუტი, კივი) ჰიბრიდული ხილი(გრეიფურტი, მანდარინი) ვაზის ის ჯიშები რომლებიც არ არიან სხვა ქვეყნებში, ასევე სმკურნალო მცენარეები, არ უნდა გამოვტოვოთ ჩირი რომელიც საექსპორტო პოტენციალის მხრივ საკმაოდ გამორჩეულია მასზე დიდი მოთხოვნა არის ევროპის ბაზრებდან.

საუბარი იმაზე რომ ყველა ჩამოთვლილ პროდუქტებს აქვთ თანაბარი საექსპორტო პოტენციალი არ არის სწორი ყველა პროდუქტს განსხვავებული საექსპორტო პოტენციალი აქვთ. საქართველოს სხვა ქვეყნებთან შეფარდებით უპირატესობა აქვს ბუნებრივი პირობებში. საქართველო გამორჩეულია კლიმატისა და ლანჩაპტის მრავალფეროვნებით აუცილებელია რომ არ დაგვავიწყდეს წყლის მარაგი რომელიც საქართველოს გააჩნია და მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერია წყლის რაოდენობით ფართობთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ პატარაა (ირანის საერთო ფართობის 4%, თურქეთის საერთო ფართობის 9%), საქართველოში არსებობს 12 სხვა და სხვა კლიმატური ზონა. მსოფლიოში არსებული ნიადაგის 54 ტიპიდან საქართველოში წარმოდგენილია 49.

ამგვარად, მართალია, სასურველია, გაიზარდოს არსებული ექსპორტის რაოდენობა, რათა შევძლოთ ექსპორტის დივერსიფიცირება და ღირებულების ზრდას, მაგრამ ნიშური და ორგანული პროდუქტების წარმოებისგან ვითარება და გაუმჯობესებას საუკეთესოდ შეეფერება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პირობებს. [15][16]

ექსპორტის განვითარება

თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებს აქვს მრავალ საუკუნოვანი ისტორია დროთა განმავლობაში იგი ჩამოყალიბდა როგორც საერთაშორისო ვაჭრობის დღევანდელი სახე. შეუძლებელია საბაზრო პირობებში ერთი ქვეყანა აწარმოებდეს თვით კმარ პროდუკთა რაოდენობას ისე რომ სხვა ქვეყნიდან გარკვეული რაოდენობის იმპორტს არ ახორციელებდეს, ხოლო იმპორტის ხარჯების დასაფარი საუკეთესო გზა არის ექსპორტი.

ექსპორტის განვითარებზე საერთაშორისო ვაჭრობაში მოქმედებს სოციალური, ეკონომიკური პოლიტიკური ფაქტორები, ამ ფაქტორტა ერთობლიობა მოქმედებს საერთაშორისო ვაჭრობის პროპორციების ცვლილებაზე. ეს მოქმედი ძალები იყოფა მიკროგარემოდ და მაკროგარემოდ.

მიკრო გარემოში განიხილება მიმწოდებლები, შუამავლები, მომხმარებლები, კონკურენტები და საკონტაქტო აუდიტორია. მაკროგარემოში კი გამოიყოფა ბუნებრივი კლიმატური გარეო ეკონომიკური გარემო ფართო ჭრილში ასევე დემოგრაფიული მდგომარეობა და სოციალურ პოლიტიკური გარემო.

- საერთაშორისო ვაჭრობაში არსებობს ინპორტ-ექსპორტის ძირითადი კანონზომიერებები რომელიც შემდეგი მიმდევრობით შეიძლება დალაგდეს.

[15] ანდრეი მაქსიმოვი-საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის პოტენციალის ათვისება

[16] ინფორამცია http://iset-pi.ge- დან

პირველი არის ის რომ იცვლება ვაჭრობის კონიუქტურა, გასაღება რთულდება საქონლის. სულუფრო მნიშვნელოვანი და მიმზიდველი ხდება საგარეო ბაზრების გამოჩენა, იზრდება საერთაშორისო საქონელბრუნვის მოცულობააც.

- მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქონლის შეტანის დროს საბაჟო ტარიფები საექსპორტო კვოტები და დამეტებითი გადასახადები რაც უფრო ლიბერალურია ქვეყნის საბაჟო პოლიტიკა მით მეტი არეალია მათ ბაზარზე საექსპორტოდ და საერთაშორისო ტვირთ ბრუნვაც იზრდება.
- საერთაშორისო ვაჭროვაში დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სამეურნეო სტრუქტურას რაც განსაზღვრავს მისი მოსახლეობის და დარგების მოთხოვნას. განვითარებადი ქვეყნები ძირითადად ნატურალური ტიპის მეურნეობით და ნედლეულის ექსპორტს ახდენენ ესეთი ქვეყნებია მაგალითად: ევიპტე, ინდოეთი ბრაზილია. ამერიკის და ევროპის ქვეყნები განვითარებული სამრეწველო ქვეყნებია და ძირითადად ვაჭრობენ სამრეწველო საქონლით. თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობისათვის ეერთ-ერთი ძირითად კანონზომიერებად გვევლინება საქონელთბრუნვის მოცულობაში სამრეწველო საქონლის ზრდა სურსათთან შედარებით. სამწუხაროდ ეს ტენდენცია სქართველოში არ შეინიშნება მიმდინარე კრიზისული პერიოდების გამო.
- თანამედროვე ეკონომიკურ წყობაში ექსპორტ-ინპორტის განვითარებას განსაზღვავს ქვეყანაში პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობაც. მნიშვნელოვანია ინვესტორებისათვის პოლიტიკური სტაბილურბა ქვეყანაში ვალუტის კურსის მდგრადობა და პოლიტიკური ცვლილებების ზეგავლენა ბიზნესზე. ასევე სახელმწიფოს დამოკიდებულება საერთაშორისო შესყიდვებისადმი.
- საერთაშორისო ვაჭრობის ყველაზე სრული ფორმა აის კაპიტალის დაბანდება სხვა ქვეყანაში ამწყობი ან სამრეწველო წარმოების შესაქმნელად.

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიზანი არის რომ მოახდინო ექსოპრტის ზრდა საერთაშორისო ვაჭროვაში რითაც

შეავსებენ სავალუტო მარაგებს, გაზრდიან შიდა წარმოებას რაც ავტომატურად გამოიწვევს ქვეყნის მოსახლეობის დასაქმებას.

როდესაც ვსაუბრობთ ექსპორტის ზრდაზე და ქვეყანაში ეკონომიკურ სტაბილურობაზე ასევე საჭირო არის განვიხილოთ Heritage Foundation-ის მიერ შემუშავებული კვლევა რომელიც ყოველწლიურად ადგენს „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს“.

Heritage Foundation-ი ინდქსის გაანგარიშებაში იყენებს 10 ძირითად მაჩვენებელს:

1. ბიზნესის თავისუფლება
2. ვაჭრობის თავისუფლე
3. ფისკალური თავისუფლება
4. სახელმწიფოსგან თავისუფლება
5. მონეტარული თავისუფლება
6. საინვესტიციო თავისუფლება
7. ფინანსური თავისუფლება
8. საკუთრების თავისუფლება
9. კორუფციის თვისუფლება
10. შრომის ტავისუფლება

2019 წლის მონაცემებით საქართველო 180 ქვეყნიდან 16 ადგილს იკავებს რაც წინაწელთან შედარებით ცვლილება არ არის. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის რომ ქულა ეკონომიკური თავისუფლებისინდექსის ქულა შეუმცირდა საქართველოს 75.9 აქვს მაქსიმალური კი 100 ქულა არის, წინა წელთან შედარებით საქართველოს 0.3 ქულა მოაკლდა. ევროპის რეგიონის მიხედვით 44 ქვეყანაში საქართველო 8 ადგილს იკავებს რაც წინა წელთან შედარებით ერთი ნაბიჯით წინ სვლას ნიშნავს. Heritage Foundation-ის განცხადებით საქართველოში პრობლემები არის მართმსაჯულებასთან დაკავშირებით მიუხედავათ იმის რომ საქართველოში კონსტიტუციურად არის გარანტირებული მართმსაჯულების მიუკერძოებლობა პოლიტიკური

თვალსაზრისით იგი განიცდის დიდ ზეწოლას. კორუფციასთან ბრძოლის მხრივ საქართველომ გადადგა დიდი ნაბიჯი და თითქმის აღარ არსებობს ქვეყანაში კორუფცია მაგრამ პრობლემურად საჯარო სექტორ ისევ რჩება. შეფასების სისტემა ეყრდნობა ისეთ რეიტინგულ წყაროებს როგორიც არის: მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგი(DOING BUSINESS), გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), კორუფციის აღქმის ინდექსი (CPI) და მართლმსაჯულების ინდექსი (WJP)

საქართველოს კონკურენტუნარიანობა- როდესაც ვსაუბრობთ ქვეყანაში ექსპორტის პოტენციალის ზრდაზე მნიშვნელოვანი არის რომ ავღნიშნოთ როგორი კონკურენტუნარიანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა სხვა ქვეყნებთან შედარებით, სად გვაქვს პრობლემა, სად არის საჭირო მეტი მუშაობა და აქტიური ქმედებები რომელი დარგის დაფინანსება არის საჭირო ყველაზე მეტად, რაც გაგვხდის კონკურენტებზე ძლიერს. ქვეყნების კონკურენტუნარიანობის საკითხზე მუშაობს შვედური კომპანია „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF).“ აქ აანალიზებენ ბიზნეს გარემოს ყოველ წელს დგება რეიტინგი.

(WEF)-მა 2017-2018 წლების ანგარიშ გამოაქვეყნა. 137 ქვეყნის კონკურენტუნარიანობა არის შესწავლილი ამ ანგარიშში საქართველო კი 67 ადგილს იკავებს 2016-2017 წლების ანგარიშში საქარველო 59 ადგილს იკავებდა. წელს პირველი წელია როდესაც საქართველო 7 წლის განმავობაში რეიტინგში ჩამოქვეითდა და რაც შეეხება ქულას 4.3 უცველია მაგრამ ჩვენი უკან დაქვეითება გამოიწვია სხვა ქვეყნების ჯამური ქულის ზრდამ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია 2007 წლიდან 2017 წლამდე საქართველოს პოზიციები კონკურენტუნარიანობის ინდქსში



ჰარვარდის ბიზნეს-სკოლის პროფესორი მაიკლ პორტერი პროდუქტიულობას ხსნის, როგორც ბუნებრივი რესურსების, შრომის, კაპიტალისა და ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობის დონეს - რესურსებიდან მიღებული შემოსავლის სიჭარბეს ხარჯებთან მიმართებით. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განმარტებით, კონკურენტუნარიანობა არის ქვეყნის შესაძლებლობა, აწარმოოს საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნის შესაბამისი საქონელი და მომსახურება და, ამავე დროს, სტაბილურად გაზარდოს მოსახლეობის რეალური შემოსავალი გრძელვადიან პერიოდში. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი შვეიცარული ორგანიზაციაა. ის კონკურენტუნარიანობის ანგარიშებს 1979 წლიდან აქვეყნებს. ყოველ წელს დგება რეიტინგი, რომელიც ასახავს ქვეყნების კონკურენტუნარიანობის პოზიციებს მსოფლიოში. თითოეული წლის რეიტინგი წინა წლის მაჩვენებლებზე დაყრდნობით არის შედგენილი. მაგალითად, 2017-2018 წლების ანგარიში 2016 წლის შეფასებას ემყარება. აღნიშნული ორგანიზაციის მეთოდოლოგიით, თითოეული ქვეყანა 114 კრიტერიუმით ფასდება. კრიტერიუმების ნაწილი მთავრობის ოფიციალურ სტატისტიკას ეყრდნობა. ისეთი კრიტერიუმებისთვის კი, როგორიცაა სასამართლოს დამოუკიდებლობა, კრიმინალის და განათლების დონე და სხვა (ჯამში 114-დან 85 კრიტერიუმი), ინფორმაციის წყარო მცირე, საშუალო და დიდ საწარმოთა გამოკითხვაა. შესაბამისად, ძალიან

მნიშვნლოვანია, თუ როგორ აფასებს თავად ბიზნესი საქართველოს ბიზნეს გარემოს. 2017-2018 წლების ანგარიშის მიხედვით, საქართველოს შეფასების კრიტერიუმებიდან 54-ის ქულა გაუარესდა, 28-ის უცვლელი დარჩა, ხოლო 32-ის გაუმჯობესდა. ძირითადად გაუარესდა ის კომპონენტები, რომელთა შეფასების წყარო ბიზნეს სუბიექტების გამოკითხვაა.

საქართველოს ქულის და პოზიციის ცვლილება შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (იხილეთ დანართი 1.5

საქართველოს პოზიცია კონკურენტუნარიანობის ქვეჯგუფების მიხედვით იხილეთ დანართი (1.6)

ისეთი საკითხები რგორიც არის: სასამართლოს დამოუკიდებლობა, კორუფცია, ბიუჯეტის ეფექტურად ხარჯვა და განათლება. (WEF)-ის რეიტინგი საკმაოდ ნდობით სარგებლობს და ბევრი ინვესტორი ითვალისწინებს მის მონაცემებს.[17][18]

სავაჭრო ბალანსი

დღეს საქართველოს გააჩნია უარყოფითი საგარეო ვაჭრობის სალდო რაც გარდამავალი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი არის. მოცემულ ეტაპზე იმპორტის ზრდაც და სავაჭრო დეფიციტიც მოსალოდნელი იყო. შემდეგი გარემოებები შეგვიძლია მივიჩნიოთ ამის საფუზვლად:

---

17 ჯორჯ ზაჩმანი, დ. ს. (2015 წლის 1 1). *გერმანიის ეკონომიკური გუნდი საქართველო.* მოპოვებული www.get-georgia.de: https://www.get-georgia.de/wp-content/uploads/2014/12/PP_01_2015_geo.pdf-დან

18 ინფორმაცია მოძიებული არის ბმულიდან „http://www.economy.ge/?page=news&nw=1015“ (17. 07. 2019)

- დონორი ქვეყნების საერთაშორისო საკრედიტო დაწესებულებების ფინასური დახმარება. უნდა აღინიშნოს რომ საქართველოსთვის გაწეული დახმარება 1995 წლიდან მცირდება, მაგრამ ეკონომიკურ და პოლიტიკურ დონეზე მნიშვნელოვნად გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რამაც განაპირობა ინპორტის ზრდის წახალისება.
- მზარდი აგილობრივი ეკონომიკური შემოსავლები და აქედან გამომდინარე, აქედან გამომდინარე შიდა მოთხოვნილების გაძლიერება
- სასოფლო სამეურნეოწარმოების ზრდის შედარებით დაბალი ტემპი. ქართული საექსპორტო პროდუქტის დაბალი კონკურენტუნარიანობა რის მთავარი მიზეზი არის მოძველებული ტქნოლოგიების გამოყენება.

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მნიშვნელობის განსახილველად და დასკვნების გამოსატანად მნიშვნელობანი არის განვიხილოთ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა.

საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები (2914-2019 წლები) იანვარ-მატში

(მილიონი ა.შ.შ დოლარში)



მოცემული მცხრილიდან ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა რომ საქართველოში ესპორტი ყოველწლიურად იცვლება ყველაზე დაბალი მაცვენებელი დაფიქსირდა 2016 წელს როდესაც ექსპორტის მაჩვენებელმა შეადგინა 442.6 მილიონი ამერიკული დოლარი. ხოლო ყველაზე დიდი უარყოფითი სავაჭრო სალდო დაფიქსირდა 2018 წელს როდესაც გაიზარდა ექსორტის მოცულობა მაგრამ პარალელურად გაიზარდა იმპორტი მეტად რის შედეგადაც მივიღედ დიდი მოცულობის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. ექსპორტის ყველაზე დიდი მოცულობა დაფიქსირდა 2019 წელს 826,0 მილიონი ა.შ.შ დოლარი,რაც შეეხება ინპორტს მან იკლო და 1981,3 მილიონი დოლარის მოცულობას მიაღწია

2014-2019 წლებში იანვარ-მარტშ საგარეო ვაჭრობის წილი ბრუნვაში



მოცემული ცხრილიდან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ რომ ექსპორტის ზრდას ბოლო 4 წლის განმავლობაში ტრენდული სახე აქვს რომლიც გვაძლევს იმის საშვალებას რომ გავაკეთოთ იმედის მომცემი პროგნოზები ექსპორტის სამომავლო ზრდასთან დაკავშირებით.[19]

ფაქტორები რომლებიც ზღუდავენ ექსპორტს

ექსპორტის ზრდი ორი ძირითადი შემზღუდველი ფაქტორი არსებოსბს ესნი არიან

1) ნედლეულის დეფიციტი
2) საექსპორტო ჯაჭვების ცუდი ორგანიზება ფერმებიდან საექსპორტო ტვირთების მიწოდებამდე.

[19] ინფორმაცია მოწოდებული არის საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ.

იმისთის რომ მეტი გავიტანოთ აუცილებელი არის რომ ვაწარმოოტ მეტი პროდუქტი, ამ შესაძლებლობის არ არსებობა დიდ ტვირთად აწევს საქართველოს სფოლის მეურნეობას სდა ასევე მრეწველობასაც. პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დეფიციტს/დაბალ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობას საქართველოში განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- ✓ საკუთრებაში არსებუკლი მიწების უკუდურესი დანაწევრება, არსებული მიწის ნაკვეთების 75% ერთ ჰექტარზე ნაკლები არის 0,16% შედგენს მხოლოდ ისეთ ნაკვეთებს რომლებიც 50 ფექტარზე მეტია. რაც დამღუპველია სოფლის მეურნეობისათვის თუ დიდი ტერიტორიები არ იქნა დამუშავებული შეუძლებელია შედეგის მიღება რადგანაც ფერმერული ბიზნესი ძირითადად გათვლილი არის მაშტაბის ზრდით მიღებულ შემოსავალზე.
- ✓ კულტურების და ჯიშების მცირე დივერსიფიკაცია ქართული ხილის ბაღებში ჭარბობს შეზღუდული რაოდენობის ჯიშები, განსაკუთრებით მანდარინის (ძირითადად „უშიუ“) და თხილის (ძირითადად „ანაკლიური“) ბაღებში. ატმის შემთხვევაში, მდგომარეობა უკეთესია, თუმცა გვხვდება რამდენიმე საადრევო და საგვიანო კულტურები. ჯიშების მცირერაოდენობაზე კონცენტრირება ამცირებს მოსავლის სეზონის ხანგრძლივობას და იწვევს გამოხატულ პიკებს წარმოებასა და გადამუშავებაში.
- ✓ ძველი პლანტაციებისა და ბაღების დეგრადაცია. მანდარინის ბაღები ამ პრობლემის საუკეთესო მაგალითია. ამბაღების უმეტესობა 1930-იანწლებში გაშენდა, რის გამოც დღეს ხეების 30% 70-80 წლისაა2 , როდესაც მანდარინის ხის პროდუქტიულობისპ ერიოდი 40-50 წელია.
- ✓ ცოდნის სიმწირე თითზე ჩამოსათვლელია იმ ფერმერთა აოდენობა რომელბიც არიან განათლებულნი. მათ უმეტესობას გავლილიც კი არ აქვთ ტრენინგები მოსავლის აღებშიც კი. ფერმერთა ის რაოდენობა რომელსაც

განათლება აქვს სოფლიმეურნეობის საკითხებში იღებული საბჭოტა კავშირის სკოლები გამოიარეს რაც დღევანდელ დღეს გამოუსადეგარი არის.

- ✓ მავნებლებისა და მცენარეთა დაავადებებისადმი დაუცველობა.

  მცენარეების ვიწრო და შეუფერებელი სპექტრი გადაბერებული კულტურები

საექსპორტო ჯაჭვის ცუდ ორგანიზებას რაც შეეხება არის ძრითადად პრობლემა, როცა ფერმერი ქმნის პროდუქტს რომელიც არ აკმაყოფილებს საექსპორტო მოთხოვნებს. ხოლო პროდუქტი ექსპორტზე ვერ გადის ეს არის არასაკმარისი და არაჯანსაღი კავშირების დამსახურება. აუცილებელი არის რომ ჩამოყალიბდეს კანსაღი და გრძელვადიანი ეკონომიკური კავშირები. საექსპორტო ჯაჭვის ძირითადი შემზღუდველი არის შემდეგი სკითხები:

- ✓ არადამაკმაყოფილებელი დახარისხება და კალიბრაცია

  მეწარმეების უმეტესობა მზად არ არის რომ დააკმაყოფილოს ევროპის ბაზრის მოტხოვნები.

- ✓ ხარისხის სიმწირე

  ხარისხის დაბალი კონტროლი და არასათანადო სიხშირით ჩატარებული ხარისხის კონტროლი

- ✓ არასწორი ფინანსური მოქმედებები
- ✓ დეტალური იურიდიული დოკუმენტების სიმწირე
- ✓ მარკეტინგის არარსებობა[20][21]

[20] ეკონომიკური დემოკრატია როგორც ეკონომიკური განვითარების მაგისტრალური მიმართულება
[21]საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში“

საკანონმდებლო ცვლილებები

დიდ როლს თამაშობს საქართველოს მიერ გასაწევი და გაწეული საქმეები საქართველოს კანომდებლობის ევროკავშირის ბაზართან დასაახლოვლებლად.

2017 წლის 7 მარტს ცვლილებები იქნა შეტანილი ასოცირების შთანხმების XI-B დანართში და განისაზღვრა ევროკავშირის საკანინმდებლო ჩამონათვალი რომელსაც საქართველოს კანინმდებლობა უნდა მიუახლოვდეს.

სამოქმედო გეგმა ძირითადად მოიცავს 2017-2020 წლებს. იხილეთ დანართი (1.7)[22]

კოოპერატივების განვითარება

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ნებაყოფლობით წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომლის წევრებიც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და საერთო ეკონომიკური ინტერესი აერთიანებთ. სწორედ ამ საერთო ეკონომიკური ინტერესის, რომელიც შეიძლება იყოს სოციალურიც და კულტურულიც, ბუნებიდან გამომდინარე არსებობს სხვადასხვა ტიპის კოოპერატივები: საწარმოო, სერვისის, სამომხმარებლო, საკრედიტო, მარკეტინგული და სხვ.

თავად კოოპერატივის მნიშვნელობა არის თანამშრომლობა, თანადგომა და ურთიერთდახმარება.

ისტორიას რომ თვალი გადავავლოთ კოოპერატივი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საზოგადოებრივი წყობის განვითარებაში. კოოპერატივში დასაქმებულთა უმეტესობა თვით დასაქმებული არის და დაკავებულია სოფლის მეურნეობით. ადამინაები ისტორიულად ისწაფვიან ურთიერთ თანმშრომლობისაკენ, ერთად ნადირობენ, თანამშრომლობენ მიწის დამუშავების პროცესში. თვით ტერმინი „კოოპერაცია“

[22] ინფორმაცია მომაწოდა მიხეილ თოქმაზიშვილმა

ინგლისური წარმოშობის სიტყვაა „cooperation”, რაც აღნიშნავს თანამშრომლობას, ურთიერთშეთანხმებულ ქმედებას.

საქართველოში კოოპრატივები შეიქმნა XIX საუკუნის 60-იან წლებში მის შექმნას მხარს უჭერდნენ ისეთი გამორჩეული საზოგადო მოღვაწეები როგორებიც არიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა გამოჩენილი პიროვნებები 1869 წელს ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაარსდა კოოპერატივი „მომჭირნეობა“. თვითონ ილია ჭავჭავაძე კი ასე განმარტავდა „კოოპერაცია არის გააფთრებული სვავებისგან მშრომელი კაცის დაცვის ერთადერთი საშუალება“. ილია მიიჩნევდა რომ დაბალი კონკურენტუნარიანი საწარმოების თავდაცვისათვის აუცილებელი იყო კოოპერატივების შექმნა. XIX-XX საუკუნის მიჯნაზე საქართველოში თითქმის ყველა სოფლის მეურნეობის დარგში ჩამოყალიბდა კოოპერატივი. ბოლშევიკური მავრობის მოსვლის შემდეგ აქტიურად ხდებოდა კოოპერატიული საზოგადოებეების წახალისება.

მნიშვენლოვანი პროექტი რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხაარდაჭერით დაიწყო საქართველოში არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს (acda.gov.ge) ჩამოყალიბება. 2013 წლის 12 ივლისს საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების“ შესახებ რომელიც ევროპის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებას ეყრდნობოდა.

აგრალურ სფეროში ჩართულ პიროვნებას ელოქტრონულად შეუძლია დარეგისტრირდეს საერთო ბაზაში რისთვისაც საჭირო არის acda.gov.ge-ზე შესვლა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. სააგენტოს საქმიანობა არის დამოუკიდებელი და ის წარმართავს

თავის საქმიანობას გამჭირვალეობის პრინციპის დაცვით. ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საკანონმდებლო აქტებით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

სააგენტოს ძირითადი მიზნებია:

- სოფლისმეურნეობის აღორძინება, კოოპერატივების განვითარების გზით. ,
- სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, წარმოების რენტაბელობის ამაღლება და ეროვნული ეკონომიკის განვითარება
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფოს ხელშეწყობის ღონისძიებების
  განხორციელება.

სააგენტოს ძირითადი ფუნქციები და საქმიანობის საგანი არის:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით წინადადებების და რკომენდაციების შემუშავება, ასევე შესაბამისი პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით.
- კომპეტენციის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის კონსულტაციების გაწევა სამართლებრივ, ინსტიტუციონალურ, წარმოების ტექნოლოგიებსა და სხვა საკითხებში
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან დაკავშირებით მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელშიც აისახება კოოპერატივების მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით ასევე მოყვანილი და რეალიზებული მოსავლის/გაწეული მომსახურების სახეობის, რაოდენობის და სხვა მონაცემების შესახებ.

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სტატუსის მინიჭება, შეჩერება ან შეწყვეტა.
- სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებისთვის კადრების მომზადება, გადამზადება, ასევე თანამშრომელების კვალიფიკაციის ამაღლება.
- კოოპერატივების საერთაშორისო ალიანსთან“, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების კოოპერაციულ გაერთიანებებთან თანამშრომლობა
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ინფორმაციის გაცვლის მიზნით სამეცნიერო პრაქტიკული კომფერენციების გამართვა, გამოფენების, შეხვედრების ორგანიზება და საზღვაგარეთ ანალოგიური პროფესიის ხალხის მიჭება.
- სასოფლო -ეურნეო კოოპერატივების მონიტორინგის განხორციელება.

სააგენტო ყოველწელს აქვეყნებს შესრულებული სამუშაოს ანგარიშ ყოველ წელს, 2018 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოში სულ რეგისტრირებული არის 1106 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერტივი. რეგიონების მიხედვით კი ესე ნაწილდება: კახეთი-120. ქვემოქართლი-126. მცხეთა-მთიანეთი-55. შიდაქართლი-86. სამეგრელო - ზემოსვანეთი-100. გურია-44. აჭარა-84. სამცხე-ჯავახეთი-221. იმერეთი-122. რაჭა-ლეჩხუმი-97. თბილისი-51.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სწრაფი განვითარებისათვის შემუშავდა და ხორციელდება არაერთი სახელმწიფო პროგრამა მეფუტკრეობის, მესაქონლეობის, მევენახეობის მიმართულებით.

ჩვენთვის იოლად გასაგები რომ იყოს მაგალითად მოვიყვან თუ როგორ ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიების სახელწიფო მხარდაჭერის პროგრამა: რძის გადამმუშავებელი სხვადასხვა სიმძლავრის 10 კოოპერაციული საწარმო შეიქმნა . სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანებულ 210-ზე მეტ მეპაიეს, რომელთა საკუთრებაში არსებული საქონლის რაოდენობა 2000 ფურზე მეტს

შეადგენს, შესაძლებლობა ეძლევა სტანდარტების დაცვით აწარმოონ რძის პროდუქტები, რაც ხელს უწყობს საწარმოო ციკლის ფარგლებში კოოპერატივების მეპაიეების შემოსავლების ზრდას.

პროგრამის მიზანი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ნედლი რძის მიმღებ-გადამამუშავებელი კოოპერაციული საწარმოების შექმნის სტიმულირებაა.

2017-2018 წლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დაფინანსდა 147 ახალი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. [23]

ფერმერული მეურნეობის განვითარება

დღეს ყველა თნხმდება რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთადერთი გზა არის სწორი ფერმერული პოლიტიკის შემუშავება. ამ პროცესის განხორციელებაში აუცილებელი არის რომ გავითვალისწინოთ უცხო ქვეყნების გამოცდილება მაგალითად ევროპა რომელიც ძალიან წარმატებულია ამ სფეროში, 97% ფერმერული მეურნეობის ევროპაში ოჯახური მეურნეობები არის. საქართვეოში აუცილებელი არის დივერსიფიკაცია და ამ პროცესში ევროპის მოდელის გამოყენება.ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაცია, ზოგადად, წარმოადგენს

[23] კოოპერაციული თანამშრომლობის ფორმების განვითარების ისტორიული გამოცდილება ავტორი: ელგუჯა დეისაძე.

ინფორმაცია მოძიებულია- ACDA.GOV.GE-დან (17. 07. 2019)

ჯორჯ ზაჩმანი, დ. ს. (2015 წლის 1 1). *გერმანიის ეკონომიკური გუნდი საქართველო.* მოპოვებული www.get-georgia.de: https://www.get-georgia.de/wp-content/uploads/2014/12/PP_01_2015_geo.pdf-დან

ფერმერულ მეურნეობათამიერ ტრადიციულ სასოფლო- სამეურნეო საქმიანობასთან ერთად ახალი დამატებითი ფულადი შემოსავლების მომტანი საქმიანობის წამოწყებას ან ასეთი საქმიანობით ტრადიციული სასოფლო- სამეურნეო- საქმიანობის შეცვლას. სოფლის მეურნეობაში დივერსიფიკაციის პროცესს მეცნიერები და პროფესორები ოთხი სახით განიხილავენ, პირველ ეტაპზე დივერსიფიკაცია ხორციელდება სასოფლოსამეურნეო კულტურის დონეზე დონეზე. ხდება ნანოკულტურების შეცვლა, მეორე ეტაპზე ფერმერი აწარმოებს ერთი სახეობის პროდუქტზე მეტს და შეუძლია რომ პროდუქტით უზრუნველყოს მომთხოვნი წლის ნებისმიერ დროს. რაც შეეხება მესამე ეტაპს ხდება შერეული სასოფლო სამეურნეო პროდუქტის წარმოება. ხოლო საბოლოო სტადიაზე კი განიხილება არასტანდარტული წარმოება საოჯახო მეურნეობების მხრიდან, იგი გულისხმობს ფერმერული რესურსების გამოყენებას არასასოფლო საქმიანობისათვის. არსებობს დივერსიფიკაციაზე მოქმედი რამდენიმე ფაქტორი:

- დამატებული ღირებულების შექმნა- მოსახლეობაში არსებობს ტენდენცია როდესაც რაც უფრო განვითარებულია სოფლის მეურნეობა მით უფრო სპეციფიკურ საკვებ პროდუქტს მოიხმარს, მათ ჭირდებათ მზა პროდუქტი, რომ დრო დაზოგონ, ეს ყველაფერი კი ახდენს გავლენას დივერსიფიკაციის პროცესზე.
- მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, ურბანიზაცია- ქვეყნებში ურბანიზაციის ზრდა იწვევს მზარდ მოთხოვნას და აჩენს აუცილებლობას რომ ფერმერულ საქმიანობაში მაქსიმალურად მოხდეს ტექნიკის ადაპტირება.
- ბაზრის შესაძლებლობების ცვლილება- ბაზარზე მიწოდების არხებისმაკონტროლებლის ცვლილებამ შეიძლება რომ გამოიწვიოს დივერსიფიკაცია

- ბაზრის გაუმჯობესება- განვითარებასთან ერთად ხდება მონო კულტურიდან მრავალფეროვან პროდუქტზე გადასვლა ეს კი აჩენს ახალ შესაძლებლობებს დივერსი ფიკაციისათვის.
- რისკი-კლიმატური ცვლილების და ფასების მერყეობის რისკები
- გარე რისკები- ფირმები რომლებიც ახორციელებენ ექსპორტს დგანან რისკის წინაშე გამომდინარე იქიდან რომ შეიძლება შეიცვალოს ქვეყნებს შორის ურთიერთობები.

ქართული სოფლის მეურნეობის აქტიურ კავშირს ევროპასთან და მათი გამოცდილების გაზიარება დივეერსიფიკაციის საკითხებში მნიშვნელოვანი საკითხია ასოცირების ხებლშეკრულებაში.

დღევანდელი მოცემულობით საქართველოში გამოიყოფა ფერმერების სამი ძირითადი ჯგუფი:

1. ძალიან მცირე მეურნეობები- რომლებიც პროდუქტს საკუტარი მოხმარებისათვის აწარმოებენ (0-1.25 ჰა)
2. მცირე და საშვალო ზომის მეურნეობები- რომლებიც პროდუქტს ფორმალური თუ არაფორმალური ბაზრებით პროდუქტის რეალიზებას ახდენენ (1.25 ჰა დან 5 ჰა მდე)
3. მსხვილი მეურნეობები და კოოპერატივები- რომლებიც იყენებენ შრომას და ყიდიან პროდუქტს პორმალური ბაზრების მეშვეობით (5ჰა და მეტი)

უმეტეს შემთხვევაში მიწის პირუტყვს და სოფლის მეურნეობის პროდუქტის უმეტესობა მოდის მეორე ჯგუფზე მაგრამ ძირითად პროსუქტს მაინც მესამე ჯგუფის წარმომადგენლები ქმნიან მათი წარმოება ევროპის წარმოების ნახევარსაც არ შეადგენს ამითომ რესურსი დიდია გაუმჯობესების.

სოფლისმეურნეობის მწარმოებლურობის დაბალი მაჩვენებელი დამოკიდებულია ძირითადად ფერმერთა ცოდნის დაბალი დონე, ტექნოლოგიების არ ქონა, დაბაი

მოტივაცია, აგრალურ ბაზრებთან და კაპიტალთან წვდომის სირთული და სხვა პრობლემები. მაგრამ ძირეულ პრობლემად შიძლება აღინიშნოს და მათი გამოოწორება შეცვლის მდომარეობას ესენია განათების დონის ამაღლება და ინფორმაციასთან წვდომის საშვალებების გაიოლერბა.

ფერმერები ინფორმაციას იღებენ შემდეგი წყაროებიდან:

- წარმოების საშვალებების მიმწოდებლები
- დონორთა პროექტები
- სახელმწიფო და კერძო სასწავლო ორგანიზაციები .

მნიშვენლოვანი პროექტი რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისროს დახმარებით ფერმერთა მხარდასაჭერად 2012 წელს დაიწყო არის საქართველოს ფერმერთა ასლოციაციის შექმნა. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია არის არასამეწარმეო, არამომგებიანი იურიდიული პირი, რომელიც აერთიანებს დღეს 4000-მდე ფერმერს მთელი საქართველოს მაშტაბით. მისი წევრი ფერმერებისგან მინიჭებული მანდატის შესაბამისად, ასოციაცია ასრულებს ფერმერებსა და ხელისუფლებას შორის შუამავალი რგოლის ფუნქციას. მთავარი ფუნქცია ასოციაციის არის ეფექტურად იტანამშრომლოს სახელმწიფო უწყებებთან რაც ფერმერებისთვის აუცილებელია. ფერმერების ნაწილი ვერ ახერხებს შესაბამისი ურთიერობა ქონდეს სახელმწიფო სერვისებთან ხოლო მათ დახმარებას ფერმერთა ასოციაცია უწევს. ასევე რაც მთავარია ფერმერთა ასოციაცია ჩართული არის ფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში. ასეციაცია არის სხვადასხვა სამთავრობო და არასამტავრობო საბჭოს წევრი. მათ შორის, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების ალიანსისა (GAARD). საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ძირითადი მიმართულებებია: ადვოკატირება, შესაძლებლობების გაძლიერება და კავშირების დამყარება.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია არის შემდეგი ორგანიზაციების პარტნიორი/კომისიის წევრი:

- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა – საბჭოს წევრი.
- სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო – გრანტების შესარჩევი კომიტეტის წევრი.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – მიწის ფასწარმოქმნის
  კომიტეტი – წევრი.
- სურსათის ეროვნული სააგენტოს სამოქალაქო დარბაზი – წევრი, ხმის მიცემის უფლებით.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო – პროფესიული გადამზადების ცენტრის პლატფორმა – წევრი.
- პროფესიული განათლების ეროვნული საბჭო – სამუშაო ჯგუფის წევრი.
- Copa-Cogeca-ს პარტნიორი. (ევროპის ფერმერთა და კოოპერატივთა გაერთიანება)
- მოახდინე ინვესტირება მომავალში – რეგიონული წარმომადგენელი
- საქართველოს ალიანსი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის – წევრი.
- საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია – საბჭოს წევრი.
- საქართველოს მეწარმეთა ქსელი – დამფუძნებელი და საბჭოს წევრი.
- ეკონომიკური პოლიტიკის ადვოკატირების კოალიცია – დამფუძნებელი, წევრი.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის საქართველოს ეროვნული პლატფორმა – წევრი.
- საქართველოს ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამა 2016-20 და ცხოველთა ჯანმრთელობის სამოქმედო გეგმის განხორციელების სამეთვალყურეო საბჭო – წევრი.
- ქალთა ეკონომიკური მნიშვნელობა – წევრი.

- კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო – წევრი.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია ფერმერებს სთავაზობს შემდეგ სერვისებს:

- ელექტრონული ბიბლიოთეკის გამოყენება და სექტორული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა
- სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროექტში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა
- GFA-ს მონაცემთა ბაზაზე და წევრების საკონტაქტო ინფორმაციაზე წვდომა
- სარეკომენდაციო წერილის მიღება
- ღონისძიებებზე მონაწილეობის შეთავაზება, როგორიცაა ტრენინგები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები, სასწავლო ტურები და გამოფენა-გაყიდვები
- ფერმერთა სათათბიროში საკუთარი კანდიდატურის წარდგენა და ხმის უფლებით სარგებლობა
- საკუთარ ვებგვერდზე GFA-ს ლოგოს გამოყენება
- კონსულტაციისა (მაგ. აგრონომის, ვეტერინარის ა.შ) და სხვა სასარგებლო ინფორმაციის მიღება
- თქვენი პროდუქციის პოპულარიზაცია ტელევიზიით, GFA-ს ვებ-გვერდითა და სოციალური ქსელის მეშვეობით;
- მობილური აპლიკაცია აგრონავტით სარგებლობა
- სერტიფიცირებით (Geo GAP) სარგებლობა (პროდუქტის ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატის მიღება)
- პროდუქტის რეალიზაციაში ხელშეწყობა
- სხვადასხვა საგრანტო პროექტებზე ინფორმაციის მიწოდება და აპლიკაციის შევსებაში კონსულტაციის გაწევა
- ლოგოს დიზაინი კომპანიისთვის და/ან პროდუქტისთვის

- საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა, როგორიცაა დისტანციური სწავლება, რომელიც ხორციელდება კემბრიჯის საერთაშორისო კოლეჯის მიერ.

ასევე მნიშვნელოვან მარკეტინგულ სერვისებს სთავაზობს ფერმერებს.

მარკეტინგული სერვისები:

- სტრატეგიული მარკეტინგი
- რეკლამა
- ბრენდინგი
- გრაფიკული დიზაინი
- ციფრული მარკეტინგი
- სოციალური მედია მარკეტინგი
- ვებ გვერდის დამზადება
- ფროდაქშენი

სერთიფიცირების პროგრამა რომელიც საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ დაიწყო ამ პროგრამას გლობალგაპი ეწოდება. გლობალგაპის უმთავრესი მიზანია უვნებელი და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო მიდგომების შექმნა ფერმერების, საცალოდ მოვაჭრეებისა და მომხმარებლებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში მზარდია მოთხოვნა სურსათის უვნებლობაზე და მომხმარებელი მოითხოვს კანონმდებლობის, მომხმარებლების, სავაჭრო ქსელების, დისტრიბუტორებისა და მწარმოებლების მხრიდან შესაბამის სეთიფიკატს. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ USAID-ის მხარდაჭერით პროექტ "ზრდა"-ს ფარგლებში შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (პირველ ეტაპზე ხილ-ბოსტნეულის) პირველადი წარმოების ადგილობრივი სტანდარტი – გეოგაპი.

დღეს მცირემიწიანი და პატარა ფერმერებისათვის ძნელია რომ დააკმაყოფილონ საერთაშორისო სტანდარტები, გეოგაპი მორგებულია ადგილობრივ პირობებზე, ამით საქართველოს ფერმერთა ასოციაცია ფერმერებს დაეხმარება, განავითარონ თავიანთი საქმნიანობა, იმოქმედონ მდგრადი სოფლის მეურნეობისა და სასურსათო სისტემების მოთხოვნების შესაბამისად და გადადგან მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროპული სტანდარტისკენ, რითიც ერთი მხრივ, ხელი შეეწყობა ადგილობრივ ბაზარზე უვნებელი სურსათის გარჩევადობას და მეორე მხრივ, მაღალხარისხიანი პროდუქციის ექსპორტს.

გეოგაპი პროდუქტს მატებს ღირებულებას რადგან დღეს არ არსებობს საშვალება რომ განასხვავო პროდუქტი პესტიციდებით და ნიტრატებითბ არის გაჟღენთილი თუ არა.

ფერმერი რომელიც თვლის რომ მზად არის სერთიფიცირების გასავლელად პირდაპირ ურეკავს მასერთიფიცირებელს ან GFA-ს, რათა გაიაროს კონსულტაცია და მოითხოვოს სერთიფიკატი. GFA ატრენინგებს და აძლევს აკრედიტაციას იმ კომპანიებს, რომლებიც განახორციელებენ აუდიტს, მხოლოდ ასეთ კომპანიას შეეძლება სერტიფიკატის გაცემა. GeoGAP-ის სტანდარტის აღების მსურველ ფერმერებს კონსულტაციას გაუწევენ ასოციაციის მასერთიფიცირების სპეციალისტები. მასერტიფიცირებელი ორგანოები იქნებიან საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე კომპანიები,რომელთაც დაატრენინგებს და შემდგომ აკრეტიდაციიას მიანიჭებს GFA. მხოლოდ GFA-ის მიერ დაკონტრაქტრებულ კომპანიებს შეუძლია სერტიფიკატის გაცემა.[24]

2019 წლის 11 ივლის ამერიკის საელჩმ დაანონსა ახალი საგრანტო პროგრამა. გრანტის აღწერაში ნათქვამია, რომ მისი ბენეფიციარი შეიძლება იყოს ორგანიზაცია, რომელიც სოფლის მეურნეობის სექტორში მოღვაწე ორგანიზაციებს $200,000-იან მხარდაჭერას სთავაზობს.

[24] ინფორმაცია მოძიებული არის GFA.ORG.GE-დან (17. 07. 2019)

"იმისათვის, რომ საქართველო მეტად კონკურენტუნარიანი იყოს ახალ საექსპორტო ბაზრებზე, მას სჭირდება ევროკავშირის რეგულაციების წარმატებით ათვისება. მოხარული ვართ, რომ ამ პროცესის სწრაფად და ეფექტურად გავლაში საქართველოს აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი $200 000 დოლარამდე ოდენობის გრანტით დაეხმარება. საგრანტო კონკურსი ღიაა საქართველოში მოღვაწე ორგანიზაციებისათვის,"- ნათქვამია საელჩოს განცხადებაში.[25][26]

ევროკავშირის ბაზარზე არსებული სტანდარტები

ევროკავშირთან სურსათით ვაჭრობის სტანდარტები

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლის მომცველი ვაჭრობის ხელშეკრულება ევროკავშირთნ ინტეგრაციას გულისხმობს და ქართველ მეწარმეებს უხსნის გზას ევრო ბაზრისკენ. კერძოდ ხელ შეკრულების საფუძველზე გაუქმდა საინპორტო გადასახადი სოფლის მეურნეობის პროდუქტზე.

DCFTA-ს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრუკლება დაეხმარება საქართველოს რომ გააუმჯობესოს სანიტარული, ფიტოსანიტარული და ცხოველთა კეთილდღეობის კანონმდებლობა. რეფორმის მთავარი შედეგი იქნება რომ პროდუქტი გავხადოთ უსაფრთხო ადამიანის ჯამრთწელობისათვის და ხარისხი გავაუმჯობესოთ რადგანაც ევროკავშირის სტანდარტები არის უმაღლესი და უმკაცრესი. ეს ქმედებები რათქმაუნდა ევროკავშირის ბაზრის გარდა გაზრდის სხვა

[25] ინფორმაცია მოძიებული არის BM.GE-დან (17. 07. 2019)

[26] ინფორმაციის წყარო არის აშშ-ს სოფლისმეურნეობის დეპარტამენტიდან The Department of Agriculture (USDA)

ბაზრებიდანაც მოთხოვნებს. შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ იდენტიფიცირებულია ევროკავშირის 366 სამართლებრივი აქტი. მათ შორის:

სურსათის უვნებლობის სფერო:

1. სურსათის უვნებლობის მიკრო-ბიოლოგიური მაჩვენებლები;
2. სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლი;
3. ბიზნესოპერატორის აღიარების პროცედურები;
4. სურსათის ჰიგიენის წესები;
5. სურსათის უვნებლობის სისტემის ზოგადი პრინციპები;
6. ძროხის ხორცისა და მისი პროდუქტების ეტიკეტირება;
7. სურსათში ნარჩენი ნივთიერებების, დამაბინძურებლებისა და პესტიციდების მაქსიმალური ზღვრები;
8. სურსათთან შეხებაში მყოფი მასალების ზოგადი მოთხოვნები;
9. საკვები დანამატების რეგულირება;
10. ახალი ხორცით ვაჭრობის საკითხები;

ვეტერინარიის სფერო:

1. ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;
2. ცხოველთა დაავადებების კონტროლის წესები;
3. მონიტორინგის განხორციელებისა და დაავადების აღმოფხვრის ღონისძიებები;
4. ცხოველის საკვების ჰიგიენის მოთხოვნები;
5. ცხოველთა დაავადების დიაგნოსტირების პროცედურები;

მცენარეთა დაცვის სფერო:

1. საერთაშორისო ვაჭრობაში ხის შესაფუთი მასალის რეგულირება;

2. შეტყობინება იმპორტის დროს ფიტოსანიტარიული შეუსაბამობის გამოვლენისას;
3. დაცულ ზონებში სამეცნიერო კვლევებისათვის გამიზნული მცენარეების, მცენარეული პროდუქციის ან სხვა რეგულირებადი ობიექტების შემოტანისა და გადაადგილების კონტროლი;
4. მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის ღონისძიებები;
5. პესტიციდების მდგრადი გამოყენების წესი;
6. მწარმოებლებისა და იმპორტიორების ვალდებულებები და მათი რეგისტრაციის წესი;[27]

აგრარული სუფსიდირება

სოფლის მეურნეობის სექტორში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად იზრდება მწარმოებლურობა და ხარისხი. განვითარებულ ქვეყნებში როგორც წესი ფერმერებს და ფერმერულ გაერთიანებებს უფრო მეტი საშვალება აქვთ რომ შეიძინონ საჭირო ტექნიკა. საქართველოსნაირ ქვეყნებში დაბალი ფინანსური შესაძლებლობების გამო საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ დახმარებას, რათა მოხდეს თანამედროვე ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვა.

საქართველოში სოფლის მეურნეობის დახმარების პოლიტიკა ძირითად ხორციელდება მცირე საოჯახო მეურნეობების მიმართებით. მეურნეობების უმეტესობა აწარმოებს პროდუქტს და შემდგომ ყიდის მას გარკვეულ ფასად რომელიც მას განსაზღვრული აქვს მოგებისათვის, ხოლო ფასის ვარდნამ შეიძლება გამოიწვიოს პრობლემა. მაგალითად საქართველოში მევენახეები რომლებიც ყურძენს აწარმოებენ ყიდიან წინასწარ განსაზღვრულ ფასად, გარე ფაქტორებიდან გამიომდინარე ფასი შეიძლება შემცირდეს და მეურნეობა დარჩეს შემოსავლის გარეშე. ამ დროს ხდება

[27] ინფორმაცია მოძიებული არის ბმულიდან
"https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/food_safety_georgia_ka.pdf" (17. 07. 2019)

ზეწოლა მთავრობაზე მოთხოვნით რომ განხორციელდეს დახმარების პოლიტიკა დანაკარგების ასანაზღაურებლად, საქართველოს მთავრობამ სწორედ ამიტომ გაატარა მევენახეობის დახმარების რეფორმა.[28]

ევროკავშირთან ვაჭრობაში არსებული სატარიფო და არასატარიფო ბარიერები

ევროკავშირი საქართველოს განიხილავს გარდამალალი ეკონომიკის მქონე ქვეყანად და თვლის რომ საჭიროა საქართველოსთან დროებითი საბაზრო მიდგომები. მიუხედავად ზრდის ტენდენციებისა ექსპორტი ევროპის ქვეყნებში საკმაოდ დაბალი არის. მთავარი მიზეზი კი ის არის რომ არასაკმარისი დივერსიფიკაცია არის ვაჭრობის სფეროში. საქართველო საკმაოდ კარგი პირობებით სარგებლობს ევროპის ქვეყნებისაგან. მთავარი მიზეზი იმის თუ რატომ რჩება დაბალი სავაჭრო ბრუნვა ევროპასთან არის რომ არა ადეკვატურად იყენებს საქართველო თავის პოტენციალს.

არსებობს სატარიფო და არა სატარიფო ბარიერები. სატარიფო ბარიერები არიან მაგალითად საბასჟო და სხვა ადმინისტრაციული ბარიერები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის არასატარიფო ბარიერები რომელიც არის ტექნიკური სახის მაგალითად სანიტარული თუ ფიტო სანიტარული, სტანდარტი რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროდუქტი რათა მოვდეს ევრო ბაზარზე. მასში მოიაზრება აგრეთვე სერტიფიცირების პრობლემები და პროდუქტის წარმოშობასთან დაკავშირებული დამადასტურებელელი საბუთები. არასატარიფო ბარიერების

[28] ინფორმაცია მოძიებული არის მოცემული ბმულიდან " https://commersant.ge/ge/post/2018-wlis-rtveli-chatardeba-srulad-sabazro-pirobebshi" (17. 07. 2019)

დაძლევა რთულია იმითაც რომ, ეს ბარიერები დამტკიცებულია ევროკავშირის აქტებსა და კანონმდებლობაში რთული სინთეზის სახით. ევროკავშირის რთული ბარიერების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ აფრიკის ქვეყნები რომლებიც ევროკავშირთან თავიანთი ექსპორტის პოტენციალის მხოლოდ 36% იყენებენ ხოლო დანარჩენ 64% კი კარგავენ იმ ბარიერების დაუძლევლობის გულისთვის რომელიც ევროკავშირმა შეუქმნა არაწევრ ქვეყნებს, თავისი ტერიტორიის და მოსახლეობის ჯამრთელობის დასაცავად.

მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ტერიტორიაზე ექსპორტს არეგულირებს სამი სახის საკანონმდებლო აქტი ესენია:

ევრორეგულაციები- რომლებსაც აქვთ პირდაპირი მოქმედება და არ საჭიროებენ ევროკავშირის წევრ ქვეყნების კანონმდებლობაში ასახვას.

ევროდირექტივები- რომელიც სავალდებულიოა ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყანასთვის და მოითხოვენ საკანონმდებლო სახით ასახვას. ამასთან ევროკავშირის ქვეყნებს ეძლევათ საშვალება რომ ამ კანონმდებლობის აღსრულება მოახდიონ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი გზებიდან.

ევროკავშირის საბაჟოს გადაწყვეტილებები- ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღების გზებით, ევროკავშირის ინსტიტუტებს ეძლებათ ბერკეტები, შესაბამისი ზომები გაატარონ კონკრეტული პირების, კომპანიების ან ევროკავშირის წევრების მიმართ

ევროკავშირის ქვეყნებში პროდუქტის შეტანისას არის საჭირო მარკირება “CE” ეს მარკირება აღნიშნავს რომ პროდუქტი მზად არის რომ გაიყიდოს ევროპის ბაზარზე. არსებობს პროდუქციის სამი ჯგუფი რომლებსაც აუცილებლად უნდა გააჩნდეტ “CE” მარკირება :

1. **ყველა ახალ პროდუქციას, წარმოებულს როგორც ევროკავშირის ტერიტორიაზე ასევე სხვა ქვეყნებში.**

2. **ევროკავშირში იმპორტირებული გამოყენებული და მეორადი მოხმარების პროდუქცია.**
3. **არსებითად მოდიფიცირებული პროდუქცია, რომელზეც ახალი პროდუქციის მსგავსად, ვრცელდება დირექტივა.**

ევროკავშირშ ფუქციონირებს სურსათს კონტროლის სისტემა ეს არის „საფრთხის ანალიზი და კრიტიკული კონტროლის პუნქტები“ (NACCP). ეს არის პრევენციული სამსახური როლელიც სურსათს წარმოებისას გაჩენილ რისკეების აღმოფხვრას ემსახურება. ამ სისტემით ხდება როგორც ევროკავშირში სურსათს წარმოება ასევე ინპორტირებულ სურსათზე კონტროლის დაწესება. ძირითადი პრინციპები არის:

- საფრთხის ანალიზი რომლის დროსაც განისაზღრება, პროდუქციის წარმოების ცილში დარეალიზაციის ციკლში წარმოშობილი სართხეები.
- პროფილაქტიკური ზომების გატარება, თითოეული უნქტის კრიტიკული ზღვრების განსაზღვრისათვის.
- ყველა შესაბამისი პროცედურის დოკუმენტარულად გაფორმება.[29][30]

სურსათის უვნებლობის ქართული სისტემი

ძირითადი ნაკლოვანებები

გასაკვირი არ არის რომ ევროპული სურსათის უვნებლობის სისტემა ბევრად განსხვავდება ქართული სისტემისაგან. მთავარ მიზეზად შეიძლება გამოყოთ ევროპის მხრიდან სურსათის სტანდარტების მიმართ განსხვავებულად მკაცრი დამოკიდებულება.

---

[29] ინფორმაცია მოძიებული არის ბმულიდან „http://www.parliament.ge/uploads/other/22/22580.pdf“ (17. 07. 2019)

[30] ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცევლი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ

რაც შეეხება საქართველოს, აქ დღემდე ქართულად ნათარგმნი ყოფილი საბჭოთა ნორმები მოქმედებს, რომელიც თავის დროზე შესაძლოა საკმაოდ მკაცრიც იყო, მაგრამ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დღევანდელ დონეს აღარ შეესაბამება. თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ ნორმების აღსრულება (კონტროლი), საკმაოდ სუსტი იყო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში კორუფციაზე დამყარებულ „შერჩევითი“ კონტროლის სისტემის გამო . 2006 წელს, კორუფციის აღმოფხვრის მიზნით, საქართველოში ამ სფეროს კონტროლი მთლიანად გაუქმდა და მხოლოდ 2010 წლიდან დაიწყო ნელ-ნელა აღდგენა, თუმცა კონტროლის მასშტაბები და ეფექტურობა (სფეროს მოცვის თვალსაზრისით) დღემდე საკმაოდ დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა ამ სფეროს მმართველი უწყების სურსათის ეროვნული სააგენტოს განზრახვა და მონდომება ეფექტურობის გასაზრდელად (მათ ამაში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამებიც ეხმარება), ჯერჯერობით შედეგი მოკრძალებულია: ოფიციალურად რეგისტრირებული სურსათის ოპერატორებიდან მხოლოდ 10% თუ იქნება სახელმწიფოს მიერ ერთხელ მაინც შემოწმებული. აგრეთვე ჯერ-ჯერობით საკმაოდ შეზღუდულია ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები (თუმცა სწრაფი ტემპებით უმჯობესდება) და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლი (განსაკუთრებით მცენარეთა დაცვის საშუალებათა გამოყენების კონტროლის თვალსაზრისით). ყოველივე აღნიშნულის გამო, დღესდღეობით საქართველოში სურსათით გამოწვეული დაავადებებისგან ადამიანების დაცვის დონე, ასევე ცხოველებისა და მცენარეების დაცვის დონე ევროპულზე ბევრად დაბალია. შესაბამისად ქვეყანაში მაღალია ადამიანების/ ცხოველების/მცენარეების დაავადებების რისკი. როგორც ზემოთ განვმარტეთ, თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან არ ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირი საზღვრებს გაუხსნის საქართველოში წარმოებულ არასაკმარისად უვნებელ სურსათს ან სასოფლოსამეურნეო ნედლეულს. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა ნიშნავს სურსათის უვნებლობის ქართული სისტემის ეტაპობრივ გაუმჯობესებას, რასაც თან მოჰყვება ევროკავშირის მიერ ამ ზომების ეკვივალენტურობის აღიარება და

ქართული სურსათის ევროპაში ექსპორტის პროცედურების გაიოლება. ცხადია, სურსათის და სასურსათო ნედლეულის (ცხოველების, მცენარეების) უვნებლობის დონის ამაღლება სასარგებლო იქნება არა მარტო ქართული სასურსათო საქონლის ექსპორტისთვის, არამედ პირველ რიგში თავად ქართველი მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის და ქართველი მეწარმეების ბიზნესის მდგრადობისთვის, რომლებიც წარმოებაში ქართულ ნედლეულს იყენებენ.[31][32]

ორგანული პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე

როდესაც საუბარს ვიწყებთ ორგანულ პროდუქტზე მნიშვნელოვანი არის რომ თავიდანვე ვიცოდეთ განსხვავება ორგანულ პროდუქტსა და ნატურალურ პროდუქტს შორის, ხალხის უმეტესობა როგორც სინონიმს ისე იყენებს ამ ორ სიტყვას მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ დიდი განსხვავება არის აზრობრივად.

- ნატურალური საკვები პროდუქტი არ არის აუცილებლად ორგანული და პირიქით. ორგანული საკვები პროდუქტი: ორგანული საკვები პროდუქტი ნიშნავს პროდუქტს, რომელიც ორგანული საშუალებების გამოყენებით იწარმოება. არსებობს ორგანული საკვების წარმოების, შეწამვლისა და გადამუშავების მკაცრი სტანდარტები მსოფლიოს მასშტაბით.
- ნატურალური საკვები პროდუქტი: პროდუქტები მინიმალურად სინთეზურია. ნატურალური საკვები პროდუქტების მკაცრი სტანდარტები არ არსებობს. ნატურალური არ ნიშნავს ორგანულს მას არ მოყვება გარანტიები. ნატურალური პროდუქტი შეიძლება იყოს მინიმალური დამუშავებით მიღებული ჰორმონების გარეშე. უმეტეს ქვეყანაში განმარტება ნატურალური

[31] ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში-ურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები

[32] ინფორმაცა მოძიებული არის ბმულიდან „http://georgiandairy.org/ka/post/sursatis-uvneblobis-sistemebis-ganvitareba-sakartveloshi“ (17. 07. 2019)

არ არსებობს და ისეთი პროდუქტის ეტიკეტზე ათავსებენ რომელიც არა მისაღებ ინგრედიენტებს შეიცავს მეორე მხრივ, ორგანული არის ყველაზე მეტად რეგულირებული საკვები პროდუქტი. მხოლოდ ორგანული პროდუქტი იძლევა გარანტიას, რომ წარმოებაში არ გამოიყენება ტოქსიკური სინთეტიკური პესტიციდები, ტოქსიკური სინთეტიკური ჰერბიციდები ან ქიმიური NPK (აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის) სასუქი, და რომ ცხოველებს არ ეძლევათ ანტიბიოტიკები ან ზრდის ჰორმონები. ორგანული მწარმოებლები და გადამამუშავებლები ასევე ექვემდებარებიან მკაცრ სასერთიფიკატო შემოწმებას მესამე მხარის ინსპექტორების მიერ, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ორგანული პროდუქტების წარმოება და გადამუშავება ხდება კეთილსინდისიერად.

ქართველ მეწარმეებს აქვთ გამოკვეთილი ნიშა, რომელიც საკმაოდ დიდ არიალს მოიცავს, რის ათვისების შემდეგად ქართული წარმოება დიდ საექსპორტო ბაზარს მიიღებს. ევროპის ბაზარზე არსებობს მზარდი მოთხოვნა ბილოლოგიურად სუფთა პროდუქტზე, რომლის წარმოება საკმაოდ რთულ პროცედურებს მოიცავს. მაგრამ გასაღების ბაზარი საკმაოდ დიდი მოთხოვნით გამოირჩევა, რაც პროდუქტის მყისიერ გაყიდვას ხელს უწყობს. მზარდი ბაზრის ტენდენციის მაგალითისათვის, 2006 წეთან შედარებით 2007 წელს სასოფლო სამეურნეო მიწის ფართობი რომელზედაც ბიო პროდუქტები იწარმოება მისი ათვისება 5,7%-ით გაიზარდა ხოლო 2008 წელს 7,4%-ით რაც საკმაოდ თვალში საცემი ტებდენცია არის

ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით ორგანული პროდუქტი წარმოადგენს: სოლის მეურნეობის პროდუქტს რომლის პირველადი წარმოების, გადამუშავების, შემდგომი შეუთვის, ტრანსპორტირების, შენახვისა და ეტიკეტირების წესები ექვემდებარება ევროკავშირის მიერ დადგენილ წესებს. ორგანულად მიიჩნევა პროდუქტი რომლის წარმოების 95% შეადგენს ორგანული წარმოების წესდებით წარმოებულს. პროდუქტი უნდა იწარმოებოდეს მექანიკური ბიოლოგიური

პროცედურების გამოყენებით და არა გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების ჩარევით წარმოების პროცესში.

ორგანული პროდუქტის წარმოებასთან დაკავსირებული კანონი პირველად 1991 წელს დაამტკიცეს. მის მერე იხვეწებოდა შესაბამისი კანონმდებლობა და 2007 წელის 28 ივნისს მიიღეს რეგულაციები, რომლებიც შესაბამისად ცხადად ახდენდა პროდუქტის წარმოებასთან დაკავშირებული მოთხოვნების გამოკვეთას:

- ორგანული წარმოების მიზნები
- პრინციპები რომლებდსაც ორგანული წარმოება უნდა ეფუძნებოდეს

2008 წელს კიდევ დაემატა რამდენიმე საკითხი:

- წესები რომლებიც მცენარეული ორგანული პროდუქტის წარმოებისთვის არის გასათვალისწინებელი
- წესები ორგანული ცხოველური პროდუქტის წარმოებისთვის
- ორგანული წყალმცენარეების წარმოებისთვის გასათვალისწინებელი წესები
- ორგანული სწლის ცხოველების წარმოებისას გასათვლის წინებელი წესები

ევროკავშირი მკაცრ კონტროლს უწევს ბიო პროდუქტის წარმოებას და ყველა წევრ ქვეყანას აქვს ვალდებულება შექმნან ორგანო რომელიც პასუხს აგებს მიმდინარე პროცესზე. ამ ორგანოს შეუზლია კონტროლი გადასცე სახელმწიფო მაკონტროლებელ ან კერძო მაკონტროლებელ ორგანოს, რომელსაც ექნება შესაბამისი რესურსი რაა წარმართოს პროცესი ხარისხიანად. აუცილებელია საკმარისი ფინანსური რესურსი და კვალიფიცირებული მუშა ხელი. აუცილებელი მოთხოვნა რომელიც შეფუთვაზე უნდა დაიტანოს კომპანიამ, არის იმ მაკონტროლებელი ორგანოს დასახელება (საინდენტიფიკაციო კოდის დატანა) რომელმაც მოახდინა ინსპექტირება. საინდენტიფიკაციო კოდი უნდა შედგებოდეს იმ ქვეყნის დასახელების განმსაზღვრელი, ISO 3166 შესაბამისი ორ ასოიანი აბრევიატურისგან, სადაც პროდუქტმა ინსპექტირება გაიარა. პროდუქტის წესით ღმნიშვნელი

სიმბოლოსგან BIO ან ECO და მაკონტროლებელი ორგანოს ნომრისგან, რომელიც მაქსიმუმ სამ ციფრისგან უნდა შედგებოდეს.

ჩვნევის განსაკუთრებულად საინტერესო არის თუ რა პროცედურბის გავლა უწევთ ევროპის არაწევრ ქვეყნებს იმისთვის რომ მათი პროდუქტი მოხვდეს ევროპის ბაზარზე, აქედან გამომდინარე ქართული რეალობისთვისაც საკმაოდ საინტერესოა ის დეტალები რაც მათ საექსპორტო წარმატებას ოუტანს.

NO834 და NO1235 რეგულაციები არეგულირებენ ბიო პროდუქტის იმპორტს ევროკავშირის ბაზარზე. ამ რეგულაციით ევროკავშირის ბაზარზე ომპორტირებული ბიო პროდუქტი ორი სახის არის:

1. ევროკავშირის შესაბამისი მოთხოვნების ორგანული პროდუქტი
2. ორგანული პროფუქტები ეკვივალენტობის გარანტიით

ევროკავშირი შესაბამისი მოთხოვნების პროდუქტად მიიჩნევს ისეთ პროდუქტს რომელიც წარმოებულია ევროკავშირით გათვალისწინებული წესებით, მესამე ქვეყანაში. ევროკავშირი ადგენს შესაბამის ორგანოებს რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება რომ მესამე ქვეყნებში აწარმოონ კონტროლი. კომპანიას რომელსაც უნდა რომ შემდეგი წლიდან აწარმოოს კონტროლი მესამე ქვეყანაში აუცილებელია რომ განაცხადი წარადგინოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს და მან ყველანაირად უნდა ითანამშრომლოს ევრო საბჭოსთნ რათა მასზე მტლიანი იფორმაციის მიძიება არ გაძნელდეს.

ევროკავშირში ინპორტის დროს შესაბამისი დოკუმენტი (სერთიფიკატი) უნდა გააჩნდეს ორგანულ პროდუქტს. ანუ დოკუმენტური დადასტურება, ამ სერთიფიკატის ფორმა წინამდებარე პუბლიკაციის NO: 4 დანართშია მოცემული

ეკვივალენტური გარანტიის მქონე ორგანული პროდუქტი არის მესამე ქვეყნიდან საექსპორტოდ გამზადებული პროდუქტი რომელიც ევროკავშირის საბოს NO 834 რეგულაციაში მოცემული დებულებების იდენტური კი არ არის არამედ

ეკვივალენტური მეთოდებით არის ნაწარმოები. ესეთ პროდუქტს ინპორტირებისას უნდა ახლდეს სპეციალური ინსპექტირების სერთიფიკატი.

ბიო პროდუქტთან დაკავშიებით მე გადავწყვიტე რომ, რამდენიმე კითხვით მიმემართა პიროვნებისთვის რომელიც აწარმოებს ორგანულ პროდუქტს და გააქვს ექსპორტის სახით ევროპის ბაზარზე, ეს პიროვნება არის კონპანია „იაგოს მარანი“ დამფუძნებელი მეღვინე, ბატონი იაგო ვალიშვილი. მან განაცხადა რომ პროდუქტის შექმნა მოითხოვს საკმაოდ დიდძალ შრომას ასევე საჭიროა კვალიფიცირებული კადრი რათ შერომას ეფექტი ქონდეს. საექსპორტო პროცედურების გავლა თავდაპირველად მისი წარმოების ღვინისთვის რთული იყო რადგანაც არ იყო იგი ინფორმირებული თუ როგორ უნდა მოქცეულიყო პროდუქტის წარმოებისას ან საექსპორტოთ რა ბიუროკრატიული საეხურებია გასავლელი. მაგრამ აქტიური შრომით მან მოახერხა რომ თავისი პროდუქტი განეთავსებია ევროპის მარკეტებში. სირთულეები მის მიერ დასახელებული არის მთავრობისგან არაინფორმირებულობა ასევე მისი აზრით სახელმწიფოს მხრიდან დახმარება მცირედი დოზით საქტორის განვითარებაში მოინტანს გარდამტეხ ეფექტს.[33]

[34]

საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტები

თხილის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე

[33] ინფორმაცია მოძიებული არის ბმულიდან „http://eugeorgia.info/ka/article/608/evrokavshiri---sididit-meore-bio-bazari-msoflioshi/“ (17. 07. 2019)

[34] საკონსულტაციო კომპანია Experto- ბაზრის კვლევის, საწარმოო ჯაჭვისა და შესაძლებლობების-შეზღუდვების-გადაწყვეტილებების (OCS) ანალიზი

თხილი ერთ-ერთი იმ პროდუქტთა შორის არის რომლებსაც დიდი პოტენციალი აქვს ევრო კავშირის ბაზარზე საკუთარი ნიშის მკაფიოდ დასამკვიდრებლად, გამომდინარე იქიდან რომ ქართული თხილს აქვს ბუნებრივი მახასიათებლები რომლის დახვეწის შემდეგაც პროდუქტი გახდება გამორჩეული გემოვნური თვისებების მატარებელი. თხილის ექსპორტს აქვს საკმაოდ ფართო დინამიკა რომელიც წლების მიხედვით მკაფიოდ იცვლებოდა. 2013-2014 წლებში თხილის ექსპორტმა შეადგინა 40 ტონა რაც წინახელთა შედარებით გაცილებით მეტია 25 ტონა. 2014 წელს კი თხილის ექსპორტმა მთლიანი ქვეყნის ექსპორტის 6.45% შეადგინა. იმ პერიოდისათვის საქართველო თხილის უმსხვილესი ექსპორტიორების ხუთეულში შედიოდა, 2012 წელს საქართველო 5 ადგილზე იყო ხოლო 2013 წელს კი 2 ადგილზე დაწინაურდა. 2013 წლის მონაცემებით თხილზე მსოლიო ექსპორტის 66% თურქეთზე მოდიოდა, 11% საქართველოზე, 7% იტალიაზე, ხოლო დანარჩენი 16% კი დარჩენილ ქვეყნების ხარჯზე ხდებოდა. 2014 წლისათვის თხილის წარმოება შემცირებული იყო საერთო მაშტაბით, რასაც თურქული თხილის ფასის 85% ზრდა მოყვა რამაც გავლენა ქართულ თხილზეც იქონია და პასი გაიზარდა მასზეც.

გრაფიკზე მოცემულია თხილის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე



მოცემული ცხრილის გაანალიზებისას ჩვენ ვხედავთ რომ 2016 წელთან შდარებით საკმაოდ დაცემულია თხილის ექსპორტი (142,414.6) დან (52,920.5) მდე. ჩნდება კითხვა თუ რამ გამოიწვია ასეთი მკაფიო ვარდნა და რა არის ამის მტავარი საწყისი?. მთავარი მიზეზი ექსპორტის კლებისა არის საქართველოში თხილის მოსავლის გაფუჭება რაც აზიიდან შემოსულმა მწერმა „ფაროსანამ“ გამოიწვია. აზიური ფაროსანა გამოჩნდა 2015 წელს და უკვე 2016 წლისათვის სერიოზული ზიანი მიაყენა არამარტო თხილის კულტურას არამედ: ვაშლს, ვაშლატამას, მსხალს, ჟოლოს , პამიდორს, წიწაკას, მზესუმზირას. ფაროსანა იკვებება ფოთლის, ყლორტისა და ნაყოფის წვენით. ძლიერი ხორთუმის მეშვეობით ხვრეტს ახალშემოსული თხილის ნაჭუჭს, ათხელებს ნაყოფის შიგთავსს, წოვს და მასში წარმოქმნის კორპისებრ ლპობად ლაქებს. მავნებლი გადასაზამთრებლად შედის საცხოვრებელ ბინებში. ძვრება ნაპრალებში, სხვენზე, კარებისა და ფანჯრის ღრიჭოებში; ასევე ბაღებსა და ტყეში ჩამოცვენილი ფოთლების სქელი ფენის ქვეშ და ხეების ფუღუროებში.

უნდა აღინიშნოს ისიც რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობშ აქტიურად მიმდინარეობს ფაროსანასთან ბრძოლა, საქხელმწიფო ატიურად არის ჩართული ამ საქმეში. ახორციელებს რა საწინააღმდეგო შეწამვლებს ასევე ინფორმაციული კუთხითაც აქტიურად არის ჩაბმული სატელევიზიო რეკლამების და კონსულტირების გზით ფერმერებს და გლეხებს აწვდის ინფორმაციას თუ როგორ უნდა ებრძლოლონ მავნებელს ეფექტურად. ამ პროცესებმა გარკვეული შედეგები გამოიღო და 2019 წლის იანვარ-მაისის თვეში გარკვეული პროგრესი შეინიშნება წარმოების და ექსპორტის მხრივ. ასევე პრობლემები შექმნა მავნებელმა თხილის ხარისხთან დაკავშირებითაც ადრე თუ ქართული პროდუქტი გამოირჩეოდა გემოვნური თვისებებით და ლებანის სისაღით ეხლა არის პრობლემა ამ მხრივ გაიზარდა დეფექტიანი საქონელი რაც რათქმა უნდა ექსპოირტზე უარყოფითად აისახება.

აღსანიშნი ფაქტი არის ისიც რომ საქართველოს ექსპორტის დაღმასვლასთან ერთად იზრდება რეგიონში აზრბაიჯანული თხილის ექსპორტი 2019 წლის პირველ კვარტალში 38.37 მილიონი ა.შ.შ დოლარის თხილი გაიტანეს ევროკავშირში 61.8 პროცენტით მეტი ვიდრე წინა წელს ეს მოცემულობა გარკვეულ საფრთხეს უქმნის ქართულ მხარეს რადგან შეიძლება მოხდეს აზერბაიჯანული თხილით ქართული საექსპორტო არიალის ჩანაცვლება ამიტომ ქართული მხეიდან გარკვეული სუფსიდირება არის ამ სექტორში საჭირო ასევე მაქსიმალურად ყველანაირი საშვალების გამოყენება ფერმერთა განათლების დონის ასამღლებლად.

2015 წელს თხილის ექსპორტი ევროკავშირში საგრძნობლად გაიზარდა და ქვეყანამ 184 მილიონი ამერიკული დოლარის შემოსავალი მიიღო. 2016 საექსპორტო წელი საჩუქარით დაიწყო რადგან თხილის გულზე მოიხსნა დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან (დ.ღ.გ). როგორც საქართელოს თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტის ფედერაციის თავკდომარე ალექსანდრე მოწერელია აცხადებს

”სახელმწიფომ რეალური ბუნებრივი დანაკარგების ნორმა განსაძღვრა და დ.ღ.გ პრობლემა მოაცილა მეწარმეებს.

რაც შეეხება 2017 წელს თხილის ექსპორტმა საგრძნობლად იკლო და 17 მილონ დოლარს შეადგინა გაყიდულმი საქონლის ღირებულებამ რაც წინა წელს 32 მილიონი დიოლარი იყო, ამის მთავარი მიზეზი ქართულ ბაზარზე თხილის ფასი იყო 5-6 ლარამდე მერყეობდა ხოლო ევროპაში მისი ფასი 6 დოლარს შეადგენდა. ექსპერტები მთავარ პრობლემად დაბალი ხარისხის თხილის მოყვანას მიიჩნევენ. დავით ბლიაძე რომელიც ეწევა თხილის წარმოებას ის აცხადებს რომ თხილის ცუდი ხარისხი მისი დაგვიანებული მოკრეფვა არის. დავიტ ბლიაძის სიტყვები ესეთია: „მოსავლის აღება 6 წლის წინ დავიწყეთ. 300 ძირი თხილი დაახლოებით 1 ჰა–ზე მაქვს გაშენებული. ყველაზე კარგი მოსავალი გასულ წელს, დაახლოებით 2 ტონა ავიღეთ. აუცილებელია მოსავლის დროულად აღება. მე მოსავლის აღება ს 20 ივლისს ვიწყებ. სხვა ფერმერები დაახლოებით 10 აგვისტოდან იწყებენ თხილის მოკრეფას. რაც უფრო გვიან დაიწყება თხილის აღება, პროდუქტის ხარისხი იკლებს. არ არსებობს თარიღი, როცა თხილი უნდა აიღო, მაშინ უნდა მოკრიფო, როცა მზად არის. ასეც მოვიქეცი და ჩემს თხილში სიდამპლის მაჩვენებელი 3-4-ჯერ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე საერთოდ“ ის ასევე აცხადებს რომ : „თხილს ბაზარზე მისი ხარისხის მიხედვით გადის, ამიტომ პროდუქციის ფასიც განსხვავებულია. ადგილობრივ ბაზარზეც პროდუქცია ხარისხის მიხედვით იყიდება. ეს ძალიან კარგია, რადგან იყო დრო, როცა ხარისხიან და უხარისხო თხილს ერთიანად იბარებდნენ. ამან ქართული თხილის პრესტიჟი საგრძნობლად შელახა. უხარისხობის გამო მოსავლის ნაწილი არ იყიდება, რადგან ექპორტიორს ასეთი თხილის გადამუშავება არ უღირს“

2018 წელს გარემოს დაცვის დასოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით გაზრდილია სასოფლო სამეურნეო პროდუქტის ექსპორტი ევროპის ბაზარზე. კერძოდ თხილის ექსპორტი გაზრდილია 0.6 მილიონი დოლარით რაც 375-იანი ზრდა არის წინა წელთან შედარებით.

ამ შეფასებებიდან და სტატისტიკური ინფორმაციიდან ჩანს რომ თხილის საექსპორტო პოტენციალი საკმაოდ დიდია ევროკავშირის ბაზარზე, მაგრამ წლების მიხედვით არასტაბილურობით გამოირჩევა ეს პროცესი, ხშირ შემთხვევებში ადგილი ქონდა მოსავლის არასათანადო მოვლის შედეგად ცუდი პროდუქტის მიღებას. პროცესები რაც საჭირო არის რომ გატარდეს ქვეყნის მხრიდან ზოგ შემთხვევაში დაგვიანებული იყო მაგალითად ფაროსანას წინააღმდეგ გატარებული სამუშაოები უნად ყოფილიყო პრევენციული სახის და არა ჭიის გაჩენის შემდგომი მკურნალობა. ასევე აუცილებელი იყო დროული ინფორმირებულობა ფერმერების იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოეხდინათ საკუთარი თხილის დაცვა გარეშე დაავადებებისაგან. სწორი ნაბიჯი მთავრობის მხრიდან იყო დ.ღ.გ-ს მოხსნა კაკლის გულზე რაც ექსპორტის წახალისებისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო . მთავარი გასათვალისწინებელი საკითხი ქართული მხრიდან არის ხარისხზე მეტი კონტროლის გაწევა, ევროპა ხომ სტანდარტებს საკმაოდ მკაცრად აკონტროლებს.[35][36][37][38]

მინერალური წყლების ბაზარი

მინერალური წლების ბაზარი დღეს დღეისობით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ბაზარი არის. საქართველოს გააჩნია უდიდესი პოტენციალი რომ გახდეს მინერალური წყლების ყველაზე დიდი მიმწოდებელი როგორც ევროპისათვის ასევე მთელი მსოფლიოსათვის. მსოფლიოში მზარდი მოსახლეობის

---

[35] ინფორმაცია გამოგზავნილი არის საქართველოს სტატისტიკის სამსახურიდან

[36] ინფორმაცია მოძიებული არის ბმულიდან „https://www.reginfo.ge/people/item/9366-rogoria-aziuri-parosanas-gavlena-txilis-mosavlis-xarisxze“ (17. 07. 2019)

[3737] ინფორმაცია მოძიებული არის ბმულიდან „http://eugeorgia.info/ka/article/34/qartuli-txili-evropashi-kargad-rom-gaiyidos-eqsporti-unda-gaizardos/“ (17. 07. 2019)

[38] ინფორმაცია მოძიებული არის ბმულიდან „http://forbes.ge/blog/127/qarTuli-Txilis-bazris-analizi“ (17. 07. 2019)

პირობებში იქმნება სასმელი წყლის დეფიციტი რის აღმოფხვრაც არ არის იოლი ამიტომ ქვეყნები აქტურად ცდლილობენ ბალანსის შენარჩუნების სხვა და სხვა გზების ძიებას, სწორეს მინერალური წყლებია ის გამოსავალი რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებს ამ წყლებს გააჩნიათ ის თვისებები და მინერალები რომელიც ადამიანის ორგანიზმს ჭირდება ჯამრთელად ფუნქციონირებაში. აქდან გამომდინარე ზუსტად არის შესასწავლი ბაზარი რათა მოხდეს ექსპორტო პოტენციალის შეფასება. თავის მხრივ ქართული მხარე უნდა შეეცადოს რომ შექმნას გარკვეული პროტექციონული მიდგომა შიდა ბაზარზე რათა კომპანიები გაძლიერდნენ და მოახდინონ პროდუქტის ექსპორტირებაზე ორიენტირის გაკეთება. უნდა მოხდეს ხელმისაწვდომი მაქსიმალურად იაფი კრედიტის ამოქმედება, გარკვეული საგადასახადო შეღავათები, სამართლებრივი კონკურენციის შექმნა თვითონ მინერალური წყლების მწარმოებელ კომპანიებს შორის, ასევე უნდა მოხდეს უცხოური კონკურენტი კომპანიების კონკურენტუნარიანობის შეფასება რათა გამოიკვეთოს ის არიალები ევროპის ბაზარზე რითაც ქართული მინერალური წყლები მოახდენენ პოზიციონირებას. მინერალური წყლები საკვები პროდუქტების ჯგუფს მიეკუთვნება და მნიშვნელოვანი არის ის რომ მისი კვებითი მნიშვნელობა ადამიანის რაციონს ზუსტად მოერგოს. საქართველოში მინერალური წყლები გამოირჩევა მაღალი ფიზიოლოგიური აქტივობით აქედან გამომდინარე ისინი მიეკუთვნებიან ფუნქციონალურ კვებიტ ჯგუფს სწორედ ამ კუთხით არის შესაძლებელი რომ გავიხილოთ პოზიციონირება მსოფლიო ბაზარზე. უნდა აღინიშნოს რომ ქართული მინერალური წყლები ყველაზე მოთხოვნადები არიან დ.ს.თ-ს ქვეყებში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულუა გაზიანი და მინერალური წყლების ეყსპორტი ევროკავშირის ბაზარზე ა.შ.შ დლოარში (GEOSTAT)



მოცემული ცხრილიდან შეგვიძლია გარკვევით ვთქვათ ექსპორტის ზრდის ტენდენცია წლების მიხედვით შესამჩნევია. ზრდა 2016 წელიდან 2017 წლამდე შედარებოთ ნაკლები იყო (12,224.2) დან (13,119.2) მდე ხოლო რაც შეეხება ზრდას 2017 წლიდან 2018 წლამდე გაცილებით მაღალი იყო (13,119.2) დან (16,121.3) მდე.

მიუხედავად იმის რომ მინერალური წყალი იაფი მოსააპოვებელია და რესურსიც უხვად არის საქართველოში აქვე სახელდება რამდენიმე პრობლემაც რომელიც აბრკოლებს ექსპორტის ზრდას:

- სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი არაქმედითუნარიანი ნაბიჯები რომლებიც ხელს შეუწყობს პროდუქტს სტაბილურობამდე საექსპორტო ნაბიჯების დაწყებამდე.
- გარკვეულ წილად ინვესტიციების ნაკლებობას განიცდის ეს სფერო რაც ძირითადად პოტენციალის ნაკლებ ცნობადობით არის გამოწვეული.
- ასევე არასაკმარისი მარკეტინგული მოქმედებები.[ii]

ქართული მინერალური წყლლების მწარმოებლების ნაწილი მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე ცდილობს რომ თლიანად აქცენტი ექსპორტზე გააკეთოს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად 2019 წელის იანვარ-თებერვალში განხორციელდა 27,233 მილიონი ლიტრი ანუ 17,851 მილიონი ა.შ.შ დოლარის ექსპორტი. მონაცემების თანახმად 31%-იანი ზრდა აღინისნება მიმდინარე წელს გასულ წელტან შედარებით. 2018 წელის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტის რაოდენობამ შეადგინა 20,798 მილონი ლიტრი ანუ 13,741ა.შ.შ დოლარი.

თუ შევადარებთ მთლიანი წლის მონაცემებს 2017 წელს 147, 223 მილიონი ლიტრი (95,776 ა.შ.შ დოლარი) მინერალური და მტკნარი წყალი გავიდა ხოლო 2018 წელს 172,006 მლნ ლიტრი გავიდა (110,176 ა.შ.შ დოლარი)

კომპანია „ნაბეღლავის“ ექსპორტის მენეჯერი ლევან ჩიქოვანი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას გააცხადა რომ:

„ჩვენ უკვე წლებია, ექსპორტზე ვაგზავნით პროდუქციას და დინამიურად ვავითარებთ ამ მიმართულებას. რა თქმა უნდა, ყველა ბაზარს თავისი სპეციფიკა და კანონმდებლობა აქვს, თუმცა ვსწავლობთ და პარტნიორებთან ერთად ვმუშაობთ ამაზე. ამ ეტაპზე, ჩვენი წყლები 20 ქვეყანაში გადის. კერძოდ, აშშ-ში, ევროკავშირში, თურქეთში, იაპონიაში, ისრაელში და დსთ-ს ქვეყნებში. რაც შეეხება მოცულობას,

ექსპორტზე მთლიანი წარმოების უკვე 15%-ზე მეტი გადის და ამ მაჩვენებელს წლიდან წლამდე ვზრდით“,- აცხადებს ლევან ჩიქოვანი[39]

როდესაც ვსაუბრობთ ქართულ მინერალურ წყლებზე უნდა შევეხოთ ბორჯომსაც რომელიც საქართველოსთან ასოცირდება.

1816 წელს ბორჯომის ველის მახლობლად განლაგებულმა ჯარისკაცებმა აღმოაჩინეს. 1834 ბორჯომის წყალი გაიგზავნა სანქტ-პეტერბურგში გამოსაკვლევად. მეფის ნაცვალმა ევგენი გოლოვინმათავისი შვილი ეკატერინე ჩამოიყვანა ბორჯომში სამკურნალოდ სწორედ მის მერე ბრძანა მან რომ კურორტი მოეწყოთ და 1842 წლის მერე იწყება ბორჯომში ინფრასტრუქტურული განვითარებაც. 1850 წელს მოხდა პირველად ბორჯომის ჩამოსხმა საექსპორტოდ ადგილობრივმა აფთიაქარმა ზახაროვმა 1300 ბოთლი ჩამოასხა და წაიღო ტფილისში გასაყიდად.. 1890 წელს ამუშავდა პირველი მენერალური წყლების ქარხანა. 1900 წელს ბორჯომში იავლინეს ქიმიკოსი და მკვლევარი მოლდენჰაუერი სწორედ მან შეიმუშავა მეთოდი რის შემდეგაც ჩამოსხმული წყალი არ კარგავდა სასარგებლო თვისებებს მან პირველმა გაამდიდრა წყალი ნახშირორჯანგით ამ მეთდმა საშვალება მისცა რომ მომხდარიყო წყლის ექსპორტი საზღვაგარეთ. 1995 წელს ბორჯომის ქარხანაში შემოვიდნენ ახალი ინვესტორები. 2011 წლიდან ბორჯომი გადის 40 ქვეყანაში და დ.ს.თ-ის ქვეყნების მინერალური წყლების ინპორტის უცვლელი ლიდერია დღემდე. სწორედ ბორჯომს აქვს პოტენციალი იმის რომ ეტაპობრივად აითვისოს ევროპის ბაზარი და იყოს ლიდერი არამარტო დ.ს.თ-ს ბაზარზე არამედ ევროპის ბაზარზეც, მისი უნიკალურობა გემოვნური თვისებები და წარმოების სიიაფე გვაძლევს ამის თქმის საშვალებას.

---

39 ჯორჯ ზაჩმანი, დ. ს. (2015 წლის 1 1). *გერმანიის ეკონომიკური გუნდი საქართველო.* მოპოვებული www.get-georgia.de: https://www.get-georgia.de/wp-content/uploads/2014/12/PP_01_2015_geo.pdf-დან

ასევე უნიკალური თისებებით გამოირჩევა მინერალური წყალი ნაბეღლავიც[40][41]

[42][43]

ღვინის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე

მეღვინეობას საქართველოში საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს მეცნიერები ტანხმდებიან იმაზე რომ ყურძნის ჯიშების გაშენება დაიწყო პირველად სამხრეთ კავკასიაში აღმოსავლეთ თურქეთსა და დასავლეთ ირანში. საქართველოში აღმოჩენილი წიბწებით დასტურდება რომღვინის წარმოება საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვამდე 7000 წლის წინ დაიწყო. XIX საუკუნის ჩანაწერებით დასტურდება რომ საქართველოში მთლიანად მთელს ტერიტორიაზეე ვაზი უხვად იყო გაშენებული, ასევე ფართოდ იყო დაბლობებზე გაკულტურებული ვაზიც.

რაც შეეხება დღევანდელობას ღვინის

ღვინო არის პროდუქტი რომელიც პირდაპირი სოფლის მეურნეობის ნედლეულის სახით არ იქმნება და ექსპორტირება არ ხდება. ღვინოს ყურძნის გადამუშავების შედეგად და იმ ცოდნის დახმარებით ქმნიან რაც სხვადასხვა ღვინის მწარმოებლებს აქვთ დაგროვილი. საქართველო ღვინის კულტურით მსოფლიოშ საკმაოდ გამორჩეული არის და ბევრი მეცნიერი თვლის რომ სწორედ ღვიუნის სამშობლო საქართველოა.

ქვემოთ მოცემულია ღვინის ექსპორტის წილი სასაქონლო პოზიციებში 2016 წელს

---

[40] ინფორმაცია მოძიებული არის ბმულიდან „https://www.bpn.ge/article/55250-kartuli-cqali-ucxoetshi-sul-upro-motxovnadi-xdeba-mcarmoebeli-kompaniebis-nacils-ki-eksportze-gasvla-uchirs/“ (17. 07. 2019)

[41] ინფორმაცია მოძიებული არის საიტიდან www.borjomi.com (17. 07. 2019)

[42] ინფორმაცია მოძიებული არის საქართველოს სტატისტიკური სამსახურიდან

[43] ლობჟანიძე. ნ. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. ქართული მინერალური წყლების ბაზარი და საექსპორტო პოტენციალის



მოცემული დიაგრამიდან შეიძლება მკაფიოდ განვაცხადოთ რომ ღვინო თხილთან ერთად წამყვანი პროდუქტი არის სოფლის მეურნეობაში და მთლიან ექსპორტში 5% იკავებს.

რომ გადავავოთ თვალი წინაწლების მონაცემებს, 2007 წელთან შედაებით 2012 წელს 2,1-ჯერ გაიზარდა ღვინის ექსპორტი.

2013 წელს ევროკავშირში 3 მილიონამდე ბოთლი ღვინო გავიდა. ამ მოცულობაზე ქართველმა ექსპორტიორებმა ნახევარ მილიონ ლარამდე გადაიხადეს ევროკავშირის ტერიტორიაზე საბაჟო ტარიფი. ხოლო როცა ღრმა და ყოვლისმომცველი ურთიერთობის შესახებ მოეწერა ხელი ხელშეკრულებას მეწარმეებისატვის დიდი შეღავათი იყო. შემდეგი წლისათვის მათ გაუჩნდათ საშვალება რომ ახალი რესურსი გამოეძებნათ კაპიტალის სახით რათა გაეზარდათ ექსპორტი.

2015 წელს ღვინის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე 4%-ით არის გზრდილი რაც საკმაოდ კარგი მიღწევა არის.

2016 წელს ექსპორტი გაიზრდა ევროკავშრის ბაზარზე და 90 მილიონი დოლარის შეადგენდა.

2017 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოდან ღვინის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში გაიზარდა. ექსპორტიორი ქვეყნების პირველ ხუთეულში მოხვდა ევროკავშირის წევრი ქვეყანა - პოლონეთი. ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2017 წლის იანვარ-სექტემბერში პოლონეთში გავიდა 186 985 2 ბოთლი ქართული ღვინო.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს 10 ყველაზე დიდ საექსპორტო ქვეყანას, სადაც ღვინის ექსპორტი ხდება.

ქვეყანა	ღვინის ექსპორტი
რუსეთი	18,308,177
ყაზახეთი	5,195,949
უკრაინა	3,412,453
ჩინეთი	2,672,154
პოლონეთი	1,600,302
ლატვია	1,059,498
ბელორუსია	900,346

ლიტვა	658,666
ესტონეთი	506,124
გერმანია	276,862

მოცემული ცხრილიდან ჩანს რომ პირველი სამი ყველაზე დიდი საექსპორტო ბაზარი პოსტ საბჭოთა ქვეყნებშია, აქედან გამომდინარე ნდება კთხვა რატომ რჩება რუსეთი ყველაზე დიდი ბაზარი ღვინის გასაყიდად როდესაც მათ რამდენიმე წლის უკან ღვინის ენბარგო ქონდათ გამოცხადებული საქართველოს წინააღმდეგ. მთავარი მიზეზი არის ის რომ საქართველო არის პოსტ საბჭოთა ქვეყანა ღვინის მწარმოებელთა უმეტესობა გაიზარდა საბჭოთა საზოგადოებაში და მათ აქვთ კავშირები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან სწორედ საჭირო კავშირების შედეგად ხდება საექსპორტო ბაზრების მოძიება და მათი სრულ ყოფილად ათვისება. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანი არის რომ ქართველ მეღვინეებს ქონდეთ საშვალება ევროპელი პარტნიორების მოძიების და მათთან უშვალო კავშირის რათა ოხდეს მათი პროდუქტის ფართო გავცელება მაღალი მსყიდველთუნარიან და მდგარდ ბაზარზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ღვინის ექსპორტს (ლიტრი) ევროკავშირის ქვეყნებში

წლები	პოლონეთი	ლატვია	ესტონეთი	ლიტვა	გერმანია
2018	3,508,122	1,711,078	581,190	488,154	483,791
2017	2,676,440	1,505,138	525,212	416,874	404,538
2016	2,329,820	1,258,632	631,632	611,994	292,454

2015	1,600,302	1,059,498	506,124	658,666	276,862
2014	1,548,521	1,071,816	328,990	630,440	285,360

მოცემული ცხრილიდან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა რომ ღვინის ექსპორტი ეკროკავშირის ქვეყნებში იზრდება ყოველწლიურად რაც იმის მაჩვენებელია რომ ქართული ღვინო მოთხოვნადია და აქვს პოტენციალი, რომლის გონიერად გამოყენების საშველებით ქართული ღვინო იქნება დიდად კონკურენტუნარიანი ევროპის ბაზარზე.

ცხრილიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს რომ 2014 წლიდან 2017 წლის ჩათბლით ექსპორტი იზრდება თითქმის თანაბარი ტრენდული სახით

2018 წელს წინა წლთან შედარებით გაზრდილია ჭვინის ექსპორტი ყველა ქვეყანაში 2017 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოდან მსოფლიოს 45 ქვეყანაში ექსპორტირებულია 52,7 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 63%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 116 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 55%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები საანგარიშო პერიოდში 194 მლნ აშშ დოლარს შეადგენს - ზრდამ 2016 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 54% შეადგინა

2018 წლის პირველ კვარტალში ღვინის ექსპორტი გაიზარდა 24%-ით ამის შესახებ ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს. ექსპორტის ზრდა

აღსანიშნავია როგორც ევროპის ბაზარზე ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ბაზრარზე

მოცემულ ცხრილში ასახულია ღვინის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე ა.შ.შ დოლარში (GEOSTAT)



მოცემული შედეგები საშვალებას გვაძლევს რომ მკაფიოდ დავინახოთ ის პერსპექტივა რაც ჩვენ ღრმა და ყოვლისმომცველმა ვაჭრობამ მოგვცა.

ხელშეკრულების ძალაში შესვლითანავე მკაფიოდ იყო გამოხატული ექსპორტის ზრდა. პრობლემები რაც ქართულ მეღვინეობას აქვს არის არასაკმარისი ტექნიკა რომელიც მათ სჭირდებათ.

მეღვინე იაგო ბიტარიშვილი განცხადებით: რთულია ტექნიუკასთან ხელმისაწვდომობა რადანაც საქართველოში ცოტა მოიპოვება მაღალტქნოლოგიური მანქანები რომელიც პროდუქტის მოყვანაშ დაეხმარებათ. რაც შეეხება დადებითი მხარე არის ის რომ საქართველოს აქვს მრავალწლიანი კულტურა ღვინის წარმოებაში და სწორედ ამ კულტურის სინთეზით დღევანდელობასთან შედეგი არის საკმაოდ დიდი პერსპექტივის მომცემი. მაგალიოთად ქვევრის ღვინო რომელიც მსოფლიოში მარტო საქართელოს ტერიტორიაზე მოიპოვება, გემოვნური თვისებებიდა გამომდინარე იგი საკმაოდ პოპულარობით სარგებლობს ევროპაში რისი აქტიურად გამოყენებაც შესაძლებელია ქართველების მიერ.[44][45][46]

დასკვნა

საქართველოს სოფლის მეურნეობა განიცდის კრიზის რაც მძიმე წარსულის და არასწორი აგრალური პოლიტიკის შედეგია. ქვეყანაში პრაქტიკულად არარსებობს ფერმერთა კლასი რომელიც უნდა ქმნიდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტის ძირითად ნაწილს. სოფლის მეურნეობის დოვლათს ქმნის საოჯახო მეურნეობები რომელთა წილი მოსახლეობაში 50% შეადგენს და ისინი საქართველოს ბაზარსაც ვერ კვებავენ 70% სოფლის მეურნეობის პროდუქტის მაინც ინპორტირებულია.

---

[44] ინფორმაცია მოძიებული არის საქართველოს სტატისტიკის სამსახურიდან

[45] თამარ ჩიქავა. ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობა და გლობალურ ბაზარზე შესვლის სტრატეგიები

[46] ეთერ ხარაიშვილი- ღვინის ბაზარი და მევენახეობა მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკრეტული მოდელები საქართველოში

მოსახლეობის ის მცრე ჯგუფი რომელიც ეწევა ფერმერულ საქმიანობას პრაკტიკულად ამინდს ვერ ქმნიან სფეროში, ეს გამოწვეულია მათი დაბალი განათლებით. განათლება ძირითადად საბჭოთა კავშირის დროინდელი აქვთ და დღევანდელ რეალობას, ხარისხობრივ მოთხოვნებს საკმაოდ აცდენილი არიან. თუმცა ამ მხრივ მიმდინარეობს ექსტენციის პროგრამა რომელიც სასოფლო სამეურნეო სფეროში ჩართული მოსახლეობის ინფორმირებულობის და განათლების დონეს გაზრდის, ასევე საკმაოდ დაბალი დონეა ტექნიკის გამოყენების თვალსაზრისით სოფლის მეურნეობის სფეროში, სწორედ ახალი ტექნოლოგის გამოყენებით არის შესაძლებელი რომ შეიქმნას მცირე დანახარჯებით დოვლათის დიდი და ხარისხიანი რაოდენობა. გამოსავალი ამ ყველაფრიდან არის სახელმწიფომ მაქსიმალურად უზრუნველყოს ფერმერთა კლასის ზრდა მათ ხელში მოხვდეს რაც შეიძლება მეტი მიწის ფართი.

მნიშვნელოვანი პრობლემა არის კოოპერატივების განვითარების დაბალი დონე. საწყის ეტაპზე ჩვენ ქვეყანას ჭირდება რომ აგრარულმა სისტემამ იმუშაოს გამართულად ზედმეტი დანახარჯების გარეშე რაშიც კოოპერატიული ურთიერთობები აუცილებელი არის. მნიშვნელოვანი პროექტი არის ჩვენი ქვეყნისათვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით დაწყებული პროქტი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს (acda.gov.ge) ჩამოყალიბება“. რაც მოიცავს სფეროში მოღვაწე ხალხის დახმარებას და მათ აქტიურ მხარდაჭერას,

ასევე აუცილებელია რომ მოხდეს დივერსიფიკაცია ამ დარგში. ეს დაეხმარება რომ შეიქმნას პროდუქტი, რომელსაც ექნება სპეციფიკური მახასიათებლები ასევე აუცილებელია რომ პროდუქტმა დააკმაყოფილოს ევროსტანდარტები რომელიც საჭიროა რათა პროდუქტი მოხვდეს ევროპის ბაზარზე .

DCFTA- ვალდებულებების შესრულება დაეხმარება ქართულ პროდუქტს გახდეს ხარისხიანი. ხელშეკრულების პუნქტები ითვალისწინებს რომ გაუმჯობესდეს სანიტარული და ფიტოსანიტარული მდგომარეობა.

მნიშვნელოვანია ქვეყნის მხრიდან შეიცვალოს მიდგომა სოფლის მეურნეობის სუფსიდირებასთან დაკავშირებით, მოხდეს არამხოლოდ დანაკარგების ანაზღაურება არამედ ზრუნვა იმაზე რომ ფერმერმა მიიღოს მეტი განათლება თავის სფეროში, საჭიროა რომ მათთვის მარტივი გახდეს საჭირო ტექნიკაზე წვდომა.

რაც შეეცება ევროპის ბაზარს ის საკმაოდ სტაბილურია და გვაძლევს იმის საშვალებას რომ დავგეგმოთ გრძელვადიანი სავაჭრო პერსპექტივები რომელიც განავითარებს ჩვენს სოფლის მეურნეობის დარგს.

ტექსტიდან გამომდინარე საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის აუცილებელია რომ იზრუნის ევროკავშირთან ვაჭრობის განვითარებაზე ეს ქვეყნის, ამ კონკრეტული დარგისათვის სასიცოცხლოდ არის აუცილებელი. ევროპა არის ბაზარი რომელიც ჩვენს მეურნეობას განავითარებს და გახდის მაღალ ხარისხიანს. მაგრამ არსებობს პრობლემები რომელიც ხელს უშლის ბაზარზე შესვლას

გამოყენებული მასალა

- IST-ის კვლევა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია.
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი: „ეკონომიკა და ბიზნესი“ სტატიის სახელწოდება: თანამიმდევრული და ეტაპობრივი რეფორმების სოციალური ტექნიკა
- ჟურნალი „ეკონომისტი“. სტატია: თენგიზ ქავთარაძე, გიორგი ქავთარაძე_ ინოვაციური სისტემები ა.შ.შ-ს სოფლის მეურნეობის და მათი გამოცდილების განზოგადება საქართველოში.
- ჟურნალი „ეკონომისთი“ სტატია: რამაზ აბესაძე სოფლის ეკონომიკის პროლემები საბჭოთა საქართველოში.
- ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა: სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში. (2012 წლის 31 დეკემბერი) http://www.fao.org/3/aq673ka/aq673ka.pdf
- ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავება: რა, რატომ და როგორ? http://www.3dcftas.eu
- საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020 ENPARD.GE
- სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია-წარმოდგენილი დოკუმენტის მოამზადება დაიწყო ექსტენციის სტრატეგიის პროექტის შესამუშავებლად შექმნილმა ჯგუფმა, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს N2-183 ბრძანებით
- თამარ ჩიქავა. ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობა და გლობალურ ბაზარზე შესვლის სტრატეგიები (2018 წელი სადოქტორო პროგრამა: “ეკონომიკა” შიფრი 0701)

- ეთერ ხარაიშვილი- ღვინის ბაზარი და მევენახეობა მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკრეტული მოდელები საქართველოში (გამომცემლობა „უნივერსალი“ თილისი 2017 წელი)
- „კოოპერაციული თანამშრომლობის ფორმების განვითარების ისტორიული გამოცდილება“ ავტორი ელგუჯა დიასამიძე (economicprofile.org)
- „საქართველოს ეკონომიკური სპეციალიზაცია: აწმყო და მომავალი“ ავტორები: ჯორჯ ზაჩმანი, დევიდ საა, მიშელ პერუზი (get-georgia.de)
- EVROPEAN INITIATIVE LIBERAL ACADEMY TBILISI-საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია
- ანდრეი მაქსიმოვი-საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის პოტენციალის ათვისება (get-georgia.de)
- საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ.22.03.1996
- საკონსულტაციო კომპანია Experto- ბაზრის კვლევის, საწარმოო ჯაჭვისა და შესაძლებლობების-შეზღუდვების-გადაწყვეტილებების (OCS) ანალიზი
- ინფორმაციის წყარო არის აშშ-ს სოფლისმეურნეობის დეპარტამენტიდან The Department of Agriculture (USDA) (www.usda.gov)
-

ნაშრომის შექმნაში გამოყენებული ინტერნეტ მასალა

-
- https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/ekonomika%20da%20biznesi%202.pdf
- http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/jurnali_ekonomisti/ekonomisti_2-2017.pdf
- http://www.pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/jurnali_ekonomisti/1-2017.pdf
- http://www.fao.org/docrep/field/009/aq673ka/aq673ka.pdf

- http://www.moa.gov.ge/m/ExportImport
- http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/publications/pub1.pdf
- http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90-2017-2020.pdf
- www.ei-lat.ge
- acda.gov.ge
- Commersant.ge
- BM.GE

დანართი

1.1



1.2

15.პროდუქტის არა ვარგისანობის შესახებ რა ღონისძიებებს მიმართავთ?

61 responses



1.3


Нальчик
Grozny
Грозный
Khasavyurt
Хасавюрт
Vladikavkaz
Владикавказ
Makhachk
Махачка
Buynaksk
Буйнакск
Poti
ფოთი
Artvin
Ardahan
Rize
Gyumri
Գյումրի
E60
Sheki
Mingecevir
LAG

ii

1.4



1.5

ინდექსის შეფასების კრიტერიუმები	ქულა		პოზიციის ცვლილება
	2016	2017	
სოფლის მეურნეობის პოლიტიკა	3.8	3.3	-39
დავების გადაწყვეტის სამართლებრივი ჩარჩო	4	3.5	-26
სასამართლოს დამოუკიდებლობა	4	3.6	-25

მთლიანი ეროვნული დანაზოგი	21.7	19.4	-22
ფასიანი ქაღალდების რეგულაციები	4.1	3.8	-21
ანაზღაურება და პროდუქტიულობა	3.9	3.6	-20
ბიუჯეტის დეფიციტი (მშპ-ის %)	-1.2	-1.6	-16
ქვეყნის შიდა კონკურენცია	5	4.8	-16
სასკოლო განათლების ხარისხი	3.4	3.1	-13
ფავორიტიზმი მთავრობის გადაწყვეტილებებში	3.5	3.3	-12
ორგანიზებული დანაშაული	5.8	5.4	-12
განათლების სისტემის ხარისხი	3.3	3	-12
ბიუჯეტის ხარჯების ეფექტურობა	3.2	3	-10
ქრთამის აღება	5.6	5.4	-7

ინფლაცია	4	2.1	79
საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა	4	4.3	19
ვენჩურული (ბიზნესის დაწყებისთვის) კაპიტალი	2.6	2.7	14
ინვესტორთა დაცვა	6.8	7.7	13

1.6

დანართი (1.6)

კრიტერიუმები ჯგუფების მიხედვით	პოზიცია მსოფლიოში	ქულა (მაქსიმუმ 7)
საბაზისო მოთხოვნები	**54**	**4.8**
ინსტიტუტები	50	4.2
ინფრასტრუქტურა	69	4.2
მაკროეკონომიკური გარემო	48	5.1

ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება	69	5.8
ეფექტიანობის მასტიმულირებელი	**75**	**4.1**
უმაღლესი განათლება და ტრენინგები	87	4.1
საქონლის ბაზრის ეფექტიანობა	50	4.6
შრომის ბაზრის ეფექტიანობა	53	4.5
ფინანსური ბაზრის განვითარება	63	4.2
ტექნოლოგიური მზადყოფნა	70	4.2
ბაზრის ზომა	100	3
ინოვაციები და სოფისტიკაციის ფაქტორები	**112**	**3.2**
ბიზნესის სოფისტიკაცია	99	3.6

ინოვაციები	118	2.8

1.7

2017 წელი

1. ევროკომისიის 1994 წლის 20 მაისის 94/360/EC რეგულაცია საბჭოს 90/675/EEC დირექტივის შესაბამისად მესამე ქვეყნებიდან შემოტანილი გარკვეული პროდუქტების პარტიებზე ფიზიკური შემოწმების შემცირებული პერიოდულობით ჩატარების შესახებ
2. 2011 წლის 13 დეკემბრის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2011/91/EU დირექტივა საიდენტიფიკაციო აღნიშვნებისა და ნიშნების შესახებ, რომელიც მიუთითებს სურსათის კუთვნილებას ამა თუ იმ პარტიისადმი.
3. 1992 წლის 14 ნოემბრის საბჭოს 92/608/EEC გადაწყვეტილება, რომელიც ადგენს უშუალოდ ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი თერმულად დამუშავებული რძის ანალიზისა და დატესტვის მეთოდებს.
4. 2009 წლის 24 ივლისის ევროკომისიის (EC) No 669/2009 რეგულაცია, რომლითაც სრულდება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 882/2004 რეგულაცია, რომელიც ეხება არაცხოველური წარმოშობის სურსათისა და ცხოველის საკვების იმპორტთან დაკავშირებულ გაზრდილი სიხშირის სახელმწიფო კონტროლს და ცვლილება შეაქვს 2006/504/EC გადაწყვეტილებაში.
5. 2000 წლის 28 მარტის ევროკომისიის (EC) No 645/2000 რეგულაცია, ადგენს საბჭოს 86/362/EEC დირექტივის მე-7 მუხლისა და საბჭოს 90/642/EEC დირექტივის მე-4 მუხლის განსაზღვრული დებულებების გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო დეტალურ განმახორციელებელ წესებს

ბურღულეულში და მცენარეული წარმოშობის პროდუქტში, მათ შორის ხილსა და ბოსტნეულში, პესტიციდების ნარჩენების ზღვრული დონის მონიტორინგისთვის საჭირო ღონისძიებებს.

6. 2012 წლის 8 ივნისის ევროკომისიის (EU) No 489/2012 განმახორციელებელი რეგულაცია, ადგენს განმახორციელებელ წესებს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1925/2006 რეგულაციის სურსათში ვიტამინების, მინერალებისა და გარკვეული სხვა ნივთიერებების დამატების შესახებ მე-16 მუხლის გამოყენების მიზნით.
7. 2012 წლის 11 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EU) No 307/2012 რეგულაცია, ადგენს განმახორციელებელ წესებს ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) No 1925/2006 რეგულაციის სურსათში ვიტამინების, მინერალებისა და გარკვეული სხვა ნივთიერებების დამატების შესახებ მე-8 მუხლის გამოყენების მიზნით.
8. 2013 წლის 12 ივნისის ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EU) No 609/2013 რეგულაცია ჩვილი და მცირე ასაკის ბავშვებისთვის, სპეციალური სამედიცინო მიზნებისათვისა და წონის კონტროლის მიზნით მთლიანი საკვები რაციონის ჩანაცვლებისთვის განკუთვნილი სურსათის შესახებ და აუქმებს საბჭოს 92/52/EEC დირექტივას, ევროკომისიის 96/8/EC, 1999/21/EC, 2006/125/EC და 2006/141/EC დირექტივებს, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009/39/EC დირექტივას და საბჭოსა და ევროკომისიის (EC) No 41/2009 და (EC) No 953/2009 რეგულაციებს.
9. 2008 წლის 16 დეკემბრის ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) No 1331/2008 რეგულაცია, ადგენს საკვებდანამატების, საკვები ფერმენტებისა და არომატიზატორებისათვის საერთო ავტორიზაციის პროცედურებს.
10. 2011 წლის 10 მარტის ევროკომისიის (EU) No 234/2011 რეგულაცია, რომლითაც სრულდება ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) No 1331/2008 რეგულაცია,

რომელიც ადგენს საკვებდანამატების, საკვები ფერმენტებისა და არომატიზატორებისათვის საერთო საავტორიზაციო პროცედურებს.

2018 წელი

11. 2010 წლის 25 მარტის ევროკომისიის (EU) No 257/2010 რეგულაცია, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1333/2008 რეგულაცის შესაბამისად ადგენს დამტკიცებული საკვებდანამატების ხელმეორედ შეფასების პროგრამას.
12. 2004 წლის 27 ოქტომბრის ევროპის პარლამენტისსა და საბჭოს 1935/2004/EC რეგულაცია სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებისა და ნივთების შესახებ. 2018
13. 2003 წლის 22 სექტემბრის ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) No 1830/2003 რეგულაცია გენ-მოდიფიცირებული ორგანიზმების მიკვლევადობისა და მარკირების, გენ-მოდიფიცირებული ორგანიზმებიდან ნაწარმოები სურსათისა და ცხოველის საკვების მიკვლევადობის შესახებ და ცვლილება შეაქვს 2001/18/EC დირექტივაში.
14. 2004 წლის 4 ოქტომბრის ევროკომისიის 2004/787/EC რეკომენდაცია (EC) No 1830/2003 რეგულაციის კონტექსტიდან გამომდინარე გენ-მოდიფიცირებული ორგანიზმების და გენ-მოდიფიცირებული ორგანიზმებიდან ან მათი შემცველობის მქონე პროდუქტიდან წარმოებული მასალის სინჯის აღებისა და აღმოჩენის ტექნიკური სახელმძღვანელოს შესახებ.
15. 2003 წლის 22 სექტემბრის ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) N° 1829/2003 რეგულაცია გენ-მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ. 2018
16. 2007 წლის 21 მაისის ევროკომისიის 2007/363/EC გადაწყვეტილება სახელმძღვანელოების შესახებ, რომლებიც დაეხმარება წევრ ქვეყნებს ერთიანი ინტეგრირებული მრავალწლიანი ეროვნული კონტროლის გეგმის

შემუშავებაში ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 882/2004 რეგულაციის გათვალისწინებით.

2019 წელი

17. 2012 წლის 9 მარტის ევროკომისიის (EU) No 231/2012 რეგულაცია, ადგენს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1333/2008 რეგულაციის მე-2 და მე-3 დანართებში მოცემული საკვებდანამატების სპეციფიკაციებს.
18. 1997 წლის 27 იანვრის ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) No 258/97 რეგულაცია ახალი სახეობის სურსათისა და მისი ინგრედიენტების შესახებ. 2019
19. 1997 წლის 29 ივლისის ევროკომისიის 97/618/EC რეკომენდაცია იმ ინფორმაციის მეცნიერული ასპექტების და პრეზენტაციის შესახებ, რომელიც აუცილებელია ახალი სახეობის სურსათისა და საკვები ინგრედიენტების ბაზარზე განსათავსებლად საჭირო განცხადებების მხარდასაჭერად და საწყისი შეფასების ანგარიშების მოსამზადებლად ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 258/97 რეგულაციის შესაბამისად.
20. 2006 წლის 22 დეკემბრის ევროკომისიის (EC) No 2023/2006 რეგულაცია სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებისა და ნივთების კარგი საწარმოო პრაქტიკის შესახებ
21. 2004 წლის 6 აპრილის ევროკომისიის (EC) No 641/2004 რეგულაცია, (EC) No 1829/2003 რეგულაციის იმპლემენტაციის დეტალური წესების შესახებ, რომელიც შეეხება ახალი გენ-მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების ავტორიზების გამოყენებას და არსებული პროდუქტისა და გენ-მოდიფიცირებული ნივთიერების, რომელსაც ხელი შეეწყო შესაბამისი რისკის შეფასების მეშვეობით, შემთხვევითი ან ტექნიკურად გარდაუვალი არსებობის შეტყობინებას.

22. 2013 წლის 27 მარტის ევროკომისიის 2013/165 რეკომენდაცია მარცვლეულსა და მარცვლეულის პროდუქტებში T-2 და HT-2 ტოქსინების შესახებ. 2019
23. 2008 წლის 16 დეკემბრის ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) No 1332/2008 რეგულაცია საკვები ფერმენტების შესახებ და ცვლილება შეაქვს საბჭოს 83/417/EEC დირექტივაში, საბჭოს (EC) No 1493/1999 რეგულაციაში, 2000/13/EC დირექტივაში, საბჭოს 2001/112/EC დირექტივასა და (EC) No 258/97 რეგულაციაში.

2020 წელი

24. 2008 წლის 16 დეკემბრის ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) No 1334/2008 რეგულაცია სურსათში/ზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის თვისებების მქონე გარკვეული სურსათის ინგრედიენტების შესახებ და ცვლილება შეაქვს საბჭოს 1601/91 რეგულაციაში, (EC) No 2232/96 და (EC) 110/2008 რეგულაციებში და 2000/13/EC დირექტივაში.
25. 2012 წლის 1 ოქტომბრის ევროკომისიის (EU) No 873/2012 რეგულაცია, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1334/2008 რეგულაციის პირველი დანართით მოცემული არომატიზატორების ერთიან სიასთან და საწყის ნივთიერებებთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებების შესახებ.
26. 1978 წლის 30 იანვრის საბჭოს 78/142/EEC დირექტივა სურსათთან შეხებაში მყოფი ვინილ-ქლორიდის მონომერის შემცველ მასალებისა და ნივთების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის დაახლოების თაობაზე.
27. 1992 წლის 13 იანვრის ევროკომისიის 92/2/EEC დირექტივა, ადგენს ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი სწრაფად გაყინული სურსათის ტემპერატურის ოფიციალური კონტროლის განხორციელებისათვის სინჯის აღების პროცედურებსა და ანალიზის ერთიანი მეთოდების.

28. 1988 წლის 21 დეკემბრის საბჭოს 89/108/EEC დირექტივა ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი სწრაფად გაყინული სურსათის შესახებ დაკავშირებული წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე.
29. 2005 წლის 12 იანვრის ევროკომისიის (EC) No 37/2005 რეგულაცია ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი სწრაფად გაყინული სურსათის ტრანსპორტირების, დასაწყობების და შენახვის ადგილებში ტემპერატურის მონიტორინგის შესახებ.
30. 2005 წლის 21 ივნისის ევროკომისიის 2005/463/EC გადაწყვეტილება, აყალიბებს ქსელურ ჯგუფს გენ-მოდიფიცირებული, ტრადიციული და ორგანული მოსავლის თანაარსებობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინირების მიზნით.

ვეტერინარიის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებებია:

2017 წელი

1. 2006 წლის 24 ოქტომბრის ევროსაბჭოს 2006/88/EC დირექტივა წყლის ცხოველებისა
   და მათგან გამომდინარე პროდუქტების ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და წყლის ცხოველების ზოგიერთი დაავადების კონტროლისა და პრევენციის თაობაზე.
2. 2009 წლის 21 ოქტომბრის ევროპის პარლამენტის და ევროსაბჭოს (EC) No 1069/2009 რეგულაცია ადგენს ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების მქონე პროდუქტებისა და მათგან ადამიანის მოხმარებისთვის

არგანკუთვნილი ნაწარმოები პროდუქტებისათვის ჯანმრთელობის დაცვის წესებს და აუქმებს (EC) No 1774/2002 რეგულაციას.

3. 2012 წლის 25 თებერვლის ევროკომისიის (EU) No 142/2011 რეგულაცია, რომლითაც სრულდება ევროპის პარლამენტის და ევროსაბჭოს (EC) No 1069/2009 რეგულაცია, რომელიც ადგენს ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების მქონე პროდუქტებისა და მათგან ადამიანის მოხმარებისთვის არგანკუთვნილი ნაწარმოები პროდუქტებისათვის ჯანმრთელობის დაცვის წესებს და სრულდება ევროსაბჭოს 97/78/EC დირექტივა, ამ დირექტივის შესაბამისად საზღვარზე ზოგიერთი ნიმუშების და საგნების ვეტერინარული შემოწმებიდან ამოღების შესახებ.
4. 2008 წლის 12 დეკემბრის ევროკომისიის (EC) No 1251/2008 რეგულაცია წყლის ცხოველებისა და მათაგან ნაწარმოები პროდუქტების ევროკავშირის ტერიტორიაზე იმპორტისა და ბაზარზე განთავსების მიზნით სერტიფიცირების პირობებისა და მოთხოვნებისა და დაავადების გადამდები სახეობების სიის დადგენის თაობაზე ევროსაბჭოს 2006/88/EC დირექტივის იმპლემენტაციის შესახებ
5. 1992 წლის 17 დეკემბრის ევროსაბჭოს 92/118/EEC დირექტივა, ადგენს 89/662/EEC დირექტივის A (I) დანართსა და, პათოგენების შემთხვევაში, 90/425/EEC დირექტივაში მოცემული ევროკავშირის სპეციალური წესებით დადგენილი მოთხოვნებისადმი დაუქვემდებარებელი პროდუქტების ევროკავშირში ვაჭრობისა და იმპორტის შემთხვევაში ცხოველისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებს.
6. 2003 წლის 17 ნოემბრის ევროპის პარლამენტისა და ევროსაბჭოს 2003/99/EC დირექტივა ზოონოზების და ზოონოზური აგენტების მონიტორინგის თაობაზე, ცვლილება შეაქვს ევროსაბჭოს 90/424/EEC გადაწყვეტილებაში და აუქმებს ევროსაბჭოს 92/117/EEC დირექტივას.

7. 1964 წლის 26 ივნისის ევროსაბჭოს 64/432/EEC დირექტივა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და ღორების ევროკავშირში ვაჭრობაზე ზემოქმედების მქონე ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის პრობლემების შესახებ.
8. 2003 წლის 26 მაისის ევროპის პარლამენტის და ევროსაბჭოს (EC) No 998/2003 რეგულაცია შინაური ცხოველების არაკომერციული გადაადგილების მიმართ მოქმედი ცხოველის ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნების თაობაზე და აუქმებს ევროსაბჭოს 92/65/EEC დირექტივას.

2018 წელი

9. 2007 წლის 26 ოქტომბრის ევროკომისიის (EC) No 1266/2007 რეგულაცია ზოგიერთი ცხოველის ბლუტანგისადმი მგრძნობიარე სახეობის გადაადგილების კონტროლის, მონიტორინგის, ზედამხედველობისა და შეზღუდვების თაობაზე ევროსაბჭოს 2000/75/EC დირექტივისათვის განმახორციელებელი წესების თაობაზე.
10. 2000 წლის 20 ნოემბრის ევროსაბჭოს 2000/75/EC დირექტივა ადგენს ბლუტანგის კონტროლისა და აღმოფხვრის მიზნით სპეციალურ დებულებებს. 2018
11. 2011 წლის 14 ივლისის ევროკომისიის (EU) No 1152/2011 დელეგირებული რეგულაცია ძაღლებში ექინოკოკოზის (echinococcus multilocularis) ინფექციის კონტროლის მიზნით პრევენციული ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები შესახებ, რომელიც ავსებს ევროპის პარლამენტის და საბჭოს N 998/2003 რეგულაციას.
12. 2002 წლის 16 დეკემბრის ევროსაბჭოს 2002/99/EC დირექტივა ადგენს ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციასა და შემოტანასთან დაკავშირებული ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის წესებს.

13. 2001 წლის 6 ნოემბრის ევროპის პარლამენტის და ევროსაბჭოს დირექტივა 2001/82/EC სამედიცინო ვეტერინარულ პრეპარატებთან დაკავშირებული ევროკავშირის კანონმდებლობის შესახებ.
14. 2004 წლის 31 მარტის ევროპის პარლამენტის და ევროსაბჭოს 2004/28/EC დირექტივა ცვლილება შეაქვს სამედიცინო ვეტერინარულ პრეპარატებთან დაკავშირებული ევროკავშირის კანონმდებლობის შესახებ 2001/82/EC დირექტივაში.
15. 1995 წლის 7 ივლისის ევროკომისიის (EC) No 1662/95 რეგულაცია ადგენს ადამიანური ან ვეტერინარული მოხმარებისათვის გამიზნული პროდუქტების ბაზარზე განთავსების ავტორიზაციის მიმართ ევროკავშირის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ზოგიერთ დეტალურ წესს.
16. 2009 წლის 6 მაისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 470/2009 რეგულაცია ადგენს ცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტებში ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ნარჩენების ლიმიტს, აუქმებს საბჭოს (EEC) No 2377/90 რეგულაციას და ცვლილება შეაქვს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2001/82/EC დირექტივში და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 726/2004 რეგულაციაში.
17. 2004 წლის 26 აპრილის ევროსაბჭოს 2004/68/EC დირექტივა ადგენს ზოგიერთი ცოცხალი ჩლიქოსანი ცხოველის ევროკავშირის ტერიტორიაზე ტრანზიტისა და იმპორტის მიზნით ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის წესებს, ცვლილება შეაქვს 90/426/EEC დირექტივაში და აუქმებს 72/462/EEC დირექტივას.

2019 წელი

18. 2003 წლის 17 ნოემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 2160/2003 რეგულაცია სალმონელასა და სხვა განსაზღვრული საკვებისმიერი ზოონოზური აგენტების კონტროლის შესახებ.

19. 2006 წლის 1 აგვისტოს ევროკომისიის (EC) No 1177/2006 რეგულაცია ქათმებში სალმონელას კონტროლის ეროვნული პროგრამების ფარგლებში სპეციალური კონტროლის ღონისძიებების განხორციელებისადმი არსებული მოთხოვნების თაობაზე ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 2160/2003 რეგულაციის იმპლემენტაციის შესახებ.
20. 2007 წლის 11 დეკემბრის ევროკომისიის 2007/843/EC გადაწყვეტილება, ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) No 2160/2003 რეგულაციის თანახმად, ბანკივური ქათმების (Gallus gallus) მოსაშენებელ გუნდებში სალმონელას კონტროლის პროგრამების დამტკიცების შესახებ და ცვლილება შეაქვს 2006/696/EC გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხება ქათმებისა და გამოსაჩეკი კვერცხების იმპორტირებისათვის დადგენილი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებს.
21. 2006 წლის 11 დეკემბრის ევროკომისიის 2006/130/EC დირექტივა სურსათის მწარმოებელი ცხოველებისათვის ზოგიერთი სამედიცინო ვეტერინარული პრეპარატის ვეტერინარული რეცეპტის მოთხოვნისგან გათავისუფლების მიზნით კრიტერიუმების დადგენის თაობაზე ევროპის პარლამენტისა და ევროსაბჭოს 2001/82/EC დირექტივის იმპლემენტაციის შესახებ.
22. 2005 წლის 12 იანვრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 183/2005 რეგულაცია ცხოველის საკვების ჰიგიენური მოთხოვნების თაობაზე. 2019
23. 2007 წლის 14 თებერვლის ევროკომისიის (EC) No 141/2007 რეგულაცია, ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) No 183/2005 რეგულაციის თანახმად, ცხოველის საკვების დამამზადებელი ან კოკციდიოსტატიკის და ჰისტომონოსტატის კატეგორიის ცხოველის საკვების დანამატების ბაზარზე განმათავსებელი საწარმო დაწესებულებების აღიარების მოთხოვნის შესახებ.
24. ევროსაბჭოს 1992 წლის 17 დეკემბრის 92/119/EEC დირექტივა, ზოგიერთი ცხოველური დაავადების კონტროლის ევროკავშირის ზოგადი

ღონისძიებებისა და ღორის ვეზიკულარულ დაავადებასთან დაკავშირებული სპეციალური ღონისძიებების შემოღების შესახებ.

2020 წელი

25. 2000 წლის 4 ივლისის ევროკომისიის 2000/428/EC გადაწყვეტილება ადგენს ღორის ვეზიკულარული დაავადების დადასტურებისა და დიფერენციაციული დიაგნოზის მიზნით ჩასატარებელი ლაბორატორიული შემოწმებების შედეგების შეფასების დიაგნოსტიკურ პროცედურებს, ნიმუშის აღების მეთოდებსა და კრიტერიუმებს.
26. 2008 წლის 5 მარტის ევროკომისიის 2008/38/EC დირექტივა ადგენს განსაზღვრული კვებითი დანიშნულების მიზნებისთვის განკუთვნილი ცხოველის საკვების ნუსხას. 2
27. ევროკომისიის 1982 წლის 23 ივნისის 82/475/EEC დირექტივა ადგენს შინაური ცხოველებისათვის გამიზნული ნარევი საკვების ეტიკეტირებისთვის გამოსაყენებელი ინგრედიენტების კატეგორიებს.
28. 2009 წლის 13 ივლისის ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) No 767/2009 რეგულაცია ცხოველის საკვებისა ბაზარზე განთავსებისა და გამოყენების თაობაზე, ცვლილება შეაქვს ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) No 1831/2003 რეგულაციაში და აუქმებს ევროსაბჭოს 79/373/EEC დირექტივას, ევროკომისიის 80/511/EEC დირექტივას, ევროსაბჭოს 82/471/EEC, 83/228/EEC, 93/74/EEC, 93/113/EC და 96/25/EC დირექტივებსა და ევროკომისიის 2004/217/EC გადაწყვეტილებას.
29. 2011 წლის 14 იანვრის ევროკომისიის 2011/25/EU რეკომენდაცია ადგენს ცხოველის საკვები ნივთიერებების, ცხოველის საკვების დანამატების, ბიოციდური პროდუქტებისა და სამედიცინო ვეტერინარული პროდუქტების სახელმძღვანელოს.

30. 2013 წლის 16 იანვრის ევროკომისიის (EU) No 68/2013 რეგულაცია ცხოველის საკვები ნივთიერებების კატალოგის შესახებ. 2020

მცენარეთა დაცვის სფეროში გასატარებელი ღონისძიებები

2017 წელი

1. 1998 წლის 20 ივლისის საბჭოს 98/57/EC დირექტივა კარტოფილის მურა სიდამპლის (ვილტის) „Ralstonia solanacearum (Smith) Yabuuchi et al. -ის კონტროლის თაობაზე.
2. 2004 წლის 7 ოქტომბრის კომისიის 2004/103/EC დირექტივა გარკვეული მცენარეების, მცენარეთა პროდუქტებისა და სხვა ობიექტების იდენტურობის და სიჯანსაღის შემოწმების თაობაზე, რომელიც ჩამოთვლილია საბჭოს 2000/29/EC დირექტივის V
   დანართის ,,ბ“ ნაწილში, რომელთა შემოწმება შეიძლება განხორციელდეს მათი ევროკავშირში შემოტანის პუნქტის გარდა სხვა ადგილზე ან სხვა ახლომდებარე ადგილზე და განსაზღვრავს ამ შემოწმებებთან დაკავშირებულ პირობებს.
3. 1993 წლის 4 ოქტომბრის საბჭოს 93/85/EC დირექტივა კარტოფილის რგოლური სიდამპლის კონტროლის თაობაზე.
4. 2004 წლის 11 ოქტომბრის კომისიის (EC) No 1756/2004 რეგულაცია განსაზღვრავს გარკვეული მცენარეების, მცენარეთა პროდუქტებისა და სხვა ობიექტების სიჯანსაღის შემოწმების შემცირების დონეებისა და ფორმისთვის საჭირო მტკიცებულებებისა და კრიტერიუმების დეტალურ პირობებს, რომელიც ჩამოთვლილია ევრო დირექტივა 2000/29-ის V დანართის ,,ბ“ ნაწილში.

2018 წელი

5. 1998 წლის 15 აპრილის კომისიის 98/22/EC დირექტივა ადგენს საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე მცენარეთა სიჯანსაღის შემოწმების მინიმალურ მოთხოვნებს თანამეგობრობაში, მესამე ქვეყნებიდან შემომავალ მცენარეებსა და მცენარეულ პროდუქტებზე.
6. 1992 წლის 30 ივლისის კომისიის 92/70/EEC დირექტივა ადგენს თანამეგობრობაში დაცული ზონების აღიარების მიზნით ჩასატარებელი კვლევების დეტალურ წესებს.
7. 1993 წლის 24 ივნისის კომისიის 93/51/EEC დირექტივა ადგენს გარკვეული მცენარეების, მცენარეთა პროდუქტების და სხვა ობიექტების დაცული ზონის გავლით გადაადგილების წესებს და იმ მცენარეების, მცენარეთა პროდუქტების და სხვა ობიექტების გადაადგილების წესებს, რომლებიც წარმოშობილნი არიან ამ ზონებიდან ან მოძრაობენ ამ დაცული ზონების შიგნით.
8. 1968 წლის 9 აპრილის საბჭოს 68/193/EEC დირექტივა ეხება ვაზის სათესლე მასალით ვაჭრობას.
9. 2008 წლის 15 ივლისის საბჭოს 2008/72/EC დირექტივა ეხება ბოსტნეულის გასამრავლებელი და სარგავი მასალით ვაჭრობის საკითხებს, გარდა თესლისა.
10. 2011 წლის 10 ივნისის კომისიის (EU) No 544/2011 რეგულაცია, რომლითაც სრულდება ევროპარლამენტის და საბჭოს (EC) No 1107/2009 რეგულაცია აქტიური ნივთიერებების მონაცემებთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით.
11. 2013 წლის 1 მარტის კომისიის (EU) No 283/2013 რეგულაცია ადგენს აქტიური ნივთიერებების მონაცემებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1107/2009 რეგულაციის შესაბამისად, რომელიც ეხება მცენარეთა დაცვის საშუალებების ბაზარზე განთავსებას.

12. 2002 წლის 11 ივლისის კომისიის 2002/63/EC დირექტივა ადგენს თანამეგობრობის ნიმუშების აღების მეთოდებს მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში პესტიციდების ნარჩენების ოფიციალურ კონტროლის მიზნით და აუქმებს 79/700/EEC დირექტივას.
13. 1966 წლის 14 ივნისის საბჭოს 66/401/EEC დირექტივა საკვები კულტურების თესლით ვაჭრობის თაობაზე. 2019
14. 1966 წლის 14 ივნისის საბჭოს 66/402/EEC დირექტივა მარცვლოვნების თესლით ვაჭრობის თაობაზე. 2019
15. 2012 წლის 18 სექტემბრის კომისიის (EU) No 844/2012 დამნერგავი რეგულაცია ადგენს აქტიური ნივთიერებების განახლების პროცედურების განხორციელებისთვის საჭირო დებულებებს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაციით No 1107/2009' გათვალისწინებით, რომელიც ეხება მცენარეთა დაცვის საშუალებების ბაზარზე განთავსებას.

2019 წელი

16. 2012 წლის 5 დეკემბრის კომისიის 2012/756/EU დამნერგავი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება კივის ბაქტერიული კიბოს Pseudomonas syringae pv. actinidiae 2019
17. Takikawa, Serizawa, Ichikawa, Tsuyumu & Goto-ს გაერთიანებაში შემოტანის და გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.
18. 2008 წლის 29 სექტემბრის საბჭოს 2008/90/EC დირექტივა ხილის წარმოებისთვის განკუთვნილი ხილის გასამრავლებელი მასალებით და მცენარეებით ვაჭრობის თაობაზე.
19. 1998 წლის 20 ივლისის საბჭოს 98/56/EC დირექტივა დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალით ვაჭრობის თაობაზე. 2019
20. 2002 წლის 13 ივნისის საბჭოს 2002/54/EC დირექტივა ჭარხლის თესლით ვაჭრობის თაობაზე. 2019

21. 2002 წლის 13 ივნისის საბჭოს 2002/55/EC დირექტივა ბოსტნეულის თესლით ვაჭრობის თაობაზე. 2019
22. 2012 წლის 1 მარტის კომისიის 2012/138/EU დამნერგავი გადაწყვეტილება ეხება ჩინური ხარაბუზას (Anoplophora chinensis (Foster)) ევროკავშირში შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელ საგანგებო ღონისძიებებს.

2020 წელი

23. 2012 წლის 16 მაისის კომისიის 2012/270/EU დამნერგავი გადაწყვეტილება ეხება Epitrix cucumeris (Harris), Epitrix similaris (Gentner), Epitrix subcrinita (Lec.) და Epitrix tuberis (Gentner) ევროკავშირში შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელ საგანგებო ღონისძიებებს.
24. 2002 წლის 13 ივნისის საბჭოს 2002/56/EC დირექტივა კარტოფილის თესლით ვაჭრობის თაობაზე.
25. 2002 წლის 13 ივნისის საბჭოს 2002/57/EC დირექტივა ზეთოვანი და ბოჭკოვანი მცენარეების თესლით ვაჭრობის თაობაზე.
26. 1981 წლის 28 ივლისის კომისიის 81/675/EEC გადაწყვეტილება ადგენს კონკრეტულ დალუქვის სისტემებს, რომლებიც არის „არამრავალჯერადი გამოყენების სისტემები“ საბჭოს დირექტივების 66/400 EEC , 66/401/ EEC, 66/402/EEC, 69/208/ EEC და 70/458/ EEC მნიშვნელობის ფარგლებში.
27. 2002 წლის 16 დეკემბრის საბჭოს 2003/17/EC გადაწყვეტილება მესამე ქვეყნებში სათესლე კულტურებზე განხორციელებული საველე შემოწმებების ეკვივალენტურობის და მესამე ქვეყნებში წარმოებული თესლის ეკვივალენტურობის თაობაზე.
28. 2006 წლის 8 თებერვლის კომისიის (EC) No 217/2006 რეგულაცია ადგენს ევროსაბჭოს N66/401, N66/402, 2002/54, 2002/55 და 2002/57 დირექტივების გამოყენების წესებს წევრი ქვეყნებისთვის ავტორიზაციასთან დაკავშირებით,

რათა დროებით დაუშვან იმ თესლით ვაჭრობა, რომელიც არ აკმაყოფილებს მინიმალურ გაღივებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

29. 2013 წლის 1 მარტის კომისიის (EU) No 284/2013 რეგულაცია ადგენს მცენარეთა დაცვის საშუალებების მონაცემებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს No 1107/2009 რეგულაციის შესაბამისად, რომელიც ეხება მცენარეთა დაცვის საშუალებების ბაზარზე განთავსებას.
30. 2011 წლის 8 ივნისის ევროკომისიის (ევროკავშირი) No 547/2011 რეგულაცია, რომლითაც სრულდება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს განმახორციელებელი No 1107/2009 რეგულაცია, რომელიც ეხება მცენარეთა დამცავი პროდუქტების მარკირებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.
31. 2009 წლის 21 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2009/128/ დირექტივა რომელიც ადგენს თანამეგობრობის მიერ გასატარებელ ღონისძიებების სტრუქტურას პესტიციდების სტაბილური მოხმარების მიღწევის მიზნით.
32. 2006 წლის 7 ნოემბრის საბჭოს 2006/91/EC დირექტივა „კალიფორნიის ფარიანას“ კონტროლის თაობაზე. [iiii]